


გვ. 12

# ორი დღის მოლოდინში

მერვედფინალები გარკვეულია

გვ. 15



პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 სექტემბერი პარასკევი 2010

№ 207 (13 195) ფასი 60 თეთრი

## ვნახავთ თუ არა საბერძნეთი-საქართველოს?

# ქეცბაიას აღმართი




გვ. 2-3




## დღეიდან სრული სვლით

ევრო 2012. საკვალიფიკაციო ეტაპი. კალენდარი და პირველი დღის წინასამატჩო მიმოხილვა

გვ. 4-5



ოლიმპიური კომიტეტი

### თბილისი 2015 ნათელ ფერებში

ინტერვიუ გია ნაცვლიშვილთან

გვ. 11



ჭადრაკი

### მაია რუსეთში არ ითამაშებს

ინტერვიუ

გვ. 11

ჩოგბურთი

### სილამაზე გადაარჩენს სამყაროს

გვ. 14

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

# ჩვენთან ყველაფერი რიგზეა

## სასტარტო პოზიციაზე ოპტიმალური შემადგენლობით

დღევანდელი დღე ქართული ფეხბურთისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია - საქართველოს ეროვნული ნაკრები **თემურ ქეცბაიას** თავკაცობით პირველ ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს, რომლის შემდეგაც უფრო მკაფიო წარმოდგენა შეგვექმნება იმაზე, თუ რას უნდა ველოდოთ და რისი იმედი უნდა გვქონდეს ამჟამინდელი ფორმაციის ნაკრებისგან.

„ლელო" ბოლო დღეებში ქეცბაიას გუნდის მზადებაზე ინტენსიურად გიამბობდათ, მაგრამ მოკლედ მაინც შეგახსენებთ, რომ ჩვენი ქვეყნის უპირველესმა გუნდმა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სასტარტო მატჩებისთვის შეკრება კვიპროსზე გაიარა და იქიდან საბერძნეთში გუშინ გაემგზავრა.

საქართველოს ნაკრები ჯერ ნიქოზიიდან ათენში ჩაფრინდა, იქიდან კი პირეოსში გადაინაცვლა. შეგახსენებთ, საბერძნეთისა და საქართველოს ნაკრებების დაპირისპირება სწორედ იქ, „გიორგიოს კარაისკასზე" შედგება.

გუშინ სალამოს ქართველმა ფეხბურთელებმა „კარაისკასზე" ივარჯიშეს და როგორც შევიტყვეთ, ყველა მოთამაშე სრულად დაიტვირთა. საქართველოს ნაკრებს სულ ბოლოს **ზურაბ ხიზანიშვილი** და **ნუკრი რევიშვილი** შეუერთდნენ. გუშინ გაცნობეთ, რომ **ჯანო ანანიძე, გოგიტა გოგუა** და **ალექსანდრე კოშკაძე** თავს კარგად გრძნობენ და საბედნიეროდ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სადღეისოდაც ფაქტობრივად, იდეალურია.

აქვე საქართველოს ნაკრების სრულ შემადგენლობასაც გადავხედოთ.

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი** (ანჟი), **გიორგი ლორია** (დინამო), **გრიგოლ ბედიაშვილი** (ოლიმპი);

მცველები: **კახაბერ კალაძე** (ჯენოა), **მალხაზ ასათიანი** (ლოკომოტივი მ), **ზურაბ ხიზანიშვილი** (რედინგი), **ლაშა სალუქვაძე, დავით კვირკველია** (ორივე - რუბინი), **ალექსანდრე ამისულაშვილი** (ქაისერი), **უჩა ლობჟანიძე** (დნეპრი), **მათე ღვინიანიძე** (მიუნხენ 1860);

ნახევარმცველები: **ლევან კობიაშვილი** (ჰერტა), **გოგიტა გოგუა** (სპარტაკი ნ), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მ), **გიორგი მერებაშვილი** (ვოივოდინა), **ალექსანდრე კოშკაძე** (დინამო), **თორნიკე აფციაური** (ზესტაფონი);

თავდამსხმელები: **ვლადიმერ დვალიშვილი** (მაქაბი ჰ), **ალექსანდრე იაშვილი** (კარლსრუე), **დავით სირაძე** (სპარტაკი ნ), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ზესტაფონი).

ბუნებრივია, საბერძნეთის ნაკრების ნისქვილზე ერთგულ და აქტიურ გულშემატკივართა სიმრავლე დაასხამს წყალს, მაგრამ ქომაგის გარეშე არც ჩვენი გუნდი დარჩება. ქართველი გულშემატკივრებისთვის საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ მატჩზე დასასწრები 400 ბილეთი გამოყო და მოსალოდნელია, რომ ჩვენი თანამემამულეები სტადიონზე ამ რაოდენობის ადგილებს სრულად შეავსებენ. არც ისაა გამორიცხული, რომ საკუთარი ნაკრების საქომაგოდ სტადიონზე 400-ზე გაცილებით მეტი ქართველიც მივიდეს. თამაშზე დასასწრები ბილეთები ევროპული საზომით არცთუ ძვირი - 10, 20 და 30 ევრო ღირს.

ბერძნულმა პრესამ იქაური აეკ-ის ყოფილ ფეხბურთელსა და „ოლიმპიაკოსის" ყოფილ მწვრთნელ ქეცბაიას მოახლოებული დაპირისპირების შესახებ კომენტარი სთხოვა. *„შესარჩევი ტურნირის თითოეულ მატჩში მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძოლებთ და ზუსტად ამ განწყობით გავალთ საბერძნეთთან სათამაშოდ. ბუნებრივია, წინ ურთულესი შეხვედრა გველის, მაგრამ წარმატების შანსი ჩვენც გვაქვს და მის გამოყენებას შევეცდებით"*, - თქვა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

საქართველოს ნაკრების სასტარტო შემადგენლობა დღეს სავარაუდოდ, ასეთი უნდა იყოს: **რევიშვილი - ლობჟანიძე, ასათიანი, ამისულაშვილი, კალაძე - ხიზანიშვილი, კობიაშვილი - ანანიძე, გოგუა, იაშვილი - დვალიშვილი.**

### ბერძნები ქართველებისგან თავდაცვას ელიან

ახლა კი მეტოქის ბანაკში შევიხედოთ. რასაკვირველია, ევროპის 2004 წლის ჩემპიონი საკვალიფიკაციო ციკლის დაწყებას გამარჯვებით აპირებენ. ბერძნული პრესა საქართველოს ნაკრებს ხელწამოსაკრავ მეტოქედ არ მიიჩნევს, მაგრამ იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ფერნანდუ სანტუშს** ჩვენზე გაცილებით მაღალი დონის გუნდი ჰყავს და აქედან გამომდინარე, ვალდებულია გაიმარჯვოს. საბერძნეთში დარწმუნებულნი არიან, რომ საქართველოს ნაკრები დაცვითი ტაქტიკით ითამაშებს. ქეცბაიასი არ იყოს, ამჟამინდელ პოსტზე ეს სახელოვანი **ოტო რეჰაგელის** პორტუგალიელი შემცვლელისთვისაც პირველი ოფიციალური მატჩი იქნება.

ბერძნებს ორი ახალწვეული ჰყავთ - „პანათინაიკოსის" თავდამსხმელი **ანტონის პეტროპულოსი** და იტალიური „ბრეშას" ნახევარმცველი **პანაიოტის კონე**. სანაკრებო კარიერის დასრულება **სოტირის კირიაკოსმა** და **იოანის ამანატიდისმა** გადაწყვიტეს. 7 სექტემბერს სანტუშის გუნდი სტუმრად ხორვატიის წინააღმდეგ ითამაშებს.

საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ კი ბერძნები სავარაუდოდ, 4-4-2 ტაქტიკითა და ამ ძირითადი შემადგენლობით ითამაშებენ: **სიფაკისი - სეიტარიდისი, პაპადოპულოსი, პაპასტატოპულოსი, სპიროპულოსი - კარაგუნისი, კაცურანისი, სამარასი, ტოროსიდისი - სალპიგიდისი, გეკასი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

### F ჯგუფი

საბერძნეთი, ხორვატია, ისრაელი, ლატვია, საქართველო, მალტა

**2 სექტემბერი**

ისრაელი-მალტა 3:1

**3 სექტემბერი**

ლატვია-ხორვატია
საბერძნეთი-საქართველო

**7 სექტემბერი**

საქართველო-ისრაელი
მალტა-ლატვია
ხორვატია-საბერძნეთი

**8 ოქტომბერი**

საქართველო-მალტა
საბერძნეთი-ლატვია
ისრაელი-ხორვატია

**12 ოქტომბერი**

ხორვატია-მალტა
ლატვია-საქართველო
საბერძნეთი-ისრაელი

**26 მარტი**

ისრაელი-ლატვია
მალტა-საბერძნეთი
საქართველო-ხორვატია

**4 ივნისი**

საბერძნეთი-მალტა
ხორვატია-საქართველო
ლატვია-ისრაელი

**2 სექტემბერი**

საქართველო-ლატვია
ისრაელი-საბერძნეთი
მალტა-ხორვატია

**6 სექტემბერი**

მალტა-საქართველო
ხორვატია-ისრაელი
ლატვია-საბერძნეთი

**7 ოქტომბერი**

ლატვია-მალტა
ისრაელი-საქართველო
საბერძნეთი-ხორვატია

**11 ოქტომბერი**

ხორვატია-ლატვია
მალტა-ისრაელი
საქართველო-საბერძნეთი

TV და ფეხბურთი

## საბერძნეთი-საქართველოს ვერ ნახავთ?

დღეს 22:45 საათზე ათენში საბერძნეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა მატჩით ჩვენი გუნდი ევრო 2012-ის აღმართს შეუყვება. **თემურ ქეცბაია** ციკლს გასვლითი შეხვედრით იწყებს და ბუნებრივია, როგორც ყოველთვის, ქართველი გულშემატკივარი კარს მომდგარ შესარჩევს იმედით ელის...

შეიძლება, ბევრს არ სჯერა, მაგრამ ფაქტია - ხანგრძლივი კრიზისისა და იმედგაცრუებების მიუხედავად, ქართველი ქომაგი მოუთმენლად ელის რეპორტაჟს ათენიდან, რომელსაც...

რომელსაც ვნახავთ თუ არა, ახლაც არ ვიცით, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ გუშინ „ლელოს" რედაქციაში ტელეფონის ზარი არ შეწყვეტილა - გულშემატკივარს აინტერესებს, იქნება თუ არა ათენური მატჩის ტრანსლაცია „პირველ არხზე"?

ბუნებრივია, ეს ჩვენთვისაც საინტერესოა და ამიტომაც დავუკავშირდით კომპეტენტურ ხალხს. როგორც გავარკვიეთ, „პირველი არხის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს მედიაკომპანია „სპორტ 5"-თან, რომელსაც ჩვენი ჯგუფის ყველა ნაკრების შეხვედრათა ჩვენების უფლება უპყრია ხელთ. საქართველოს ნაკრების გასვლით შეხვედრათა რეპორტაჟების საფასურად ხსენებული მედიაკომპანია გარკვეულ (ჩვენთვის უცნობ) თანხას სთხოვს „პირველ არხს", რაც ამ უკანასკნელისთვის მიუღებელია.

„პირველი არხი" მატჩის მნიშვნელობასა და მაყურებელთა ინტერესს ანგარიშს უწევს და ცდილობს, საბერძნეთი-საქართველო როგორმე აჩვენონ. თუ რა გამოვა ამ მცდელობიდან, დღეს გაირკვევა, რადგან მოლაპარაკება გუშინ გვიან ღამემდე მიმდინარეობდა...

გარკვეულია მხოლოდ თბილისური მატჩების რეპორტაჟები: 7 სექტემბერს ახალგაზრდული ნაკრები „ლოკომოტივზე" სომხეთის 21-წლამდელებს უმასპინძლებს და ამ თამაშს ტელეკომპანია „მზე" 19 საათიდან გადასცემს. „ბორის პაიჭაძეზე" კი საქართველოსა და ისრაელის ეროვნულ ნაკრებთა მატჩი გაიმართება და ის 21 საათზე დაიწყება. თამაშს „პირველი არხი" გადასცემს.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქეები

## მოდრიჩი ჯანზეა, ასტაფიევსი ზღაპრულ მაჩვენებელზე

დღეს ჩვენი, F ჯგუფის მატჩი პირეოსთან ერთად, რიგაშიც ჩატარდება. ლატვიის ნაკრები ხორვატიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ორივე გუნდი ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს. ხორვატთა დამრიგებელ **სლავენ ბილიჩს ლუკა მოდრიჩის** მდგომარეობა ადარდებდა, მაგრამ „ტოტენჰემის" ნახევარმცველი დროულად მომჯობინდა, ხორვატიის ნაკრებს ლატვიაშიც დაეხმარება და 7 სექტემბერს საბერძნეთთან საშინაო დაპირისპირებაშიც.

ლატვიის ნაკრების კაპიტან **ვიტალის ასტაფიევსისთვის** ხორვატიასთან ჩატარებული შეხვედრა 163-ე იქნება. 7 სექტემბერ **ალექსანდრს სტარკოვსის** გუნდი სტუმრად მალტის წინააღმდეგ ითამაშებს.

### გუშინ ბენაიუნმა ჰეთ-თრიკით გახსნა

**ისრაელი-მალტა 3:1**

**ისრაელი:** ავათე, ბენ ჰაიმი, ბონდარვი, ქაიალი (86. გოლასა), ა. კოჰენი, რაფაელოვი, ტ. კოჰენი, ბენ-დაიანი, საჰარი (73. არბეიტმანი), ზაჰავი (51. ვერმუთი), ბენაიუნი.

**მალტა:** ჰოგი, კარუანა, მამო, შიბერასი, აგიუსი, ბოგდანოვიჩი (57. კოენი), ბრიფა (82. ფაილა), პეისი, ერერა (80. ე. მუსკატი), ბაიადა, მიფსუდი.

**გოლები:** 1:0 ბენაიუნი (7), 1:1 პეისი (38), 2:1 ბენაიუნი (64. პენ.), 3:1 ბენაიუნი (75)

**გაფრთხილება:** ბოგდანოვიჩი (34), ბენაიუნი (40), კოენი (61), პეისი (90)

**არბიტრი:** ს. ენიიმი (საფრანგეთი).

ჩვენს ჯგუფში ბრძოლა გუშინ, „რამათ განზე" გაიხსნა, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ისრაელის ნაკრებმა ჯგუფის აუტსაიდერ მალტას სძლია. უნდა აღინიშნოს, რომ კუნძულელებს თავი სულაც არ შეურცხვენიათ და **ლუის ფერნანდესის** გუნდს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს.

თუმცა გუშინ მოედანზე იყო ფეხბურთელი, რომელსაც სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს. **იოსი ბენაიუნმა** ჰეთ-თრიქი შეასრულა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არა მხოლოდ ებრაელთა გამორჩეული ფეხბურთელია, ევროპული დონის ვარსკვლავიცაა.

ისრაელმა სწრაფი გოლი გაიტანა და ალბათ, ყველას ეგონა, რომ მეტოქის კარს კიდევ არაერთხელ დალაშქრავდა, მაგრამ მოულოდნელად, პირველი ტაიმის ბოლოს მალტამ წონასწორობა აღადგინა. შესვენების შემდეგ მასპინძელთა გაცილებით მაღალმა კლასმა მაინც თავისი ქნა და ისრაელი ჯგუფში მინიმუმ ერთი დღით გალიდერდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 21. თურქეთი-საქართველო. მატჩის წინ

## გიორგი ივანიშვილი
## თურქეთს რომ მოვუგებდით, ვინმეს სჯეროდა?

**„ლელო" ესაუბრა გიორგი ივანიშვილს, რომელიც ზაფხულში „ციურიხმა" ჩელენჯლიგის „შაფჰაუზენში" გაანათხოვრა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 20 წლის ფორვარდმა გასული სეზონი იმავე ლიგის „ვოლენში" გაატარა. გიორგი მიიჩნევს, რომ კლუბის შეცვლა მისი კარიერისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.**

**- ჩელენჯლიგაში თუ რჩებოდით, კარგად ნაცნობ „ვოლენში" დარჩენა არ გერჩივნათ?**

- არა რატომ, „შაფჰაუზენი" უკეთესი კლუბია და ბევრად ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ.

**- რამდენად სასურველია ყოველ წელს კლუბის შეცვლა? პროგრესს მაინც სტაბილურობა განაპირობებს...**

- ძნელი ეს კი არა, კლუბში მისვლის პერიოდია. არ იცი, რა გუნდში მიდიხარ, როგორ მიგიღებენ და ახალ გარემოს შეეჩვევი თუ არა. გუნდის სტილი და მწვრთნელის ხასიათიც გასათვალისწინებელია. ფეხბურთელი ყველა გუნდს ვერ მოერგები, ზოგიერთი შენთვის მიუღებელი სტილის ფეხბურთს თამაშობს. საბედნიეროდ, „შაფჰაუზენში" ყველაფერი მომეწონა, გუნდიც, ბიჭებიც და სტილიც და ამ ყველაფერს ძალიან ადვილად შევეგუე. სხვათა შორის, სადაც მივედი, „ციურიხში", „შაფჰაუზენსა" და „ვოლენშიც", მეგობრები ყველგან უცებ შევიძინე.

**- როგორც ჩანს, მწვრთნელიც კეთილგანწყობილია, რადგან ძირითადში გაყენებთ...**

- მწვრთნელსაც მოვწონვარ და მათამაშებს. ბოლო ორი შეხვედრა ძირითადში დამაყენა, „აარაუსთან" და „კიასოსთან", პირველს გოლიც გავუტანე, მეორესთან კი 0:2 წავაგეთ და ბუნებრივია, თავი ვერ გამოვიჩინე.

**- „ციურიხში" დარჩენა და ძირითადში მოხვედრისთვის ბრძოლა რატომ არ გსურდათ?**

- „ციურიხში" მეოთხე თავდამსხმელად დარჩენა შემეძლო, მაგრამ ეს არანაირად არ მაწყობდა. ვითარება რეალურად გავაანალიზე და მივხვდი, რომ ძირითადში ვერ მოვხვდებოდი, შეცვლაზე 10-15 წუთის თამაშით კი ვერ გავიზრდები. არადა, ჩემს ასაკში სათამაშო პრაქტიკა განსაკუთრებით მჭირდება და „შაფჰაუზენში" თამაშს ამიტომ დავთანხმდი.

**- ახალგაზრდულში ციკლის დასაწყისში ბევრად უკეთ გამოიყურებოდით, ვიდრე თუნდაც სომხეთთან. ერევანში მოუმზადებელი იყავით?**

- გეთანხმებით, სომხეთთან საუკეთესო შეხვედრა არ ჩამიტარებია, რადგან ამ დროისთვის „შაფჰაუზენში" 90 წუთი ნათამაშები არ მქონდა. ორი შეხვედრა ამის შემდეგ ძირითადში ჩავატარე, ჯანზეც მოვედი და თავს ბევრად უკეთესად ვგრძნობ.

**- თურქეთთან მატჩში ჩვენი გუნდის შანსებზე რას ფიქრობთ?**

- ზესტაფონის მატჩამდეც ბევრს არ სჯეროდა, რომ მოვიგებდით, მაგრამ ვიომეთ და ხალხი გავახარეთ. იმაზე ფიქრს, შევძლებთ თუ არა ძლიერი გუნდისთვის წინააღმდეგობის გაწევას, მოედანზე გასვლა და კაცური ბრძოლა სჯობია.

**მერაბ მამულაშვილი**

თემის გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩვენ და ბერძნები

# საშინელი სტატისტიკა

**საქართველოს** ნაკრების ბოლო წლების ქრონიკული წარუმატებლობის ფონზე, ამა თუ იმ მეტოქესთან უარყოფითი ბალანსი აღარც უნდა გვიკვირდეს: მაგრამ დღევანდელ მონინააღმდეგესთან ბალანსი რომ გავაჩნია, უარყოფითი კი არა, მართლაც კოშმარული-საშინელი უნდა ვუწოდოთ! თავად განსაჯეთ: საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრებები დღემდე ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ხუთივეჯერ ბერძნებმა გაიმარჯვეს; აქედან გამომდინარე, რა ძნელი მისახვედრია, რომ ბურთების სხვაობაშიც ბერძნებს საგრძნობი უპირატესობა ექნებათ - 11:3. არანაკლებ დამთრგუნველი სტატისტიკაა საკლუბო დონეზეც: ქართული და ბერძნული გუნდები ევროტურნირებზე ერთმანეთს რვაჯერ დაუპირისპირდნენ და ამ შემთხვევაშიც კატასტროფული შედეგები გვაქვს. თანაც, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი გუნდები ასტრონომიული ანგარიშით მარცხდებოდნენ ბერძნულ კლუბებთან: აეკ-"ტორპედოს" 6:0-ც მწარედ გვახსოვს და აღარაფერს ვამბობთ მართლაც სამარცხვინო მატჩზე, „ლოკომოტივმა" საკუთარ მოედანზე პაოკ-თან 0:7 რომ წააგო! სულ კი ევროტურნირებზე ბერძნულ გუნდებთან 8 მატჩი ჩავატარეთ, აქედან 7 წავაგეთ და 1 ფრედ ვითამაშეთ, ბურთების სხვაობაც ჩვენთვის კატასტროფულია: 2-26! კიდევ კარგი, ორი წლის წინ, თბილისის „დინამომ" საშინაო ფრე (0:0) გაახერხა „პანათინაიკოსთან", თორემ, სანაკრებო დაპირისპირებების მსგავსად, ბერძნებს საკლუბო დონეზეც ასპროცენტიანი მაჩვენებელი ექნებოდათ ქართულ გუნდებთან.

ანუ, საკლუბო და სანაკრებო დონეზე ჩატარებული მატჩები რომ შევაჯამოთ, მართლაც „არანორმალურ სურათს" მივიღებთ: 13 შეხვედრიდან ბერძნებმა 12 მოიგეს და მხოლოდ 1 მატჩი ფრედ ითამაშეს (ბურთების სხვაობა: 37-5). მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად და... მარადიულად ქართული ოპტიმიზმიდან გამომდინარე, ვისურვოთ, რომ ეს უნუგეშო სტატისტიკა სწორედ დღეს შეიცვალოს; ყოველ შემთხვევაში, საბერძნეთთან სანაკრებო დონეზე ერთხელ მაინც ხომ უნდა შევძლოთ ქულ(ებ)ის აღება?..

## იპოვეთ 5 განსხვავება

დღეს მხოლოდ სანაკრებო დაპირისპირებებზე ვისაუბრებთ და უპირველეს ყოვლისა, „უცნაურობაზე" გავამახვილებთ ყურადღებას: საბერძნეთთან წაგებულ ხუთივე მატჩში საქართველოს ნაკრებს სხვადასხვა მწვრთნელი ჰყავდა...

...საბერძნეთისა და საქართველოს ნაკრებების პირველი დაპირისპირება 1996 წლის 8 მაისს შედგა; მატჩი ამხანაგური იყო და მასპინძლები თუ უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობდნენ, ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე ჩივაძემ** წინა შეხვედრაში დიდი ანგარიშით წაგების (0:5, რუმინეთთან) შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოახდინა. თავდაპირველად ჩვენ ვიგებდით - გოლი **გოჩა გოგრიჭიანმა** გაიტანა, მაგრამ მეორე ტაიმში **დემის ნიკოლაიდისმა** „დუბლი" შეასრულა და გამარჯვებაც მასპინძლებს დარჩათ. აღსანიშნავია, რომ იმ მატჩში ჩვენი ნაკრების კაპიტანი **თემურ ქეცბაია** გახლდათ, ხოლო **ნიკა ტოგონიძესა** და **გიორგი დემეტრაძეს** საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდათ...

მომდევნო მატჩი უკვე დიდი ანგარიშით წავაგეთ; თანაც ოფიციალური თამაში იყო და აეკ-თან თუ პაოკ-თან სამარცხვინო წაგებების მსგავსად, ის შეხვედრაც მწარედ გვახსენდება: ბერძნებს პირველ ტაიმში აშკარაზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი უპირატესობა ჰქონდათ; ჰოდა, ჩვენს კარში გატანილი სამი გოლი ლოგიკურიც იყო და კიდევ კარგი, მასპინძლებმა მეორე ტაიმში აშკარად დაგვინდეს, თორემ სანაკრებო დონეზე ანტირეკორდსაც დავამყარებდით. ჩვენი ნაკრების თავკაცი **ვლადიმერ გუცაევი** გახლდათ, **თემურ ქეცბაია**, რაღა თქმა უნდა, ძირითადში იყო, ხოლო ის მატჩი კიდევ იმით გვახსენდება, რომ **მურთაზ შელიამ** თავისი ბოლო სანაკრებო შეხვედრა ჩაატარა...

აი, მესამე მატჩში კი წაგებას აშკარად არ ვიმსახურებდით: 1999 წლის 5 ივნისს ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპის** ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები მეორე შეხვედრას ატარებდა და მეტოქეს არაფერში ჩამოუვარდებოდით. ეგ კი არა, თემურ ქეცბაიას გოლის წყალობით გამარჯვებისთვისაც უნდა მიგველწია, მაგრამ მატჩის ბოლო 5 წუთში 2 უპატიებელი შეცდომა... წაგების ტოლფასი გახდა! სხვათა შორის, სწორედ იმ შეხვედრაში შედგა **ზურაბ ხიზანიშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** სანაკრებო დებიუტიც - 17 წლის ბიჭები ჩვენს უპირველეს გუნდში პირველად რომ გამოჩნდნენ, საქართველოს ჩემპიონატში, ორივეს ერთად 10 შეხვედრაც არ ჰქონდათ ჩატარებული...

ბერძნებთან მეოთხე მატჩიც უცხოელი მწვრთნელის, **ალენ ჟირესის** ხელმძღვანელობით ვითამაშეთ, მაგრამ 2005 წლის გაზაფხულზე ჩატარებულ მატჩშიც სტუმრებმა უპრობლემოდ გაიმარჯვეს. თანაც, ბერძენთა გერმანელ თავკაცს **ოტო რეხაგელს**, ფაქტობრივად, ის გუნდი ჰყავდა ჩამოყვანილი, წინა წელს ევროპის ჩემპიონატზე რომ გაიმარჯვა. რაც შეეხება 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საბერძნეთისა და საქართველოს ნაკრების მეორე შეხვედრას, ამ შემთხვევაში ჩვენთვის „საამაყო" ის იყო, რომ მხოლოდ მინიმალური სხვაობით (0:1) დავმარცხდით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების იმდროინდელმა თავკაცმა **გაიოზ დარსაძემ** ჩვენს უპირველეს გუნდში 17 წლის სამ ჭაბუკს მისცა თავის გამოჩენის საშუალება: **გიორგი განუგრავას, რატი წინამძღვრიშვილსა** და **ბექა გოცირიძეს**.



თემურ ქეცბაია

### ამხანაგური მატჩი

**საბერძნეთი-საქართველო 2:1**

08.05.96. იანინა. 30 000 მაყურებელი

0:1 გოგრიჭიანი (15), 1:1 ნიკოლაიდისი (67), 2:1 ნიკოლაიდისი (88)

საბერძნეთი: ატმაციდისი (46. მიხოპულოსი) - აპოსტალაკისი (46. კონსტანდინიდისი), კასაპისი (46. ფრანცეკოსი), უზუნიდისი, კალიცაკისი - ზაგორაკისი, ალექსანდრისი, გეორგიადისი. ნიკოლაიდისი - ცარტასი (46. ბატისტა/59. ნისოპულოსი), დონისი (46. ვრიზასი).

მწვრთნელი: კ. პოლიქრონიუ

საქართველო: ი. ზოიძე (22. ნ. ტოგონიძე) - გ. ლუდუშაური (46. გ. დემეტაძე), ნ. ლობჟანიძე, დ. კუდინოვი, გ. ჩიხრაძე - კ. გოგიჩაიშვილი, გ. ნემსაძე, რ. არველაძე, თ. ქეცბაია - გ. გოგრიჭიანი (55. ვ. გურუა), შ. არველაძე.

მწვრთნელი: ა. ჩივაძე

გაფრთხილება: აპოსტალაკისი, კონსტანტინიდისი; ქეცბაია, ლობჟანიძე, ტოგონიძე, გურუა.

არბიტრი: ლ. ზულფო (ალბანეთი)

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საბერძნეთი-საქართველო 3:0**

14.09.98. ათენი. ოლიმპიური. 15 000 მაყურებელი

1:0 მახლასი (13), 2:0 ლიბეროპულოსი (15), 3:0 უზუნიდისი (36)

საბერძნეთი: ატმაციდისი - მარკოსი, დაბიზასი, უზუნიდისი, კალიცაკისი - პურსანიდისი, ზაგორაკისი, ფრანცეკოსი (77. ცარტასი), გეორგატოსი - მახლასი (85. მავროგენიდისი), ლიპეროპულოსი (70. იანაკოპულოსი).

მწვრთნელი: ა. იორდანესკუ

საქართველო: ნ. ტოგონიძე - კ. კალაძე, მ. შელია, გ. შეყილაძე, ლ. კობიაშვილი - მ. ყაველაშვილი (59. გ. გახოკიძე). გ. ნემსაძე, გ. ჯამარაული, თ. ქეცბაია - გ. ქინქლაძე - შ. არველაძე.

მწვრთნელი: ვ. გუცაევი

გაფრთხილება: მარკოსი; კალაძე, ქეცბაია

არბიტრი: ა. უზუნოვი (ბულგარეთი)

**საქართველო-საბერძნეთი 1:2**

05.06.99. თბილისი. ეროვნული. 15 000 მაყურებელი

1:0 ქეცბაია (55), 1:1 ფრანცეკოსი (86), 1:2 მახლასი (89)

საქართველო: დ. გვარამაძე - ბ. ახვლედიანი (65. ზ. ხიზანიშვილი), დ. ჭიჭვეიშვილი (10. გ. დიდავა), ო. ხიზანეიშვილი, მ. წერეთელი - ლ. ცქიტიშვილი (56. რ. ალექსიძე), გ. ნემსაძე, გ. ჯამარაული, ლ. კობიაშვილი - თ. ქეცბაია - მ. აშვეთია.

მწვრთნელი: ვ. დანიილი

საბერძნეთი: ატმაციდისი - მავროგენიდისი, უზუნიდისი, კასაპისი, ანატოლაკისი - პურსანიდისი, ზაგორაკისი (81. ფრანცეკოსი), კონსტანიდისი (46. ფრუსოსი), გეორგატოსი (61. ანასტასიუ) - მახლასი, ნინიადისი.

მწვრთნელი: ი. ბოსკამპი

გაფრთხილება: წერეთელი, დიდავა, ნემსაძე; კასაპისი, ზაგორაკისი, ფრუსოსი, პურსანიდისი.

არბიტრი: ვ. იანგი (შოტლანდია)

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საქართველო-საბერძნეთი 1:3**

26.03.2005. თბილისი. ლოკომოტივი. 25000 მაყურებელი

1:0 მ. ასათიანი (22), 1:1 კაპსისი (44), 1:2 ვრიზასი (45), 1:3 იანაკოპულოსი (54)

საქართველო: გ. ლომაია - კ. მჟავანაძე, ზ. ხიზანიშვილი, ო. ხიზანეიშვილი, კ. კალაძე - გ. გოგუა (46. ლ. ცქიტიშვილი), ლ. კობიაშვილი, მ. ასათიანი, დ. კვირკველია - გ. დემეტრაძე, შ. არველაძე (62. ა. იაშვილი).

მწვრთნელი: ა. ჟირესი

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი - სეიტარიდისი, კაპსისი, კაცურანისი, გუმასი - ბასინასი, ზაგორაკისი - ხარისტეასი, კარაგუნისი, იანაკოპულოსი - ვრიზასი.

მწვრთნელი: ო. რეჰაგელი

გაფრთხილება: მჟავანაძე, ხიზანიშვილი; გუმასი

არბიტრი: რ. როზეტი (იტალია)

**საბერძნეთი-საქართველო 1:0**

12.10.2005. ათენი. 3500 მაყურებელი

1:0 პაპადოპულოსი (17)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი - სეიტარიდისი, კაპსისი, დელასი (64. ანატოლაკისი) გუმასი - ბასინასი, ზაგორაკისი (54. კაფესი) - კაცურანისი, პაპადოპულოსი, სალპიგიდისი - მანციოსი (46. ვრიზასი).

მწვრთნელი: ო. რეჰაგელი

საქართველო: ნ. რევიშვილი - კ. მჟავანაძე, ზ. ხიზანიშვილი, ლ. სალუქვაძე (46. რ. წინამძღვრიშვილი), კ. კალაძე - გ. განუგრავა, ჯ. კანკავა - გ. გოგუა, დ. მუჯირი, ლ. კობიაშვილი - გ. დემეტრაძე (85. ბ. გოცირიძე).

მწვრთნელი: გ. დარსაძე

გაფრთხილება: ბასინასი, ვრიზასი; გოგუა, მუჯირი, კანკავა, ხიზანიშვილი, გოცირიძე.

არბიტრი: მ. ტრეფოლინი (იტალია)

## ძველ-ახალი მეტოქე

საბერძნეთის ნაკრების მიღწევებსა და ამ გუნდის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელის ოტო რეხაგელის მოღვაწეობაზე ორი დღის წინ ვრცლად ვისაუბრეთ. ახლა კი საბერძნეთის ამჟამინდელ ნაკრებზეც გვინდა ვთქვათ, მით უფრო, რომ ახლახან დასრულებული მუნდიალის შემდეგ გუნდს ახალი თავკაცი ჰყავს - პორტუგალიელი სპეციალისტი **ფერნანდუ სანტუში**.

საფეხბურთო კარიერა მან „ბენფიკაში" დაიწყო, შემდეგ „მარიტიმუსა" და „ეშტორილში" თამაშობდა; სწორედ ამ უკანასკნელ გუნდში დაასრულა აქტიური კარიერა (30 წლის ასაკში) და ამის შემდეგ 12 წლის განმავლობაში, სულ სხვა პროფილით მუშაობდა: ლისაბონის საინჟინრო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ტელეკომუნიკაციების ტექნიკური ინჟინერი გახლდათ. 1987 წელს კი კვლავაც ფეხბურთში დაბრუნდა და „ეშტორილი" პორტუგალიის მესამე ლიგიდან უმაღლეს დივიზიონამდე ალაზევა; ამას მოჰყვა ოთხწლიანი პერიოდი „ამადორაში", ხოლო 1998 წელს ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „პორტუ" ჩაიბარა!

სანტუშმა „პორტუს" ჩემპიონობა მოაპოვებინა და ორ-ორჯერ ქვეყნის თასი და სუპერთასიც აალებინა. ამას კი უკვე უცხოეთიდან მოწვევა მოჰყვა: ერთი სეზონი ბერძნულ აეკ-ს წვრთნიდა, შემდეგ კი მეორე იქაურ გრანდს - „პანათინაიკოსს". ამის მერე ისევ პორტუგალია-საბერძნეთს შორის მოგზაურობდა: ერთი წლით ლისაბონის „სპორტინგში" იმუშავა, რასაც კვლავაც აეკ-ში გადასვლა მოჰყვა; 2006 წელს კი „ბენფიკაში" დაუძახეს, მაგრამ იქაც მხოლოდ ერთი სეზონი დაყო; 2007 წლიდან კი „გადაბმით" სამი სეზონი ბერძნულ პაოკ-ში იყო და პორტუგალიელი მწვრთნელის დიდი დამსახურებაც არის, ეს სალონიკური გუნდი წინა ჩემპიონატში „ოლიმპიაკოსს" ოქროს მედლებში რომ ეცილებოდა.

მოკლედ, ამ სპეციალისტს, ფაქტობრივად, პორტუგალიისა და საბერძნეთის თითქმის ყველა გრანდში უმუშავია, მაგრამ სანაკრებო დონეზე პირველი „ნათლობა" ამა წლის 11 აგვისტოს ჰქონდა: საბერძნეთის ნაკრებმა სტუმრად სერბებს მოუგო (1:0), როგორც უკვე აღვნიშნეთ, სანტუში საბერძნეთის ნაკრებში მუნდიალის შემდეგ დაინიშნა; თუმცა ახალ მწვრთნელს ნაკრების შემადგენლობაში რადიკალური ცვლილებები არ მოუხდენია: საქართველოს ნაკრებთან მატჩისათვის გამოძახებული 22 ფეხბურთელიდან მხოლოდ 6 მოთამაშეა ისეთი, რომლებსაც სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე არ უასპარეზიათ:

**სტელიოს მალეცასი** (პაოკ), **გეორგიოს ცაველასი** (აინტრახტი, გერმანია), **პანაგიოტის კონე** (ბრეშა, იტალია), **კოსტას მიტროღლუ** (ოლიმპიაკოსი), **იოანის მანიატისი** (პანიონისი) და **ანტონის პეტროპულოსი** (პანათინაიკოსი). დანარჩენები კი ნაკრების მეტ-ნაკლებად სტაჟიანი წევრები არიან: მეკარეები - **მიხალის სიფაკისი** (არისი), **ალექსანდროს ცორვასი** (პანათინაიკოსი), მცველები: **ლუკაშ ვინტრა, იურკას სეიტარიდისი, ნიკოს სპიროპულოსი** (სამივე - პანათინაიკოსი), **სოკრატის პაპასტოპულოსი** (მილანი, იტალია), **ავრაამ პაპადოპულოსი** (ოლიმპიაკოსი); ნახევარმცველები: **კოსტას კაცურანისი, გეორგიოს კარაგუნისი, სოტირის ნინისი** (სამივე - პანათინაიკოსი), **ვასილის ტოროსიდისი** (ოლიმპიაკოსი), **ალექსანდროს ციოლისი** (რასინგი, ესპანეთი), **პანტელის კაფესი** (აეკ); თავდამსხმელები: **თეოფანის გეკასი** (აინტრახტი, გერმანია), **გეორგიოს სამარასი** (სელტიკი, შოტლანდია), **დიმიტრის სალპიგიდისი** (პანათინაიკოსი).



ფერნანდუ სანტუში

მაგრამ, ძველი ბირთვის შენარჩუნება იმას არ ნიშნავს, რომ სანტუში... რეხაგელის მიერ არჩეულ ტაქტიკასაც არ შეცვლიდა. პირიქით: სასურველ შედეგთან ერთად სანახაობრივ მხარესაც დიდ მნიშვნელობას მივანიჭებთო და ამიერიდან, საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში ერთდროულად 5 ან 6 (!) მცველი აღარ იქნებაო, ბრძანა ნაკრების თავკაცად დანიშვნისთანავე ფერნანდუ სანტუშმა. რა მიხვედრა უნდა: სახელოვან წინამორბედს „კბილი გაჰკრა", - რეხაგელს ხომ მეტისმეტი სიფრთხილის გამო საბერძნეთში უამრავი კრიტიკოსი ჰყავდა.

საბერძნეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა სადებიუტო შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვა; იგივე შედეგი უჩვენა თემურ ქეცბაიამაც, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ორივე ის მატჩი (სერბეთი-საბერძნეთი და საქართველო-ესტონეთი) ამხანაგურ ხასიათს ატარებდა; აი, დღეს კი, იმის გარდა, რომ ახალი შესარჩევი ციკლი იწყება, პორტუგალიელი ფერნანდუ სანტუშიც და ქართველი თემურ ქეცბაიაც თავიანთ პირველ ოფიციალურ მატჩს ჩაატარებენ. ბოლოს და ბოლოს, ნავსი უნდა გატყდეს და საქართველოს ნაკრებმა თავის მეტისმეტად უხერხულ მეტოქესთან ქულა (ან, ქულები) ხომ უნდა მოიპოვოს?..

**გია ტუხაშვილი**

# ევრო 2012

## საკვალიფიკაციო ეტაპი. კალენდარი და წინასამატჩო

ეროვნული ბიბლიოთეკა

### A ჯგუფი

გერმანია, თურქეთი, ბელგია, ავსტრია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი

**3 სექტემბერი**

ყაზახეთი-თურქეთი
ბელგია-გერმანია

**7 სექტემბერი**

თურქეთი-ბელგია
ავსტრია-ყაზახეთი
გერმანია-აზერბაიჯანი

**8 ოქტომბერი**

ავსტრია-აზერბაიჯანი
ყაზახეთი-ბელგია
გერმანია-თურქეთი

**12 ოქტომბერი**

ბელგია-ავსტრია
აზერბაიჯანი-თურქეთი
ყაზახეთი-გერმანია

**25 მარტი**

გერმანია-ყაზახეთი
ავსტრია-ბელგია

**29 მარტი**

ბელგია-აზერბაიჯანი
თურქეთი-ავსტრია

**3 ივნისი**

ყაზახეთი-აზერბაიჯანი
ბელგია-თურქეთი
ავსტრია-გერმანია

**7 ივნისი**

აზერბაიჯანი-გერმანია

**2 სექტემბერი**

თურქეთი-ყაზახეთი
აზერბაიჯანი-ბელგია
გერმანია-ავსტრია

**6 სექტემბერი**

აზერბაიჯანი-ყაზახეთი
ავსტრია-თურქეთი

**7 ოქტომბერი**

ბელგია-ყაზახეთი
აზერბაიჯანი-ავსტრია
თურქეთი-გერმანია

**11 ოქტომბერი**

თურქეთი-აზერბაიჯანი
გერმანია-ბელგია
ყაზახეთი-ავსტრია

### B ჯგუფი

სლოვაკეთი, რუსეთი, ირლანდია, მაკედონია, სომხეთი, ანდორა

**3 სექტემბერი**

სომხეთი-ირლანდია
ანდორა-რუსეთი
სლოვაკეთი-მაკედონია

**7 სექტემბერი**

რუსეთი-სლოვაკეთი
მაკედონია-სომხეთი
ირლანდია-ანდორა

**8 ოქტომბერი**

ანდორა-მაკედონია
სომხეთი-სლოვაკეთი
ირლანდია-რუსეთი

**12 ოქტომბერი**

სომხეთი-ანდორა
სლოვაკეთი-ირლანდია
მაკედონია-რუსეთი

**26 მარტი**

რუსეთი-სომხეთი
ირლანდია-მაკედონია
ანდორა-სლოვაკეთი

**4 ივნისი**

სლოვაკეთი-ანდორა
მაკედონია-ირლანდია
სომხეთი-რუსეთი

**2 სექტემბერი**

ანდორა-სომხეთი
რუსეთი-მაკედონია
ირლანდია-სლოვაკეთი

**6 სექტემბერი**

მაკედონია-ანდორა
სლოვაკეთი-სომხეთი
რუსეთი-ირლანდია

**7 ოქტომბერი**

სომხეთი-მაკედონია
ანდორა-ირლანდია
სლოვაკეთი-რუსეთი

**11 ოქტომბერი**

რუსეთი-ანდორა
ირლანდია-სომხეთი
მაკედონია-სლოვაკეთი

### C ჯგუფი

იტალია, სლოვენია, სერბეთი, ჩრ. ირლანდია, ესტონეთი, ფარერები

**11 აგვისტო**

ესტონეთი-ფარერები 2:1

**3 სექტემბერი**

ფარერები-სერბეთი
სლოვენია-ჩრ. ირლანდია
ესტონეთი-იტალია

**7 სექტემბერი**

სერბეთი-სლოვენია
იტალია-ფარერები

**8 ოქტომბერი**

სლოვენია-ფარერები
სერბეთი-ესტონეთი
ჩრ. ირლანდია-იტალია

**12 ოქტომბერი**

ესტონეთი-სლოვენია
ფარერები-ჩრ. ირლანდია
იტალია-სერბეთი

**25 მარტი**

სერბეთი-ჩრ. ირლანდია
იტალია-სლოვენია

**29 მარტი**

ჩრ. ირლანდია-სლოვენია
ესტონეთი-სერბეთი

**3 ივნისი**

იტალია-ესტონეთი
ფარერები-სლოვენია

**7 ივნისი**

ფარერები-ესტონეთი

**10 აგვისტო**

ჩრ. ირლანდია-ფარერები

**2 სექტემბერი**

სლოვენია-ესტონეთი
ჩრ. ირლანდია-სერბეთი
ფარერები-იტალია

**6 სექტემბერი**

სერბეთი-ფარერები
ესტონეთი-ჩრ. ირლანდია
სლოვენია-იტალია



**7 ოქტომბერი**

ჩრ. ირლანდია-ესტონეთი
სერბეთი-იტალია

**11 ოქტომბერი**

იტალია-ჩრ. ირლანდია
სლოვენია-სერბეთი

### D ჯგუფი

საფრანგეთი, რუმინეთი, ბოსნია, ბელარუსი, ალბანეთი, ლუქსემბურგი

**3 სექტემბერი**

რუმინეთი-ალბანეთი
ლუქსემბურგი-ბოსნია
საფრანგეთი-ბელარუსი

**7 სექტემბერი**

ბელარუსი-რუმინეთი
ალბანეთი-ლუქსემბურგი
ბოსნია-საფრანგეთი

**8 ოქტომბერი**

ლუქსემბურგი-ბელარუსი
ალბანეთი-ბოსნია
საფრანგეთი-რუმინეთი

**12 ოქტომბერი**

საფრანგეთი-ლუქსემბურგი
ბელარუსი-ალბანეთი

**25 მარტი**

ლუქსემბურგი-საფრანგეთი
ალბანეთი-ბელარუსი
ბოსნია-რუმინეთი

**29 მარტი**

რუმინეთი-ლუქსემბურგი

**3 ივნისი**

რუმინეთი-ბოსნია
ბელარუსი-საფრანგეთი

**7 ივნისი**

ბელარუსი-ლუქსემბურგი
ბოსნია-ალბანეთი

**2 სექტემბერი**

ბელარუსი-ბოსნია
ლუქსემბურგი-რუმინეთი
ალბანეთი-საფრანგეთი

**6 სექტემბერი**

ლუქსემბურგი-ალბანეთი
ბოსნია-ბელარუსი
რუმინეთი-საფრანგეთი

**7 ოქტომბერი**

ბოსნია-ლუქსემბურგი
საფრანგეთი-ალბანეთი
რუმინეთი-ბელარუსი

**11 ოქტომბერი**

საფრანგეთი-ბოსნია
ალბანეთი-რუმინეთი

### E ჯგუფი

ჰოლანდია, შვედეთი, უნგრეთი, ფინეთი, მოლდოვა, სან მარინო

**3 სექტემბერი**

მოლდოვა-ფინეთი
შვედეთი-უნგრეთი
სან მარინო-ჰოლანდია

**7 სექტემბერი**

შვედეთი-სან მარინო
უნგრეთი-მოლდოვა
ჰოლანდია-ფინეთი

**8 ოქტომბერი**

უნგრეთი-სან მარინო
მოლდოვა-ჰოლანდია

**12 ოქტომბერი**

სან მარინო-მოლდოვა
ფინეთი-უნგრეთი
ჰოლანდია-შვედეთი

**17 ნოემბერი**

ფინეთი-სან მარინო

**25 მარტი**

უნგრეთი-ჰოლანდია

**29 მარტი**

შვედეთი-მოლდოვა
ჰოლანდია-უნგრეთი

**3 ივნისი**

სან მარინო-ფინეთი
მოლდოვა-შვედეთი

**7 ივნისი**

სან მარინო-უნგრეთი
შვედეთი-ფინეთი

**2 სექტემბერი**

ჰოლანდია-სან მარინო
ფინეთი-მოლდოვა
უნგრეთი-შვედეთი

**6 სექტემბერი**

მოლდოვა-უნგრეთი
სან მარინო-შვედეთი
ფინეთი-ჰოლანდია

**7 ოქტომბერი**

ჰოლანდია-მოლდოვა
ფინეთი-შვედეთი

**11 ოქტომბერი**

მოლდოვა-სან მარინო
უნგრეთი-ფინეთი
შვედეთი-ჰოლანდია

### G ჯგუფი

ინგლისი, შვეიცარია, ბულგარეთი, უელსი, ჩერნოგორია

**3 სექტემბერი**

ჩერნოგორია-უელსი
ინგლისი-ბულგარეთი

**7 სექტემბერი**

ბულგარეთი-ჩერნოგორია
შვეიცარია-ინგლისი

**8 ოქტომბერი**

უელსი-ბულგარეთი
ჩერნოგორია-შვეიცარია

**12 ოქტომბერი**

ინგლისი-ჩერნოგორია
შვეიცარია-უელსი

**26 მარტი**

ბულგარეთი-შვეიცარია
უელსი-ინგლისი

**4 ივნისი**

ჩერნოგორია-ბულგარეთი
ინგლისი-შვეიცარია

**2 სექტემბერი**

უელსი-ჩერნოგორია
ბულგარეთი-ინგლისი

**6 სექტემბერი**

ინგლისი-უელსი
შვეიცარია-ბულგარეთი

**7 ოქტომბერი**

უელსი-შვეიცარია
ჩერნოგორია-ინგლისი

**11 ოქტომბერი**

შვეიცარია-ჩერნოგორია
ბულგარეთი-უელსი

### H ჯგუფი

პორტუგალია, დანია, ნორვეგია, ისლანდია, კვიპროსი

**3 სექტემბერი**

ისლანდია-ნორვეგია
პორტუგალია-კვიპროსი

**7 სექტემბერი**

დანია-ისლანდია
ნორვეგია-პორტუგალია

**8 ოქტომბერი**

კვიპროსი-ნორვეგია
პორტუგალია-დანია

**12 ოქტომბერი**

დანია-კვიპროსი
ისლანდია-პორტუგალია

**26 მარტი**

კვიპროსი-ისლანდია
ნორვეგია-დანია

**4 ივნისი**

პორტუგალია-ნორვეგია
ისლანდია-დანია

**2 სექტემბერი**

ნორვეგია-ისლანდია
კვიპროსი-პორტუგალია

**6 სექტემბერი**

ისლანდია-კვიპროსი
დანია-ნორვეგია

**7 ოქტომბერი**

პორტუგალია-ისლანდია
კვიპროსი-დანია

**11 ოქტომბერი**

ნორვეგია-კვიპროსი
დანია-პორტუგალია

### I ჯგუფი

ესპანეთი, ჩეხეთი, შოტლანდია, ლიტვა, ლიხტენშტაინი

**3 სექტემბერი**

ლიტვა-შოტლანდია
ლიხტენშტაინი-ესპანეთი

**7 სექტემბერი**

ჩეხეთი-ლიტვა
შოტლანდია-ლიხტენშტაინი

**8 ოქტომბერი**

ესპანეთი-ლიტვა
ჩეხეთი-შოტლანდია

**12 ოქტომბერი**

ლიხტენშტაინი-ჩეხეთი
შოტლანდია-ესპანეთი

**25 მარტი**

ესპანეთი-ჩეხეთი

**29 მარტი**

ჩეხეთი-ლიხტენშტაინი
ლიტვა-ესპანეთი

**4 ივნისი**

ლიხტენშტაინი-ლიტვა

**2 სექტემბერი**

ლიტვა-ლიხტენშტაინი

**3 სექტემბერი**

შოტლანდია-ჩეხეთი

**6 სექტემბერი**

ესპანეთი-ლიხტენშტაინი
შოტლანდია-ლიტვა

**7 ოქტომბერი**

ჩეხეთი-ესპანეთი

**8 ოქტომბერი**

ლიხტენშტაინი-შოტლანდია

**11 ოქტომბერი**

ესპანეთი-შოტლანდია
ლიტვა-ჩეხეთი

# წინ

## უკრაინისა და პოლონეთისკენ!

### 51 გუნდი იწყებს ბრძოლას 14 ადგილისთვის

საკლუბოსთან ერთად, სანაკრებო ფეხბურთიც გვიბრუნდება: დღეს ევროპის 2012 წლის შესარჩევი ციკლი იწყება. უკრაინასა და პოლონეთში ჩასატარებელ კონტინენტის პირველობაზე მასპინძლების გარდა, 9 ქვეჯგუფის პირველადგილოსნები და საუკეთესო მეორეადგილოსანი გავლენ. დანარჩენი 8 მეორეადგილოსანი კი 4 საგზურს პლეი ოფში გაინაწილებს. პირველი ტურის ცენტრალური მატჩი ინგლისში იმართება, სადაც ფაბიო კაპელოს გუნდი კონკურენტ ბულგარეთს დაუპირისპირდება.

**A ჯგუფი**

### ლიოვი და პიდინკი ფრთხილობენ

**3 სექტემბერი**

ყაზახეთი-თურქეთი
ბელგია-გერმანია

სტატისტიკა ამ შემთხვევაში ყველაფერზე მეტყველებს: 1954 წლის 29 სექტემბრის შემდეგ, როცა მსოფლიოს „ახალგამომცხვარმა" ჩემპიონმა გერმანიამ ბრიუსელში ბელგიასთან 0:2 წააგო, ბუნდესგუნდი ამ მეტოქესთან ერთხელაც არ დამარცხებულა. მას მერე გერმანელები ბელგიელებს 14-ჯერ დაუპირისპირდნენ, 13-ჯერ დაამარცხეს და მხოლოდ ერთხელ, ისიც ამხანაგურ შეხვედრაში დასჯერდნენ ფრეს (0:0). ამრიგად, ფავორიტი გერმანიაა. მიუხედავად ამისა, ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** ფავორიტობის გაგონება არ სურს და ამბობს, არ დაგავიწყდეთ, რომ დიდი ტურნირების შემდეგ, წარმატებული გუნდები ხშირად ეცემიანო, მაგალითად კი იტალიის ნაკრები მოჰყავს, რომელმაც 2006 წელს, მსოფლიოს ჩემპიონის რანგში ლიტვასთან 1:1 ითამაშა. ლიოვი აცხადებს, რომ მისი შეგირდების აბსოლუტური უმრავლესობა საუკეთესო ფორმისგან ძალიან შორსაა. ლიოვს კონკრეტული გვარები არ ჩამოუთვლია, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს, პირველ რიგში **ლამი, კლოზე, მიულერი, ბადშტუბერი, გომესი** და **კროოსი** იგულისხმა. არცთუ კარგ ფორმაში არიან „რეალში" გადასულებიც, **მესუთ იოზილი** და **სამი ხედირა**. ლიოვს დაშავებული ჰყავს ცენტრალური მცველი **არნე ფრიდრიხი**, რომელსაც, სავარაუდოდ, **ჰაიკო ვესტერმანი** შეცვლის. მუნდიალზე სწორედ ამ უკანასკნელს უნდა ეთამაშა, მაგრამ მაშინ ის იყო ტრავმირებული.

თურქეთის ნაკრები ასტანაში, ყაზახეთთან გასამართი მატჩის წინ, რა თქმა უნდა, ფავორიტია - ახალ მწვრთნელ **გუუს ჰიდინკს** მხოლოდ გამარჯვება დააკმაყოფილებს. თუმცა ჰოლანდიელი თავის შეგირდებს აფრთხილებს: „*სუსტი მეტოქე და იოლი მატჩი არ არსებობს*," - განუცხადა მან გაზეთ „ფანატიკს".

**B ჯგუფი**

### ფავორიტები სამქულიანებით იწყებენ

**3 სექტემბერი**

სომხეთი-ირლანდია
ანდორა-რუსეთი
სლოვაკეთი-მაკედონია

მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრის შემდეგ, რუსეთი კიდევ ერთი საკვალიფიკაციო „ეტაპის ჩაგდებას" ვერ გადაიტანს. გუუს ჰიდინკი **დიკ ადვოკაატმა** შეცვალა და რუსები მას მიზნად ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას უსახავენ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან რუსეთის ნაკრებს არც ამჯერად უმტყუნა ბედმა და ისეთ ჯგუფში მოხვდა, რომელშიც პირველი ადგილის დაკავება ნამდვილად ხელეწიფება. ადვოკაატის გუნდის მთავარი კონკურენტები ირლანდია და სლოვაკეთი იქნებიან, თუმცა არც მაკედონია უნდა ჩამოვწეროთ.

რუსეთი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს ჯგუფის უპირობო აუტსაიდერთან, ანდორასთან გასვლითი მატჩით იწყებს. მართალია, ისეთი დრო დადგა, რომ ზერელედ არც ერთ გუნდს აღარ უნდა შეხედო, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ რუსები შესარჩევ ციკლს სამი ქულით დაიწყებენ. რაც მთავარია, ადვოკაატს ჯანმრთელად ჰყავს გუნდის ლიდერი **ანდრეი არშავინი**, რომელიც ანდორელების კარს, სავარაუდოდ, შტუტგარტელ **პაველ პოგრებნიაკთან** ერთად შეუტევს.

ლოგიკურად, პირველ ტურში სამი ქულის მოპოვება არც ირლანდიის ნაკრებს უნდა გაუჭირდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ირლანდიელებს რუსებზე რთული მატჩი ელით - სომხეთში. მას მერე, რაც ირლანდიამ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური სკანდალურად დაკარგა (გაიხსენეთ **ტიერი ანრის** ხელით თამაში), **ჯოვანი ტრაპატონი** და მისი შეგირდები ორმაგად მოტივირებულები არიან. ტრაპატონის თქმით, მისი გუნდისთვის ერევნიდან სამი ქულის წაღება აუცილებელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ მატჩში ტრაპი ტრავმირებულ **დემიენ დაფს** ვერ გამოიყენებს.

>> მე-5 გვერდზე



ინგლისის ნაკრების საბულგარეთო წვრთნა

# ევრო 2012

## საკვალიფიკაციო ეტაპი. კალენდარი და წინასამატჩო

« მე-4 გვერდიდან

ჯგუფის მესამე ფავორიტს, სლოვაკეთის ნაკრებს კი, პირველ ტურში მეტოქედ აუტსაიდერთა ტრიოდან ყველაზე ძლიერი, მაკედონიის ნაკრები ერგო. სამხრეთ აფრიკაში გამართული მუნდიალის შემდეგ, სლოვაკეთს ყველა პატივს სცემს. მსოფლიოს ჩემპიონატზე **რობერტ ვიტეკმა** (4 გოლი) და კომპანიამ სასიამოვნოდ გაგვაკვირვეს. სლოვაკებიც მხოლოდ სამ ქულას გეგმავენ, მაგრამ არ ავიწყდებათ, რომ მაკედონიის ნაკრების ჩამოწერა არ შეიძლება. სტუმრებს თავიანთი ლიდერი, **გორან პანდევი** მწყობრში ჰყავთ.

**C ჯგუფი**

### პრანდელის ოფიციალური დებიუტი ტალინში

**11 აგვისტო**

ესტონეთი-ფარერები 2:1

**3 სექტემბერი**

ფარერები-სერბეთი
სლოვენია-ჩრ. ირლანდია
ესტონეთი-იტალია

ამ ქვეჯგუფში ერთი მატჩი უკვე გაიმართა: 11 აგვისტოს ესტონეთის ნაკრებმა ფარერები 2:1 დაამარცხა და სხვათა შორის, ესტონელებმა გამარჯვების გოლი მსაჯის მიერ დამატებულ მესამე (!) წუთზე გაიტანეს. დღეს სამქულიანი ესტონეთი ტალინში ჯგუფის მთავარ ფავორიტ იტალიას მასპინძლობს. მართალია, ესტონელებს „სკუადრა აძურას" წინააღმდეგ ჩატარებული ოთხი მატჩიდან (ორი 1994 წლის მუნდიალის შესარჩევში, ორიც ევრო 1996-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე) ოთხივე წაგებული აქვთ, ბალტიისპირელთა მთავარი მწვრთნელი **ტარმო რუუტლი** შეეცადა, შეგირდები და გულშემატკივრები დღევანდელი მატჩის წინ ოპტიმისტურად განეწყო.

*„ცხადია, ჩვენ არ ვართ ფავორიტები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარმატებაზე არ ვფიქრობთ. სენსაციები ძალიან ხშირად ხდება და რატომ არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ჩვენც მოვახდენთ სენსაციას?"* - განაცხადა რუუტლიმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

და მართლაც: თუ იტალიის ნაკრებთან სენსაციის მოხდენა შესაძლებელია, როდის, თუ არა ახლა, როცა „სკუადრა აძურა" ახალი მწვრთნელის, **ჩეზარე პრანდელის** ხელში ჯერ კიდევ დაულაგებელი გუნდია? პრანდელისთვის დღეს ოფიციალური დებიუტია და მან ხუთი დებიუტანტი გამოიძახა, რომელთაგანაც ოთხი მცველია: **ლუკა ანტონელი, ჩეზარე ბოვო, ლორენცო დე სილვესტრი** და **დანიელე გასტალდელო.** ამ კვარტეტთან ერთად, „აძურაში" ახალი კაცია ნახევარმცველი **ლუკა ჩიგარინიც**, რომელიც ტრავმირებულ **კლაუდიო მარკიზიოს** ცვლის.

„იუვეს" ნახევარმცველისა არ იყოს, ტრავმირებულია „მანჩესტერ სიტის" ფორვარდი **მარიო ბალოტელიც**, რომელიც პრანდელიმ კოტ დ'ივუართან ტესტ-მატჩში გამოსცადა, მაგრამ ჩეზარეს ბალოტელის ტრავმის გამო დიდად არ დაუჩივლია, რის გამოც ჩვენს იტალიელ კოლეგებს ისეთი განცდა გაუჩნდათ, რომ მარიო ჯანმრთელიც რომ ყოფილიყო, პრანდელი მას მაინც აღარ უხმობდა. სამაგიეროდ, ჯანმრთელია და ბორტზეა **ანდრეა პირლო.** ესტონელებს კი მხოლოდ ერთი დებიუტანტი ჰყავთ: **ვიაჩესლავ ზაჰოვაიკო**, რომელიც პორტუგალიურ „ლეირიაში" თამაშობს. რუუტლი იტალიასთან ესტონური ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო თავდამსხმელს, **ანდრეს ოპერს** ვერ გამოიყენებს - ეს უკანასკნელი ტრავმირებულია. სამაგიეროდ, დროულად გამოჯანმრთელდა **ტარმო კინკი** („მიდლსბრო"). ერთი სიტყვით, ესტონელებს ძალიან უნდათ, რომ პრანდელის ხელში მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავებულ „აძურას" პირველ ტურში ფეხი დაუდონ.

ფარერის კუნძულების ნაკრები ჯგუფში ისევ აუტსაიდერია, მაგრამ სულ უფრო და უფრო უმატებს და აგერ, ესტონეთთან გასვლით მატჩში კინაღამ ქულა მოიპოვა. ფარერელთა მეტოქე დღეს სერბეთია და უნდა აღინიშნოს, რომ ეს გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც ერთ ჯგუფში იყვნენ და მაშინ **რადომირ ანტიჩის** გუნდმა ფარერებს ორივე თამაშში მოუგო. თუმცა იმ ქვეჯგუფში ფარერებმა (118-ე ადგილი ფიფას რეიტინგში) გასაოცრად იასპარეზა: ლიტვა დაამარცხა, ავსტრიას ქულა აართვა და საფრანგეთთან და რუმინეთთან მხოლოდ 0:1 დამარცხდა. მაგრამ თუ **ვიდიჩს, სტანკოვიჩსა** და კომპანიას ევროპის ჩემპიონატზე გასვლა სურთ, დღეს ტორსჰავნიდან აუცილებლად სამი ქულა უნდა წაიღონ.

სლოვენიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მატჩში ფავორიტად მასპინძლები უნდა შევრაცხოთ, ოღონდ თითქმის მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ მოედანზე თამაშობენ. სლოვენიამ ევროპის ჩემპიონატზე აქამდე მხოლოდ ერთხელ ითამაშა (2000 წელს) და მაშინ ჯგუფშივე შერცხვა. სამაგიეროდ, სლოვენიელებმა სამხრეთ აფრიკაში გამართულ მუნდიალზე იასპარეზეს და თავი ამჯერად კარგად წარმოაჩინეს. „უდინეზეს" ბრწყინვალე მეკარე **ჰანდანოვიჩი**, კაპიტანი **რობერტ კორენი**, ტალანტი **ტიმ მატავცი**, ბუნდესლიგელი ლეგიონერები **ბრეჩკო, ნოვაკოვიჩი** და **დედიჩი** - სლოვენიას საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავს, რომელმაც ევრო 2012-ის საგზურისთვის უნდა იბრძოლოს. მაგრამ **მატიაჟ კეკის** გუნდს დღეს ჩრდილოეთ ირლანდიის დამარცხება გაუჭირდება. **ჯონი ევანსი** („მანჩესტერ იუნაიტედი"), **კრის ბეირდი** და **აარონ ჰიუზი** („ფულჰემი"), **დევიდ ჰილი**, რომელიც სულაც ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის საუკეთესო ბომბარდირი (13 გოლით) გახდა - მწვრთნელ **ნაიჯელ უორთინგტონს** ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს.

**D ჯგუფი**

### ბლანმა მოგებით უნდა დაიწყოს

**3 სექტემბერი**

რუმინეთი-ალბანეთი
ლუქსემბურგი-ბოსნია
საფრანგეთი-ბელარუსი

სამხრეთ აფრიკაში ძალიან მაგრად შერცხვენილი საფრანგეთი რეაბილიტაციას ბელარუსთან საშინაო მატჩით იწყებს. ზოგადად, ფრანგები აბსოლუტურად ყველაფერს თავიდან იწყებენ და გუნდში ყველა და თითქმის ყველაფერი ახალია: **რაიმონ დომენეკი ლორან ბლანმა** შეცვალა და ფრანგული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **ზინედინ ზიდანი** ამბობს, ბლანი ზუსტად ის კაცია, ვინც ჩვენი ნაკრები უნდა განვრთნასო. ბელარუსთან მატჩში ვერ ვიხილავთ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ სამხრეთ აფრიკაში ატეხილი სკანდალის გამო დასჯილ ფეხბურთელებს: **ჯერემი ტულალანს** (ერთი მატჩი), **ფრანკ რიბერის** (სამი) და **პატრის ევრას** (ხუთი). მთავარი სკანდალისტი **ნიკოლა ანელკა** ნაკრებიდან წავიდა და მასთან ერთად, სანაკრებო კარიერა **ტიერი ანრიმაც** დაასრულა. ფრანგების მეტოქე ბელარუსს „სტად დე ფრანსზე" წარმატებას არავინ უწინასწარმეტყველებს, ჩვენ კი იმას შეგახსენებთ, რომ ბელარუსის ნაკრებს გერმანელი სპეციალისტი, **ბერნდ შტანგე** წვრთნის.

ევრო 2008-ზე თამაშის შემდეგ, რუმინეთის ნაკრებმა მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე თავი შეირცხვინა და თუ რუმინელებს ევრო 2012-ის საგზურის მოპოვება უნდათ, საკუთარ მოედანზე ალბანეთი აუცილებლად უნდა დაამარცხონ. ამის გაკეთება კი რუმინელებს მთავარი ვარსკვლავის, **ადრიან მუტუს** გარეშე მოუწევთ, რომელიც დოპინგის მოხმარების გამოა დისკვალიფიცირებული. ვინღა დარჩა რუმინეთს? რა თქმა უნდა, **კრისტიან კივუ** („ინტერი") და მასთან ერთად მცველი **კოზმინ კონტრა**, ასევე, **გაბრიელ ტამაში** და ფორვარდი **ჩიპრიან მარიკა.** ალბანელები სენსაციის მოხდენაზე კი ფიქრობენ, მაგრამ დიდი შანსია, რომ ვერაფერი გააწყონ. ჩვენ მაინც გეტყვით, რომ ალბანელთა მთავარი იმედი „გალათასარაის" ფეხბურთელი **ლორიკ კანაა.** მასთან ერთად, ნაკრებში თამაშობენ ძველი ნაცნობები: **ერვინ სკელა** და იტალიური „ჩეზენას" თავდამსხმელი **ერიონ ბოგდანი.**

ლუქსემბურგისა და ბოსნიის მატჩში ლოგიკურად, ყველაფერი თავიდანვე ნათელია: ბოსნია ფავორიტია და ნებისმიერი შედეგი, გარდა ბოსნიის გამარჯვებისა, უდიდესი სენსაცია იქნება. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლუქსემბურგმა 2008 წლის 10 სექტემბერს ერთხელ უკვე მოახდინა უდიდესი სენსაცია, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ტურში სტუმრად შვეიცარიას მოუგო და **ოტმარ ჰიტცფელდს** დებიუტი ჩაუშხამა.

**E ჯგუფი**

### ხელშეუხებელი მხოლოდ ჰოლანდიაა

**3 სექტემბერი**

მოლდოვა-ფინეთი
შვედეთი-უნგრეთი
სან მარინო-ჰოლანდია

ფინეთის ნაკრები ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ არის, ეს გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საკუთარ თავზე გამოსცადა, როცა ბუნდესგუნდი და ფინეთი ერთ ჯგუფში იყვნენ და **იოახიმ ლიოვის** გუნდმა ფინეთი ვერც ერთხელ ვერ დაამარცხა (3:3 და 1:1). ასე რომ, ფინელებს ნაღდად შეუძლიათ, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაზე იოცნებონ - ამ ჯგუფში მათ აქვთ იმის შანსი, რომ 2012 წლის ზაფხულში პოლონეთსა და უკრაინაში გაემგზავრონ. ოღონდ, ამისთვის საჭიროა, რომ ფინეთმა მოლდოვაში კარგი სტარტი აიღოს, რადგან სერიოზული კონკურენტები ჰყავს. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა შვედებს და უნგრელებსაც სურთ, რომლებიც დღეს ერთმანეთს უპირისპირდებიან. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები მუნდიალის შესარჩევ ციკლშიც ერთ ქვეჯგუფში იყვნენ...

ზოგადად კი, ამ ქვეჯგუფში მხოლოდ ერთი გუნდია აბსოლუტური, ასე ვთქვათ, ხელშეუხებელი ფავორიტი - რა თქმა უნდა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ჰოლანდიას ვგულისხმობთ. დღეს კი ნარინჯისფრებს იოლი გასეირნება ელით სან მარინოში. დიდი შანსია, რომ ჰოლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ბერტ ვან მარვიიკმა** თავდასხმაში, ტრავმირებული **რობინ ვან პერსის** ნაცვლად, ნაკრებში დაბრუნებული **რუუდ ვან ნისტელროოი** ათამაშოს, რომელმაც ახალი სეზონი ჩინებულად დაიწყო და ბუნდესლიგის ორი ტურის შემდეგ სამი გოლი აქვს გატანილი.

*„რუუდი ახლა უკვე კარგ ფორმაშია, მუნდიალის წინ კი არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. სამხრეთ აფრიკაში ამიტომაც არ წავიყვანე და ხომ ხედავთ, როგორც კი მოუმატა, მაშინვე გამოვიძახე,"* - თქვა ვან მარვიიკმა.

**G ჯგუფი**

### კაპელო სამი ლიდერის გარეშე

**3 სექტემბერი**

ჩერნოგორია-უელსი
ინგლისი-ბულგარეთი

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების ასპარეზობა კატასტროფულად შეფასდა და **ფაბიო კაპელოს** მუნდიალის შემდეგაც მაგრად აკრიტიკებენ, ამ ქვეჯგუფში ინგლისი ნომერ პირველი ფავორიტია. კაპელოს გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპს კონკურენტ ბულგარეთთან მატჩით იწყებს. მართალია, **ჯონ ტერის, ფრენკ ლემპარდისა** და **პიტერ კრაუჩის** სახით, ინგლისს სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლია, სამაგიეროდ, ფაბიოს გამოძახებული ჰყავს ორი იმედისმომცემი ფეხბურთელი: 23 წლის მეკარე **ჰარტი**, რომელიც „მანჩესტერ სიტიში" ბრწყინავს და უნგრეთთან ამხანაგურ მატჩშიც შესანიშნავად ითამაშა და 21 წლის **უოლკოტი**, რომელიც სამხრეთ აფრიკაში არ ყოფილა, მაგრამ ახალი სეზონი იმდენად კარგად დაიწყო (4 გოლი პრემიერლიგის 3 თამაშში), რომ კაპელომ მასზე უარი ვეღარ (აღარ) თქვა. კაპელოს კი ამ ბოლო დროს ინგლისში მარტო ფეხბურთელები აქებენ.

*„ფაბიოს ყველა ფეხბურთელი მხარში უდგას და მჯერა, კაპელოს ხელში უდიდეს წარმატებებს მივაღწევთ,"* - ეს **გარეთ ბერის** სიტყვებია.

ინგლისისა და ბულგარეთის დაპირისპირებამდე ერთმანეთს ამბიციური ჩერნოგორია და უელსი შეხვდებიან, კაპელოს გუნდის მთავარი კონკურენტი შვეიცარია კი დღეს ისვენებს. შეგახსენებთ, რომ 7 სექტემბერს ინგლისი სწორედ დასვენებულ შვეიცარიას ესტუმრება. ასე რომ, ინგლისის ნაკრები პირველ ორ ტურში, ორივე კონკურენტთან ბრძოლებს მოითავებს და საინტერესოა, რამდენ ქულას აიღებენ კაპელოს ბიჭები ამ ორ შეხვედრაში. თუ ორივე თამაში მოიგეს, ინგლისის პირველობას ჯგუფში წყალი არ გაუვა...


ლორან ბლანი ოფიციალური დებიუტისთვის ემზადება

**F ჯგუფი**

### არც რონალდო, არც კეირუში

**3 სექტემბერი**

ისლანდია-ნორვეგია
პორტუგალია-კვიპროსი

ამ ქვეჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონატის ორი მონაწილე მოხვდა: პორტუგალია და დანია. შესაბამისად, ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ პირველი ადგილისთვის სწორედ ეს ორი გუნდი იბრძოლებს. ნორვეგიას და კვიპროსს რაოდენ დიდ პატივსაც არ უნდა ვცემდეთ, წესით, მათთვის პირველი ადგილი მიუწვდომელი უნდა იყოს, მეორე ადგილისთვის კი მაქსიმუმ დანიას გაუწიონ კონკურენცია, თუმცა ვინახოთ...

დანია საქმეში სამშაბათიდან ჩაერთვება, დღეს კი პორტუგალიის ნაკრების ყურადღების ცენტრში, რომელიც საქართველოს ნაკრების ყოფილ მეტოქეს, კვიპროსს მასპინძლობს. პორტუგალია ფავორიტია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირენეელები კვიპროსთან მატჩს პრობლემებით ხვდებიან. ყველაზე მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, **კრიშტიანო რონალდოს** არყოფნაა, რომელსაც ტრავმა აქვს. ამას კი ისიც ემატება, რომ მწვრთნელ **კარლუშ კეირუშს** ცნობილი დოპინგ-სკანდალის გამო ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მოუსაჯეს. ამრიგად, პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სტარტზე კეირუშის ასისტენტის, **აგოსტინო ოლივეირას** პასუხისმგებლობის ქვეშაა. ჯგუფის მეორე მატჩში კი ისლანდია ნორვეგიას მასპინძლობს.

**I ჯგუფი**

### ესპანელები არგენტინაზე უფრო ფიქრობენ

**3 სექტემბერი**

ლიტვა-შოტლანდია
ლიხტენშტაინი-ესპანეთი

დაგვრჩა ბოლო ჯგუფი, სადაც მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები პროგრამას სახელწოდებით „ტიტულის შენარჩუნება" ვადუცში, ლიხტენშტაინის წინააღმდეგ გასამართი მატჩით იწყებს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ დღემდე ტიტული ევროპის არც ერთ ჩემპიონს არ შეუნარჩუნებია. ესპანელებს ლიხტენშტაინელთა დამარცხება რომ არ უნდა გაუჭირდეთ, ამაზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს, მარტო იმ „ყბადაღებულ" მოსაზრებას თუ გავიმეორებთ, რომ მოქმედ ჩემპიონებს შესარჩევი ციკლის წარმატებით დაწყება ხანდახან უჭირთ ხოლმე. მაგრამ არის კი ლიხტენშტაინი ისეთი გუნდი, რომელთანაც ესპანეთს რამე უნდა გაუჭირდეს? რა თქმა უნდა, არა!

**ვისენტე დელ ბოსკემ** ახლახან გამოჯანმრთელებული **ფერნანდო ტორესი** რომ გამოიძახა, ამით „ლივერპულის" თავკაცი **როი ჰოჯსონი** გააბრაზა, რომელსაც მიაჩნია, რომ დელ ბოსკეს შეეძლო, „ელ ნინიო" ლიხტენშტაინთან უაზროდ არ დაეტვირთა და როგორმე მის გარეშე გასულიყო ფონს. თანაც, ესპანეთი სამშაბათს არგენტინასთან ამხანაგურად ითამაშებს და ჰოჯსონი პირდაპირ ამბობს, ტორესი კიდევ რომ დაშავდეს, ალბათ ჭკუიდან შევიშლებიო.

*„ლიხტენშტაინთან მთავარია, სამი ქულა მოვიპოვოთ. აი, არგენტინასთან მატჩს კი მართლა უდიდესი მონდომებით ველით,"* - ეს **სერხიო ბუსკეტსის** სიტყვებია.

ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ „ფურია როხა" ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ დელ ბოსკეს გუნდის კონკურენტებად შეიძლება, შოტლანდია და ჩეხეთი მივიჩნიოთ. სხვათა შორის, ორივე ეს გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპს ლიტვასთან მატჩით იწყებს: შოტლანდია ლიტვას დღეს ეთამაშება, ჩეხეთი კი სამშაბათს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012



ანდრეს ინიესტა ტრავმირებული ვარჯიშობს

# ინიესტა დაშავდა, მაგრამ... ითამაშებს?

ლიხტენშტეინის ნაკრები არასოდეს გასულა არც მსოფლიოს ჩემპიონატზე და არც ევროპულ პირველობაზე და, ალბათ, არც არასოდეს გავა. ნამცეცა ქვეყნისათვის ეს გარგანტუას ამოცანაა. ევრო 2012-ზე მოხვედრა შორეული ოცნებაა ლიხტენშტეინელთა მწვრთნელ **ჰანს-პეტერ ცაუგისთვის** და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ესპანეთთან სასტარტო მატჩი მის ნაკრებს ამ ოცნებას იოტისოდენადაც არ მიიახლოვებს. იბერიელთა წინააღმდეგ შუაევროპელებმა 4 მატჩი გამართეს აქამდე და ოთხივე წააგეს.

მაგრამ ცაუგი ოპტიმისტია და ამ ოპტიმიზმს ის უეფას ოფიციალურ საიტსაც უზიარებს: „კარგია, რომ წარმატებას მოშიებული ბიჭები გვყავს ნაკრებში". მისი ვიზავი, 59 წლის **ვისენტე დელ ბოსკე** მხოლოდ ერთს მოითხოვს გუნდისგან - ლიხტენშტეინის ნაკრები სათანადო მეტოქედ ჩათვალონ და კონცენტრირებულნი გავიდნენ მოედანზე. „მსოფლიოს ჩემპიონობა მომავალი წარმატებების შემაფერხებელი კი არ უნდა გახდეს. ლიხტენშტეინი იოლად არაფერს დათმობს. ამაში ყველა დარწმუნდება მალე", - აცხადებს დელ ბოსკე.

ცაუგმა ნაკრებში ამჯერად არ გამოიძახა გუნდის რეგულარული წევრები: **ტომას ბეკი, კრისტოფ ბაიდერმანი, ბენიამინ ფიშერი და ვოლფგანგ კიბერი**. ავადმყოფობის გამო „ლა როხას" წინააღმდეგ თამაში არ მოუწევს **შტეფან ბუხელს**.

დელ ბოსკემ ამ თამაშისთვის არ დაუძახა **ხავი მარტინესს** და **ხუან მატას**, ისინი 21-წლამდელთა ნაკრებს დაეხმარნენ. ტრავმირებულები არიან **რაულ ალბიოლი** და **კარლეს პუიოლი**. ბოლო დღეებში ნაკრებს დაემატა „ოსასუნას" მარცხენაფლანგელი **ნაჩო მონრეალი**. ტრავმიანი ვარჯიშობს **ანდრეს ინიესტა**, თუმცა ამბობენ, რომ „ბარსელონას" ნახევარმცველი თამაშს მაინც შეძლებს. იოჰანესბურგის გმირი ვარჯიშზე **ალვარო არბელოას** შეეჯახა და დაშავდა. **ფერნანდო ტორესი** უმეტესწილად ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. დელ ბოსკეს ვარჯიშები ყველანაირად მიუთითებს, რომ **სერხიო რამოსს** ისევ მარჯვენა მცველად ათამაშებენ, ხოლო ცენტრში **პიკეს მარჩენა** შეუწყვილდება.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლიხტენშტეინი (4-4-2):** იელე - რიცბერგერი, დელია, ოირი, ებერლე - ბრუგმაიერი, პოლვერინო, რ. ბუხელი, რეხშტაინერი - ფრიკი, დ. ჰასლერი.

**ესპანეთი (4-1-3-2):** კასილიასი - ს. რამოსი, პიკე, მარჩენა, კაპდევილა - ბუსკეტსი - ჩავი, ჩაბი ალონსო, სილვა - ლორენტე, ვილია.

Special One

# განსაკუთრებულის განსაკუთრებული ფრაზები

## რატომ არის მოურინიო რეალისთვის იდეალური მწვრთნელი...

ამ დღეებში მადრიდის „რეალის" პორტუგალიელი თავკაცი **ჟოზე მოურინიო** ესპანური, და არა მარტო ესპანური, მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. მიზეზი ცხადია - „განსაკუთრებულს" „სამეფო კლუბის" თავკაცის პოსტზე ოფიციალური დებიუტი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოუვიდა განსაკუთრებული - „რეალმა" ვერ მოუგო წინა სეზონთან შედარებით დასუსტებულ „მალიორკას", თამაშით კი აჯობა მეტოქეს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ „ონო ესტადიზე" ბევრი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნა - ორ-სამჯერ გატანა **გონსალო იგუაინს** მართებდა და სულ ეს არის...



ჟოზე მოურინიო

მოურინიო განსხვავებული ტიპის მწვრთნელია, ის პრობლემას არ გაურბის და არც ჟურნალისტებს. კითხვებზე ნათელ, ხშირად მჭახე პასუხებს აძლევს რეპორტიორებს. ამიტომაც მისი ინტერვიუები მუდამ საინტერესო წასაკითხია. ჩვენ შევეცადეთ ამოგვეკრიფა მოუს საინტერესო ფრაზები სხვადასხვა გამოცემებისთვის მიცემული ინტერვიუებიდან. „რეალის" ოფიციალური საიტით დავიწყოთ:

*„არა აქვს მნიშვნელობა, როგორ დაიწყებ! მთავარია, როგორ დაასრულებ. ეს არის ჩემი გუნდი და ჩვენ შევეცდებით ყველაფერი მოვიგოთ. ჩვენ ამბიციურები ვართ, ჩვენ „რეალ მადრიდი" ვართ".*

*„მსურს ცრუმორწმუნე ხალხს ვუთხრა - „პორტუსა" და „ინტერში" ყველა სეზონი ფრით დავიწყე, მაგრამ ბევრი ტიტული მოვიგე. განსაკუთრებული ტრაგიზმით პირველ ფრეს არ აღვიქვამ. ჰიპოკრიტე არა ვარ, ამიტომ ვამბობ, რომ მოგება მეც ძალიან მსურდა, მაგრამ რეალობას არ გავურბივარ".*

*„გუნდს 10 ვარჯიშიც კი არ ჩაუტარებია ჯერ ერთად. უნდა ვაცადოთ ხედირასა და იოზილს, შეეგუონ ახალ კლუბს, მათი აკლიმატიზაცია ესპანეთში ნელა მიმდინარეობს".*

*„ამ გუნდში იმიტომ გადმოვედი, რომ რთული სამუშაო მიტაცებს. აქ იმიტომ ვარ, რომ „რეალს" სჭირდება სტაბილურობა, ერთხელ და სამუდამოდ".*

*„მიყვარს, როცა ყველა, ჩემი ჩათვლით, წნეხის ქვეშაა. მოდუნების უფლებას არავის მივცემ. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ გუნდში ნებისმიერ პოზიციაზე ბრძოლა მიმდინარეობს".*

მოურინიოსთან ინტერვიუ „დიარიო ას"-მაც გააკეთა:

*„მე ვარ მწვრთნელი, ხოლო ჰარი პოტერი ჯადოქარია. ჯადოქრობა ფიქციაა, ხოლო მე ვწვრთნი საფეხბურთო გუნდს, სავსებით რეალური საქმით ვარ დაკავებული. ჩვენ შორის დიდი სხვაობაა - მე არა ვარ ჰარი პოტერი".*

*„იდეალური პერსონა ვარ „რეალისთვის", რადგან არაფრის მეშინია. მზად ვარ „სამეფო კლუბისთვის" დავიხარჯო".*

*„ხედირასა და იოზილის საქმე ცუდადაა - ისინი ვერ ლაპარაკობენ ესპანურად. მხოლოდ „ბუენოს დიას" და „ოლა" ისწავლეს, ეს კი მეტისმეტად ცოტაა. ისინი ინგლისურადაც კი ვერ საუბრობენ. მათი მონაწილეობა „რეალის" სოციალურ წრეში ნულის ტოლია - იოზილი ცხოვრობს ხედირასთან ერთად და ხედირა ცხოვრობს იოზილთან".*

უეფას მწვრთნელთა ფორუმზე ნიონში:

*„კრიშტიანო რონალდო არის ის ფეხბურთელი, რომელსაც ყვინთვის გამოცდილება არა აქვს - ის არ სიმულიანტობს, იმიტომ რომ ბრიტანული ყაიდის ფეხბურთელია, ფერგიუსონმა გაზარდა. არადა, სიმულანტებს მეტი დაცვა აქვთ მსაჯებისგან, ვიდრე კრიშტიანოს დარ ტექნიკურ ფეხბურთელებს. მცველები ხშირად ურტყამენ განზრახ რონალდოს და მსაჯები მათ იშვიათად სჯიან ბარათებით"*

„გაძეტა დელო სპორტთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში:

*„ზლატანი და რობინიო პატოსთან ერთად „მილანში" საოცარ შემტევ ხაზს შექმნიან. მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოს. თუმცა არ ვიტყოდი, რომ სკუდეტო „მილანისაა". მოდით, ვთქვათ ასე - „ინტერს" ღირსეული მეტოქე გაუჩნდა. „ფორცა ნერაძური", მინდა მათ ყველაფერი მოიგონ ჩემპიონთა ლიგის გარდა. მორატისთან ახლაც ყოველ კვირა ვლაპარაკობ ტელეფონით".*

*„მე პროფესიონალი ვარ და როცა ჩემი კარიერის ერთ თავს ვხურავ, მასზე აღარ ვფიქრობ დანანებით".*

*„ვის ეკუთვნის „ოქროს ბურთი"? არავითარ შემთხვევაში ანდრეს ინიესტას, მერე რა, რომ სეზონის უმთავრესი გოლი მან გაიტანა. გაიხსენეთ, ნახევარი სეზონი ანდრესს ტრავმის გამო არ უთამაშია. არც დიეგო ფორლანს, მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ითამაშა და ევროპის ლიგაც მოიგო, მაგრამ ხომ გახსოვთ „ატლეტიკო" რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან გავარდა. მაშ ვის? - ვესლი სნეიდერს! ჰოლანდიელი ყველაზე მეტად იმსახურებს ამას. რომელმაც ბევრი ტიტული მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც ითამაშა. მას მერე ჩავის ვასახელებ".*

რეალი

# რეალის ახალწვეული... არსაიდან

**ჟოზე მოურინიომ** გუნდში კიდევ ერთი ფეხბურთელი დაამატა. მართალია, სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ, მაგრამ ეს შენამატი ტრანსფერს არ უკავშირდება - „განსაკუთრებულმა" მისთვის საჭირო ფეხბურთელი სარეზერვო გუნდში, „რეალ მადრიდ კასტილიაში" აღმოაჩინა - **დავიდ მატეოს რამახო**. 23 წლის მატეოსი უკვე პირველი გუნდის წევრია, სადაც 15-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ჯერ კიდევ **დრენტესა** და **ვან დერ ვაარტის** წასვლამდე სურდა მოურინიოს მატეოსის დამატება: *„სამწუხაროა, რომ მისი გამოყენება არ შემიძლია. მისი თამაში ძალიან მომწონს და მალე პირველი გუნდის ფეხბურთელად ვაქცევ"*, - თქვა პორტუგალიელმა და სიტყვაც აასრულა: როგორც კი ჰოლანდიელმა ვან დერ ვაარტმა ბოლო, 25-ე ადგილი გამოათავისუფლა ლა ლიგის განაცხადში, მოურინიომ იქ მატეოსი შეიყვანა.

კვირის დასაწყისში დავიდ მატეოსმა კარიერაში პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა „რეალთან". 15-ნომრიანი მაისურა მას დრენტესგან ერგო. **მესუთ იოზილმა** ვან დერ ვაარტის 23-ნომრიანი მაისურა მოიზომა. ახლა „ლოს ბლანკოს" შემადგენლობაში 10 ესპანელია, აქედან 5 კანტერას აღზრდილია.

დავიდ მატეოსს „რეალის" პირველ გუნდში დებიუტი 3 აპრილს ჰქონდა „რასინგთან" მატჩში. მატეოსი 12 წლის ასაკიდან „რეალშია". ის 185 სმ სიმაღლის ცენტრალური მცველია.



დავიდ მატეოსი

ბარსელონა



ბოიანმა იბრას ნომერი აილო

# ზლატანის დანატოვარი

სატრანსფერო სეზონის დასრულების შემდეგ „ბარსელონაში" საბოლოოდ გადაწყდა, ფეხბურთელები რა ნომრით ითამაშებდნენ ახალ სეზონში. ამ მხრივ დიდი ცვლილებები არ არის - **ბოიან კრკიჩმა ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გამოთავისუფლებული 9-იანი აირჩია. ის ამ ნომრით თამაშობდა „ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდებში, სადაც საოცრებებს სჩადიოდა. 15 წელია 9 ნომერი „ბარსას" აღზრდილ ფეხბურთელს არ სცმია, 15 წლის წინათ, ამ ნომრით **ხორდი კრუიფი** თამაშობდა. ბოიანი პირველ გუნდში ჯერ 27, შემდეგ კი 11 ნომრით ირჯებოდა.

კრკიჩის მიერ გამოთავისუფლებული 11 ნომრით **ჟეფრენ სუარესი** ითამაშებს, რომელსაც **ხოსეპ გვარდიოლამ** უთხრა, რომ ახალ სეზონში ისე უნდა ათამაშდეს, როგორც შარშან ჯერ კიდევ ბევრისთვის უცნობი **პედრო**. აქამდე ჟეფრენმა 20-ნომრიანი მაისურით ითამაშა, რომელიც ახლა არავის ეკუთვნის. **რაფაელ მარკესის** (4) და **იაია ტურეს** (24) ნომრები არავის აურჩევია. **ჩიგრინსკის** 21 ნომერი **ადრიანომ** დაისაკუთრა, ხოლო **ანრის** 14 - **ხავიერ მასკერანომ**.

ვალენსია

# მარიუსი ამაყია, რომ...

„ვალენსიას" ახალწვეულმა **მარიუს სტანკევიჩიუსმა** განაცხადა, რომ ამაყია, რადგან ისეთ ბრწყინვალე ტრადიციების გუნდში მოხვდა, როგორიც „ვალენსიაა". შეგახსენებთ, რომ ლიტველი მცველი „ლოს ჩემ" იჯარით 31 აგვისტოს გაიფორმა, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს.

*„ძალიან ბევრი წინადადება მქონდა. მაგრამ თავიდანვე ვიცოდი, რომ თამაში „ვალენსიაში" მსურდა. ჩემთვის ამ კლუბის წევრობა დიდი პატივია. „სევილიაში" გატარებული დრო კარგად მახსოვს, ესპანეთში დაბრუნებაც ამიტომ მინდოდა. უკეთეს გუნდს ვერც ვინატრებდი, ორშაბათს ტელეფონით ვისაუბრე და რამდენიმე საათში ტრანსფერიც შედგა"*, - განუცხადა ბალტიელმა „რადიო ვალენსიას".

ვინაიდან ლიტველმა „სამპდორიას" რიგებში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა, მას ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება არა აქვს, თუმცა თუკი „ვალენსია" ამ ეტაპს დაძლევს, სტანკევიჩიუსსაც მიეცემა ლიგაში თამაშის საშუალება.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



მარიუს სტანკევიჩიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ნაკრები

# პრანდელის სამი შემტევი

დღეს იტალიის ეროვნული ნაკრები ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ შეხვედრას გამართავს და ტალინში ესტონეთის უმთავრეს გუნდს დაუპირისპირდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის „აძურას" პირველი ოფიციალური შეხვედრა **ჩეზარე პრანდელის** თავკაცობით, იტალიური სპორტული პრესის ყურადღების ცენტრში მაინც საკლუბო თემატიკა და სატრანსფერო საკითხები რჩება. განსაკუთრებულად აქტუალური **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** და **რობინიოს** „მილანში" გადაბარგებაა, თუმცა ეს თემა სხვა დროს განვავრცოთ და იტალიის უმთავრეს გუნდს დავუბრუნდეთ.

როგორც ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, შესარჩევი ეტაპის პირველი ორი მატჩისთვის პრანდელიმ უარი თქვა ეგრეთ წოდებულ ახალ იტალიელებზე, რომლებიც ბოლო პერიოდში ძალიან მომრავლდნენ - შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კიდეც: **კარვალიო ამაური, კრისტიან ლედესმა, ტიაგო მოტა, მაურო სარატე. მარიო ბალოტელიც** უნდა ვახსენოთ, რომელსაც ფესვები განიდან აქვს და შეეძლო ისტორიული სამშობლოს სასარგებლოდ გაეკეთებინა არჩევანი. პრანდელიმ არც ერთი მათგანი არ გამოიძახა, რაც იმის მანიშნებელია, რომ სინიორ ჩეზარე სრულიად ახალი გუნდის მშენებლობას იწყებს. სიაში არაერთი დებიუტანტია, მაგალითად: **ანტონელი** „პარმადან", **დე სილვესტრი** „ფიორენტინადან", **გასტალდელო** „სამპდორიადან", **მოლინარო** „შტუტგარტიდან", **ლაძარი** „კალიარიდან". ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც შანსი მიეცათ და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენონ.

მთავარი სასაუბრო თემა კი **ანტონიო კასანოს** ჯანმრთელობის მდგომარეობა გახლავთ, რადგან „სამპდორიას" ფორვარდს ტრავმა აწუხებდა. ორიოდე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კასანოს როგორც მინიმუმ პირველი შეხვედრის გამოტოვება მოუწევდა, მაგრამ ახალი ცნობა რადიკალურად განსხვავებულია: ანტონიო სრულ მზადყოფნაშია და ტალინში პირველივე წუთებიდან გამოჩნდება მინდორზე. კაცმა რომ თქვას, ეგ პრანდელის გადასაწყვეტია, ვინ რომელი წუთიდან ითამაშებს, მაგრამ „გაძეტას", როგორც ყოველთვის, თავისი ვერსია აქვს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, სინიორ ჩეზარე 4-3-3 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე კასანოსთან ერთად, **ჯამპაოლო პაცინისა და ფაბიო კვალიარელას** გაამწესებს.

ნახევარდაცვის სამეულს, სავარაუდოდ, **ანდრეა პირლო, დანიელე დე როსი** და **რიკარდო მონტოლივო** დააკომპლექტებენ, დაცვის ოთხეულის გამოცნობა კი შედარებით რთული გახლავთ - **კიელინიმ** და **ბონუჩიმ,** წესით, ცენტრი უნდა გაამაგრონ, ფლანგებზე კი მოლინაროს და **კასანის** ენიჭებათ უპირატესობა. ცალკე თემაა სამეკარეო საკითხი, რადგან **ჯანლუიჯი ბუფონის** ღირსეული შემცვლელის პოვნა, რბილად რომ ვთქვათ, მეტად რთული საქმეა. პრანდელიმ პირველ ნომრად „პარმას" კიპერი **ანტონიო მირანტე** ჩაწერა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარს აუცილებლად ემილიელი დაიცავს. იმავე „გაძეტას" ვარაუდით, უპირატესობა სიცილიელ **სალვატორე სირიგუს** მიენიჭება.

ბევრს ეგონა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვეტერანები ნაკრებიდან წასვლის შესახებ გააკეთებდნენ განცხადებას, მაგრამ ასე არ მოხდა - მაგალითად, ანდრეა პირლო კვლავ ენთუზიაზმით არის აღსავსე და სურს ეროვნულ გუნდში რაც შეიძლება დიდხანს ითამაშოს:

*„სანამ ფეხბურთის თამაში შემიძლია, ნაკრებში ასპარეზობაზე უარს არ ვიტყვი. ეროვნულ გუნდში თამაში ჩემთვის დიდი პატივია და ამაზე უარის თქმის სურვილი არ მაქვს. ნაკრებისთვის გამოუსადეგარი რომ ვიყო, პრანდელი ნამდვილად არ გამომიძახებდა - ასე რომ, ვერ ვხვდები, რატომ უნდა ვთქვა „აძურაში" თამაშზე უარი. რაც შეეხება მომდევნო ორ პაექრობას, ერთი წუთითაც არ უნდა დავუშვათ, რომ ექვსი ქულის მოპოვებას იოლად შევძლებთ, რადგან დღეს ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა. ჩემი აზრით, მუნდიალზე სწორედ მეტოქეთა შეუფასებლობამ დაგვღუპა და იგივე შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ".*



ანტონიო კასანო გამოჯანმრთელდა

**ლაშა წიკლაური**



ჯენოას პრეზიდენტი ენრიკო პრეციოზი

ჯენოა

# პრეციოზი თავს იზღვევს

მას შემდეგ, რაც **კახა კალაძე** „ჯენოაში" გადავიდა, გენუური კლუბის მიმართ ჩვენი ინტერესი ერთიორად გაიზარდა. სატრანსფერო ბაზარზე „ჯენოას" მესვეურებმა მეტად იაქტიურეს, რამაც გულშემატკივრებს იმედები ჩაუსახა, რომ გუნდი ოთხეულში მოხვედრისთვის იბრძოლებს და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. ასეთმა მოლოდინმა კლუბის პრეზიდენტი ცოტა არ იყოს შეაშინა, რაზეც მისი კომენტარი მეტყველებს. მოვუსმინოთ **ენრიკო პრეციოზის**:

*„სიმართლე გითხრათ, ცოტა მაშინებს ის აჟიოტაჟი, რომელიც გულშემატკივრებში შეინიშნება. ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ ასეთი შემადგენლობით ოთხეულში მოხვედრას შევძლებთ, თუმცა მე ასე გადაჭრით ამას ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ჩემი აზრით, არის ექვსი-შვიდი კლუბი, რომლებსაც თანაბარი შანსი აქვთ, ლიგის საგზური მოიპოვონ და მხოლოდ მათ შემდეგ მოვდივართ ჩვენ. პესიმისტი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ არც ის მინდა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ყველანი იმედგაცრუებულნი დავრჩეთ. ისე კი, ახალწვეულების დიდი იმედი მაქვს და მჯერა, რომ გუნდს საგრძნობლად გააძლიერებენ".*

პრეციოზიმ **სალვატორე ბოკეტის** „რუბინში" გასხვისების შესახებაც ისაუბრა: *„ამ ტრანსფერმა ყველა გააკვირვა, რადგან ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელი სათამაშოდ შორეულ რუსეთში გადაბარგდა. ყაზანელთა წინადადებაზე ბევრი იფიქრა და როდესაც გადაწყვეტილება მიიღო, შემდეგ ინერვიულა კიდეც, მაგრამ არა უშავს, დაწყნარდება, მას ხომ ოთხჯერ უფრო მეტს გადაუხდიან, ვიდრე ჩვენ ვუხდიდით. ერთი ფეხბურთელი კი აუცილებლად უნდა გაგვეყიდა, რათა ფინანსური მდგომარეობა გაგვეუმჯობესებინა. ბალანსის დაცვა ყველაფერში მნიშვნელოვანია, მათ შორის ფინანსურ ოპერაციებშიც".*

**ლაშა წიკლაური**

ლაციო

# ლოტიტომ, ლიგაო...

„ლაციოს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** იმედოვნებს, რომ მისი გუნდი ამ სეზონში წარმატებით იასპარეზებს და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა და იქვე დასძინა, იანვარში გუნდს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაემატებაო:

*„ჩვენი მიზანი ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. ბევრს ეს უტოპიად მიაჩნია, მაგრამ მე ასე ნამდვილად არ ვიტყოდი. ჩვენ საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოვუყარეთ თავი და წესით, გრანდებს ღირსეული კონკურენცია უნდა გავუწიოთ. გადავხედოთ შეტევის ხაზს - ჩვენ გვყავს მაურო სარატე, ტომაზო როკი, სერჯო ფლოკარი და პასკუალე ფოჯა. ამასთან, გადმოვიბირეთ ერნანესი, რომელზეც ნამდვილი ნადირობა იყო გამოცხადებული. ასეთი თავდასხმით ნებისმიერი დაცვის გარღვევა შეგვიძლია და არ მესმის, რატომ არ უნდა დავისახოთ მაღალი მიზნები... რაც შეეხება სატრანსფერო კამპანიას, მთლიანობაში მეტად წარმატებული გამოდგა. მართალია შეველიეთ რამდენიმე ფეხბურთელს, მაგრამ გვარიანადაც გავძლიერდით. პასიურობას არც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ვაპირებთ, კიდევ რამდენიმე მოთამაშის დამატება გვსურს".*

**ლაშა წიკლაური**



კლაუდიო ლოტიტო

ამბები

## ჰონდა? საინტერესოა!

„ლივერპული" იაპონელით დაინტერესებულა - Caught Offside-ის ცნობით, მერსისაიდელები ზამთარში მოსკოვის ცსკა-ს 24 წლის ფორვარდის **კეისუკე ჰონდას** შეძენას შეეცდებიან.

ამბობენ იმასაც, რომ „ლივერპულის" მეპატრონეები გუნდის მთავარ მწვრთნელ **როი ჰოჯსონს** ამ ტრანსფერის განსახორციელებლად 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს გამოუყოფენ. ეს მხოლოდ ნაწილია იმ სოლიდური თანხისა, რომელიც მერსისაიდულმა კლუბმა **ხავიერ მასკერანოს, ალბერტ რიერასა** და **იოსი ბენაიუნის** გაყიდვით მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ჰონდას გადაბირება „ლივერპულის" გარდა „მილანს" და განსაკუთრებით „არსენალს" სურს. ამ უკანასკნელის დამრიგებელმა **არსენ ვენგერმა** ჰონდას თამაში სამხრეთ აფრიკაში, მუნდიალის მატჩებში იხილა და მას „გენიალური" უწოდა.

## ბუფონი ზამთარს ელის

ტურინის „იუვენტუსმა" საევროპო განაცხადი გამოაქვეყნა. საოცარი ამბავია - „ბებერი ქალბატონის" განაცხადში ადგილი თვით **ჯანლუიჯი ბუფონს** არ მოეძებნა. თუმცა, ყველაფერი გასაგებია - ზამთარში განაცხადებში კორექტივების შეტანაა დაშვებული, ხოლო იქამდე ჯიჯის მკურნალობა მოუწევს, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული ტრავმა ჯერაც მოუშუშებელია.

ბუფონისგან განსხვავებით, **ალბერტო აკვილანი** და **ფაბიო კვალიარელა** განაცხადში ვერც ზამთარში მოხვდებიან, რადგან პირველმა „ლივერპულში" მოასწრო თამაში, ხოლო მეორემ - „ნაპოლიში", უეფას წესებით კი, ფეხბურთელს საევროთასო სეზონში მხოლოდ ერთი კლუბის ღირსების დაცვის უფლება აქვს.

სამაგიეროდ, კიდევ ორი ახალბედა განაცხადშია და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ითამაშებს - **ლეანდრო რინაუდო** და ფრანგი **არმან ტრაორე.**

## გვარდიოლა არც კეიტას ელაპარაკება

„ბარსელონას" ნახევარმცველი **სეიდუ კეიტა** ერთ-ერთი მათგანია, ვისაც კატალონიური კლუბიდან „მილანში" **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** წასვლის თაობაზე აზრის დაფიქსირება არ მორიდებია.

შეგახსენებთ, რომ იტალიაში გადაბარგების შემდეგ, შვედმა თავდამსხმელმა „ბარსას" დამრიგებელი **პეპ გვარდიოლა** გააკრიტიკა. კერძოდ, იბრამ თქვა, რომ გვარდიოლას მასთან ერთხელაც არ უსაუბრია.

თავის მხრივ, კეიტამ ამაში გასაკვირი ვერაფერი დაინახა და თქვა: *„გვარდიოლასთან საუბრები არც მე მაქვს. ამ კლუბში იმისთვის ვარ, რომ გამარჯვების მოპოვებაში დავეხმარო. სამაგიეროდ, გვარდიოლა მატჩის მსვლელობისას ყველას ესაუბრება, ხოლო ძირითად შემადგენლობაში იმ ფეხბურთელებს აყენებს, რომლებიც მოცემულ მომენტში საუკეთესონი არიან".*

## მარადონა ბატისტას არ პასუხობს

**სერხიო ბატისტა** არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს მას შემდეგ ასრულებს, რაც ამ პოსტიდან **მარადონა** გადადგა. ჰოდა, დიდი დიეგოს მემკვიდრე და ყოფილი თანაგუნდელი აცხადებს, ჩემს წინამორბედს უკვე მერამდენე დღეა, ვერ ვუკავშირდებიო.

*„დიეგოს რამდენიმე დღეა ვურეკავ, მაგრამ არ მპასუხობს. სანაკრებო საქმეებზე სასაუბროდ კი არ დამირეკავს, უბრალოდ, მაინტერესებდა, როგორაა. არც მარადონასთან და არც ნებისმიერ სხვა არგენტინელ მწვრთნელთან პრობლემა არ მაქვს. ყველა არგენტინული კლუბის თავკაცთან ვისურვებდი შეხვედრას - ნაკრების შესახებ მათი აზრი ძალიან მაინტერესებს. დიეგოსთან კი პროფესიული და ტექნიკური მიზეზებით არ დამირეკავს, უბრალოდ, ადამიანურად მაინტერესებს, რას საქმიანობს და როგორ არის. რასაკვირველია, მასთან საქმიანი შეხვედრებიც მექნება. მარადონას ნაკრების შესახებ ძვირფასი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია, თუმცა ეს მოგვიანებით მოხდება"*, - თქვა სერხიო ბატისტამ, ვისაც მარადონასთან ერთად 1986 და 1990 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე უთამაშია.

**სლავა გასპაროვი**

შესარჩევი მატჩის წინ

# როგორ ვიშოვოთ ნახევარი მილიონი?



ითამაშებს თუ არა ჯო ჰარტი ბულგარეთთან?

ინგლისის მეორე ლიგის კლუბმა „შრუსბერიმ“ დღეს საღამოს, შეიძლება, ნახევარი მილიონი გირვანქა ჩაიჯიბოს. ამისთვის მხოლოდ ერთი რამ გახლავთ საჭირო - ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** ბულგარელების წინააღმდეგ მეკარე **ჯო ჰარტი** უნდა ათამაშოს. ჰარტი შრუსბერელია და ფეხბურთის თამაშიც მშობლიური ქალაქის გუნდში დაიწყო. მას 2003-06 წლებში „შრუსბერი თაუნის“ შემადგენლობაში 58 თამაში აქვს ჩატარებული, შემდეგ კი, 2006-ის ზაფხულში, „მანჩესტერ სიტიმ“ იყიდა და... ძაღლის თავიც იქ დაიმარხა: ხელშეკრულებაში ჩაიდო, რომ თუ ბიჭი, რომელიც შრუსბერელებმა ისტლენდელებს მიჰყიდეს იმდენად ნიჭიერი გამოდგებოდა, რომ ოდესმე ნაკრებში ითამაშებდა, „სიტი“ ნახევარ მილიონს გადაიხდიდა.

დაახლოებით ამდაგვარი რამ ჩაწერეს იმ კონტრაქტშიც, რომელიც „მიდლსბროდან“ იმავე „სიტიში“ **ადამ ჯონსონის** გადასვლის დროს შედგა. უნდა მოგახსენოთ, რომ „ბორომ“ გასულ მაისს პატიოსნად მიიღო მილიონი ფუნტი - ჯონსონი, რომელსაც ეროვნულ გუნდში ჯერჯერობით მხოლოდ ორჯერ აქვს ნათამაშები, კაპელომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპზე გამოიყენა. თუმცა, ჩვენ ჰარტს დავუბრუნდეთ:

*„ვფიქრობ, მართალი ვარ, როცა ვამბობ, რომ - თუ კაპელო ბულგარეთთან მათამაშებს, „შრუსბერი“ ნახევარ მილიონს მიიღებს. ბოლოს, ინგლისის ნაკრების ამხანაგურ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა და იმ დღეს შრუსბერელებს ეგონათ, რომ თანხას მიიღებდნენ, მაგრამ მერე გაირკვა, რომ თურმე ხელშეკრულებაში ოფიციალურ შეხვედრაზე ყოფილა ლაპარაკი. მერწმუნეთ, ისეთი გუნდისთვის, როგორიც „შრუსბერი თაუნია“, ნახევარი მილიონი ძალიან დიდი ფულია. დღეს იქ ჩემი დროიდან მხოლოდ ერთი ფეხბურთელია დარჩენილი, სხვები ახლები არიან“.*

მაგრამ არის კი იმის გარანტია, რომ ჰარტს ბულგარელების წინააღმდეგ ათამაშებენ? თავად ფეხბურთელის თქმით, ასეთი გარანტია არ არსებობს.

*„ძალიან ვეჭვობ, რომ ვინმეს ჰქონდეს ასეთი გარანტია. არავინ იცის, ვის ათამაშებს მწვრთნელი. მხოლოდ ერთ-ორ კაცს შეუძლია მშვიდად თქვას, რომ ინგლისის ნაკრები მისი გუნდია. მე მათ რიცხვში ნამდვილად არ ვარ. ჩემზე მხოლოდ ერთი რამ არის დამოკიდებული - მონდომებით ვივარჯიშო და ვცადო კაპელოს თავი მოვაწონო. ჩვენ, ფეხბურთელები, მაყურებლის წინაშე ვალში ვართ. დღეს ძალიან ემოციური თამაში იქნება, ხალხი მოუთმენლად ელის ჩვენს გამარჯვებას, არადა, ბულგარეთის ნაკრები ძლიერი გუნდია. იმედი მაქვს, რომ მაყურებელი მხარს დაგვიჭერს და ჩვენ ერთად შევძლებთ წარმატებას. ინგლისელ ერს მოგება სჭირდება“.*

შემდეგ ჰარტს „მანჩესტერ სიტის“ ამბებზე ჰკითხეს. მოგეხსენებათ, ისტლენდზე დიდი კონკურენციაა, ჰარტს არც მეტი, არც ნაკლები, ცნობილი ირლანდიელი მეკარე **შეი გივენი** ეცილება ძელებს შორის ადგილს. ინგლისელმა გოლკიპერმა თქვა:

*„მე ძალიან მინდა თამაში, და არა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. რობერტო მანჩინის პირველ მეკარედ შეი რომ დაესახელებინა, მე სხვა გუნდს მოვძებნიდი. გივენი დიდი მეკარეა, რომელსაც თავისი ოსტატობა წლობით აქვს დამტკიცებული და მე იძულებული ვარ ყოველ დღე დაძაბული ვიყო, კარში ადგილი რომ არ დავკარგო. მე მას უდიდეს პატივს ვცემ არა მხოლოდ როგორც მეკარეს, არამედ როგორც ადამიანს და პროფესიონალს. მასთან ერთად მუშაობა ძალიან მსიამოვნებს“.*

ფეხბურთის წესები



მიკელ არტეტა

# მოქალაქე არტეტას წარსული და მომავალი

**მიკელ არტეტა** ინგლისის ნაკრებში ვერასდროს ითამაშებს! **ფაბიო კაპელო** „ევერტონის“ ესპანელ ნახევარმცველს საგანგებოდ შეხვდა და ჰკითხა, რა აზრისაა ის ინგლისელთა ეროვნულ გუნდში გამოსვლაზე - ბრიტანული კანონმდებლობით ფეხბურთელს ამ ქვეყნის პასპორტი უკვე ერგება - მაგრამ ვაგლახ, ფეხბურთში მთავარი ფიფას წესებია. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ სჯაბაასში ჩართულ მხარეებს ფიფას კანონების მოშველიებით, განუმარტა, რომ ტყუილად ირჯებიან, რადგან არტეტას ინგლისის ნაკრებში გამოსვლის უფლება არასდროს ექნება.

ახლა უფრო დაწვრილებით: მიკელ არტეტას 1999 წელს ესპანეთის 16 და 17-წლამდელთა ნაკრებებში აქვს ნათამაშები - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. იმხანად ის ბრიტანეთის მოქალაქეც რომ ყოფილიყო, სხვა იქნებოდა, ახლა ინგლისის ნაკრებში გამოსვლის ნებას დართავდნენ, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, მაშინ ყმაწვილკაცს ბრიტანეთთან საერთოდ არაფერი აკავშირებდა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა თქვა:

*„ფიფას წესები წავიკითხეთ და თუ სწორად გავიგეთ, არტეტას ინგლისის ნაკრებში გამოსვლის შანსი არ აქვს“.*

ფიფას წესებში უწერია ნაკლებად ცნობილი პუნქტი - ნომერი 18.1, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ თუკი ფეხბურთელმა უკვე ითამაშა ამა თუ იმ ქვეყნის ნაკრებში - ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ შეჯიბრებაში - ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნის სახელით მოუნდა ასპარეზობა, ნებართვის მისაღებად უნდა წარადგინოს საბუთი, რომ მაშინ (პირველი ქვეყნის ნაკრებში გამოსვლის მომენტისთვის) მეორე ქვეყნის მოქალაქეც იყო.

28 წლის ფეხბურთელი სან სებასტიანში გახლავთ დაბადებული. გაიზარდა ესპანეთში, იქვე ისწავლა ფეხბურთის თამაში. სხვადასხვა დროს თამაშობდა „ბარსელონას“ B გუნდში, „პარი სენ ჟერმენში“, „რეინჯერსსა“ და „რეალ სოსიედადში“. 2005 წლიდან „ევერტონშია“. აღსანიშნავია, რომ ბრიტანული პასპორტის აღებისა და ინგლისის ნაკრებში თამაშის იდეა თავიდან მას ეკუთვნოდა.

გამოძახილი

# ბიჭი ქარავნიდან

როგორც ვწერდით, **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** თავი „ტოტენჰემში“ ამოყო, არადა, ორი კვირით ადრე აცხადებდა, პრემიერლიგაში გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში ღირს, თუკი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადადიხარო. უფრო სწორად, ჰოლანდიელმა ერთ-ერთ ინტერვიუში ასე თქვა:

*„თუკი მადრიდის „რეალს“ ტოვებ, მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედში“ უნდა გადახვიდე“...* და „სფურზის“ მოთამაშე გახდა. თანხა, რომელიც ლონდონელებმა მადრიდის „რეალს“ გამთამაშებლის სანაცვლოდ გადაუხადეს, ზოგი გამოცემის თანახმად, 8 მილიონი ფუნტია (9,6 მილიონი ევრო), ზოგის თანახმად კი 8,7 მილიონი ფუნტი (10,5 მილიონი ევრო).

მოგეხსენებათ, ბაზრის დახურვის გამო ვან დერ ვაარტის ტრანსფერი ტექნიკური პრობლემების წინაშე იდგა - მათ შესახებ ქვემოთ გეტყვით - მაგრამ, საბოლოოდ ყველაფერი დალაგდა, ხოლო ფეხბურთელმა პირველი „ინგლისური“ ინტერვიუც მისცა:

*„ინგლისში თამაშს დიდი სიხარულით შევხვდი. რამდენად ერგება პრემიერლიგის ფეხბურთი ჩემს სტილს, გამოჩნდება, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ კარგი ფეხბურთელი თავად უნდა შეეწყოს ნებისმიერ ფეხბურთს. ერთი სიტყვით, ტრანსფერით ძალიან კმაყოფილი გახლავართ. ძალიან მინდა ლამაზად მოთამაშე გუნდში ლამაზი ფეხბურთი გავაჩაღო, თუ საშუალება მომეცემა ყოველ კვირა“.*

27 წლის ვან დერ ვაარტმა ეს სიტყვები ჰოლანდიის ნაკრების შეკრებაზე თქვა. „ორანიე“ ევრო 2012-ის შესარჩევს სან მარინოსა და ფინეთთან შეხვედრებით იწყებს. ტრანსფერთან დაკავშირებული ტექნიკური სირთულეები კი ასეთი გახლდათ: „სფურზმა“ „რეალთან“ ყველაფერი დროულად მოაგვარა და საბუთებიც მოაწესრიგა, მაგრამ ფეხბურთის ასოციაციაში რეგისტრაცია კომპიუტერის „გაჭედვის“ გამო ვერ მოასწრო, რის გამოც გაუგებრობა, უფრო სწორად კი პრობლემები წარმოიშვა.

საბოლოოდ ლონდონელებს ასოციაციისთვის თავიანთი სიმართლის დამტკიცება მოუხდათ და როდესაც ფეხბურთის მმართველთა ოფისში დარწმუნდნენ, რომ რედნაპსა და მის ამალას მართლაც ყველაფერი დროზე მოუგვარებია, ვან დერ ვაარტი პრემიერლიგის ფეხბურთელად დაამტკიცეს. დაახლოებით ასეთივე რამ მოხდა **ლარს იაკობსენის** „ბლექბერნიდან“ „ვესტ ჰემში“ გადასვლასთან დაკავშირებით.

ვან დერ ვაარტის „ტოტენჰემში“ გადასვლამ ამ გუნდის ფანებს გული მოულბო და კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ რედნაპს ნიჭიერი, მაგრამ „მიგდებული“ ფეხბურთელების შემოკრება, მათთვის დაყვავება და „გაცოცხლება“ უყვარს. ვან დერ ვაარტი „აიაქსის“ აკადემიის აღზრდილია - ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს რომ დგამდა, ლამის ფენომენურ მოთამაშედ ითვლებოდა. საინტერესოა, რომ ის ბოშასავით იზრდებოდა. დედა ესპანელი ჰყავს, მამა ჰოლანდიელი. ოჯახი „პიკაპით“ მოგზაურობდა და მამა „ქარავან პარკინგებზე“ ფეხბურთის თამაშს ასწავლიდა. „აიაქსში“ დებიუტი 17 წლისას ჰქონდა და ამ დროს ჯერ კიდევ მანქანაში ცხოვრობდა.

დღეს რაფაელ ვან დერ ვაარტს ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში 83 თამაში აქვს ჩატარებული. ვერავინ იტყვის, რომ მისი კარიერა წარუმატებელია, მაგრამ ისიცაა, რომ ტრავმებმა ძალიან ბევრ წინააღმდეგობას გადაჰყარა. განსაკუთრებით ის „რეალმა“ „ჩაყლაპა“.

სკანდალური გამოდგა მისი და ტელევარსკვლავ **სილვი მეისის** ქორწინება. „აიაქსისა“ და „დენ ჰააგის“ შეხვედრაში ტრიბუნებიდან ანტისემიტური შეძახილები ისმოდა, სილვი მეისს ლანძღავდნენ და თამაშის ჩაშლით იმუქრებოდნენ. ეს ამბავი ჰოლანდიის პარლამენტში მსჯელობის თემაც გახდა. ამას დაემატა კონფლიქტი შვედ თანაგუნდელ **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან**, ბრალდება, რომ ის აქეთ-იქით დაქეიფობს და უამრავი სხვა რამ.

2005-ში ვან დერ ვაარტი ამსტერდამიდან „ჰამბურგში“ გადავიდა, რითაც ყველა გააკვირვა. **იოჰან კრუიფმა** ისიც კი თქვა, აზრზე არ ვარ, ეს კაცი „ჰამბურგში“ რას აკეთებსო, თუმცა მან იქ გაილაღა და „რეალში“ გადავიდა. აი, რეალში კი ჯერ ბრაზილიელმა **კაკამ** შეავიწროვა, ხოლო ახლა მას გერმანელი **მესუთ იოზილიც** დაემატა. ნათელი გახდა, რაფაელ ვან დერ ვაარტი „სანტიაგო ბერნაბეუდან“ უნდა აბარგებულიყო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



რაფაელ ვან დერ ვაარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტონ ვილა

## კერბიშლი გაახსენდათ

„ასტონ ვილას“ მწვრთნელის თანამდებობა თავისუფალია. საქმეს ჯერჯერობით **კევინ მაკდონალდი** უძღვება, თუმცა ცნობილი გახდა ახალი კანდიდატის ვინაობა: ეს გახლავთ გამოცდილი **ალან კერბიშლი**.

შეგახსენებთ, რომ კერბიშლი საფეხბურთო სცენაზე უკვე ორი წელიწადია არ გამოჩენილა. ბოლოს ის „ვესტ ჰემს“ ედგა სათავეში, თუმცა, რამდენადაც ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, „ასტონ ვილას“ შეფები უკვე ელაპარაკნენ მას. როგორც ჩანს, ახლა საქმე მაკდონალდსა და კერბიშლის შორის ასარჩევად იქნება.

კერბიშლის კარიერაში ყველაზე დიდი მიღწევა „ჩარლტონ ატლეტიკის“ პრემიერლიგაში დამკვიდრება გახლავთ. სხვა სიტყვებით, ის უმაღლეს ინგლისურ დივიზიონში გამოცდილი მწვრთნელია და „ასტონ ვილას“ მოთხოვნაც სწორედ ეს იყო, თუმცა კერბიშლის გამოჩენა ნამდვილად არ ნიშნავს მაკდონალდისთვის ხაზის გადასმას.

შეგახსენებთ კერბიშლის „ვესტ ჰემიდან“ წასვლის მიზეზსაც: მაშინ კლუბმა რამდენიმე ფეხბურთელი მწვრთნელის ზურგს უკან გაყიდა. გარდა ამისა, სათქმელია, რომ ის თავის დროზე „ასტონ ვილაში“ თამაშობდა - ქალაქის მეორე გუნდიდან, „ბირმინგემ სიტიდან“ გადავიდა და მისი მაისურა 36 შეხვედრაში მოირგო.

ამბობენ, რომ „სტოკთან“ შეხვედრამდე „ვილას“ შეფებმა შესაძლოა სხვა კანდიდატურებიც განიხილონ. დაირხა ხმა, თითქოს „ასტონ ვილას“ თავკაცობით „ალკმაარის“ ყოფილი მწვრთნელი **რონალდ კუმანიც** დაინტერესდა.

**ილია ბაბუნაშვილი**

საფეხბურთო ბიზნესი

# ბებეში ბევრი გადაუხდიათ!



ბებე იაფი ღირებულა...

გაირკვა, რომ პორტუგალიელი **ბებეს** ყიდვა „მანჩესტერ იუნაიტედს“ გასულ იანვარს მხოლოდ და მხოლოდ 125 ათას გირვანქად შეეძლო... მერე რაო, იკითხავს მკითხველი, რომელმაც შეიძლება არ იცოდეს, რომ 20 წლის ყმაწვილში სერ **ალექს ფერგიუსონმა** სამი კვირის წინ 7,4 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ბევრისთვის ეს მართლაც შოკი იყო, რადგან ლეგენდარულ შოტლანდიელს თავდამსხმელის თამაში ტელევიზიითაც კი არ ჰქონდა ნანახი...

ის, რომ ბებეს პორტუგალიის მესამე დივიზიონზე უფრო მაღალი დონის ფეხბურთი არასდროს ეთამაშა, „ლელოს“ მკითხველისთვის იმთავითვე ნათქვამი გვქონდა, თუმცა ის, რაც „დეილი მეილმა“ აღმოაჩინა, სრული მოულოდნელობა გამოდგა: თურმე, სულ ცოტა ხნის წინ, გაკოტრების საფრთხის წინაშე მდგარი პორტუგალიური კლუბი „ეშტრელა და ამადორა“ ახალგაზრდა ფორვარდში 150 ათასი ევროს გადამხდელ კლუბს ეძებდა. „ეშტრელა და ამადორა“ სწორედ ის კლუბია, სადაც ბებე „მანჩესტერამდე“ თამაშობდა.

აი, რა უთხრა „ეშტრელას“ მწვრთნელმა **ჟორჟე პაშაიუმ** ინგლისელ ჟურნალისტებს: *„გასულ სეზონში ცენტიც კი არ გვქონდა და გამოსავლის ძებნაში ყველა ღონეს ვხმარობდით, რამენაირად ბებე რომელიმე კლუბისთვის მიგვეყიდა. ძალიან გვჭირდებოდა ფული. როგორც ინგლისში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში, ხალხს ვეხვეწებოდით, ეს ნიჭიერი ახალგაზრდა 150 ათას ევროდ წაეყვანათ, მაგრამ... ზედაც არავინ შემოგვხედა. ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა - ბიჭს უმაღლეს დონეზე ნათამაშები არ აქვს და ვერ ვენდობითო. მერე კი უცბად ისეთი რამ მოხდა, რამაც ძალიან გამაოცა - ბებე „იუნაიტედმა“ იყიდა. ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. მეგონა, მას პორტუგალიის შედარებით დიდი ან ევროპის რომელიმე საშუალო კლუბი თუ იყიდდა, ხელთ კი... თავად „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეგვრჩა“.*

ბებე ლისაბონის შემოგარენში, უსახლკაროთა თავშესაფარში ცხოვრობდა, როცა „ეშტრელა“ დატოვა და პორტუგალიის უმაღლესი ლიგის კლუბ „გიმარაეშს“ შეუერთდა. ეს ამბავიც სულ ახლახან, ამ ზაფხულს მოხდა. ცნობისთვის - „ეშტრელამ“ თავდამსხმელს გასული წლის განმავლობაში დაახლოებით 14,4 ათასი ევრო გადაუხადა - თანხა, რომელსაც ახლა „იუნაიტედში“ ერთ კვირაში უხდიან. მისმა ყოფილმა აგენტმა **გონსალო რეიშმა** დაადასტურა, რომ პორტუგალიელი ყმაწვილი ნახევარი წლის წინ „გროშები“ ღირდა:

*„გასულ სეზონში ბებეს შეძენა ძალიან იაფად შეიძლებოდა. „ეშტრელა“ ბოლოს ხელფასს ვეღარც კი უხდიდა და ამიტომ ამ კლუბთან კონტრაქტი გავწყვიტეთ და იმ მომენტში საერთოდ თავისუფალი იყო. სხვათა შორის, „იუნაიტედის“ სკაუტმა გასულ სეზონშიც დამირეკა, მაგრამ მე როგორც მივხვდი, მან ბებეს ნამდვილი შესაძლებლობები მხოლოდ ზაფხულში აღმოაჩინა, როცა ბიჭი უკვე „გიმარაეშში“ ჩაირიცხა და სეზონისწინა ამხანაგურ შეხვედრებში გამოდიოდა. მერწმუნეთ, მანჩესტერის ხალხს ცოტა მეტი დაკვირვება რომ გამოეჩინა, ფეხბურთელის ყიდვას მეტისმეტად იაფად შეძლებდნენ“.*

ამ დღეებში ბებე პორტუგალიაშია, 21-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს. დღეს ინგლისელ თანატოლთა წინააღმდეგ მისი დებიუტიც შეიძლება შედგეს.

ისევ „ეშტრელას“ მწვრთნელი პაშაიუ: *„როგორც არ უნდა იყოს, იაფი გადაიხადა თუ ძვირი, ფაქტი ერთია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ განსაკუთრებული შესაძლებლობების ფეხბურთელი შეიძინა“.*

„იუნაიტედში“ ამასობაში საგანგაშო ნიშნებია: წლებია, რაც კლუბს სეზონური აბონემენტები გაუყიდავი არ დარჩენია, ახლა კი 54 ათასი აბონემენტიდან... 2 200 „დაბრუნდა“. მიუხედავად ამისა, „მანკუნიანელთა“ აღმასრულებელი შეფი **დევიდ გილი** აცხადებს, 54 ათასიდან 2 200-ის „დაბრუნება“ მაინც მოგებას ნიშნავს და თვალს მხოლოდ ის ხვდება, რომ უწინდელივით ყველა აღარ გაიყიდაო...

და კიდევ - მუხლის მუდმივი ტკივილის მიუხედავად, **ოუენ ჰარგრივზი** ფერგიუსონმა 25-კაციან განაცხადში შეიყვანა, რასაც ბევრი არ ელოდა...

**ილია ბაბუნაშვილი**



U 21. შესარჩევი. თურქეთი-საქართველო


ოთარ გაბელია

# თურქები დაცვაში თუ კიდევ შეცდნენ...

## გულშემატკივართა ყურადღება კალათბურთისკენ. ჩეთინერი ტრავმას და... ეროვნულ ნაკრებს უჩივის

გუშინ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები სტამბოლში გაემგზავრა, საიდანაც საქარიაში ავტობუსით გააგრძელა გზა. ამ ქალაქში ჩვენი გუნდი 4 სექტემბერს ადგილობრივ თანატოლებს შეხვდება. ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება - მეორე (თურქეთი) და მესამე (საქართველოს) ადგილზე მყოფ კონკურენტებს შორის გამარჯვებულს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის მშვენიერი შანსი უჩნდება. თურქებს 13 ქულა აქვთ, ჩვენ კი 12.

**ოთარ გაბელიას** დანაკლისზე ცნობილია - გუნდს ვერ დაეხმარებიან ტრავმირებული **ლევან ყენია, მათე ვაწაძე** და **ნიკა ძალამიძე**, ასევე - დისკვალიფიცირებული **გიორგი ხიდეშელი, ლევან მჭედლიძე** კი არ ჩამოვიდა. გუშინ საქარიაში გუნდს „დიორის" ლეგიონერები - **გიორგი განუგრავა** და **თემურ შარაშენიძე** შეუერთდნენ. ცნობისთვის, უნგრეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „დიორმა" გასვლაზე „ფერენცვაროშთან" 0:3 წააგო. ახალგაზრდა ქართველებიდან მხოლოდ განუგრავამ ითამაშა შეუცვლელად, შარაშენიძე კი ბოლომდე სათადარიგოთა შორის დარჩა.

გუშინ გაბელიამ გუნდი მსუბუქად დატვირთა. ვარჯიშობს დისკვალიფიკაცირებული ხიდეშელიც, რომელიც პარტნიორებს მხოლოდ სომხეთთან მატჩში დაეხმარება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თურქეთში შემდეგი შემადგენლობით ემზადება:

მეკარეები - **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი ბახტაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი);

მცველები - **ლევან კაკუბავა, გულვერდ თომაშვილი** (ორივე - დინამო), **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **ნიკა კვეკვესკირი** (ბაია), **გიორგი რეხვიაშვილი** (ოლიმპი), **გიორგი გურული** (ტორპედო), **ლაშა თოთაძე** (დიორი);

ნახევარმცველები - **გიორგი განუგრავა, თემურ შარაშენიძე** (ორივე - დიორი), **თორნიკე ოქრიაშვილი** (შახტარი, უკრაინა), **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ლუკა გუგუჩია** (ბაია), **თემურ შონია** (სპარტაკი);

თავდამსხმელები - **რევაზ ბარაბაძე** (უგუნდოდ), **გიორგი ივანიშვილი** (შაფჰაუზენი, შვეიცარია), **გიორგი ჭედია** (ოლიმპი), **რატი წინამძღვრიშვილი** (ზესტაფონი).

ისევე, როგორც პირველ შეხვედრაში, გაბელია ახლაც თურქთა დაცვის შეცდომების იმედზეა. ზესტაფონში მის მიერ დამუშავებულმა ტაქტიკამ გაამართლა და მეზობლები აკი გავანადგურეთ კიდეც - 4:0.

გაბელიას თქმით, მთავარი სრული მობილიზაციაა, რომლის გარეშეც მოგება და წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. ახალგაზრდების დამრიგებელმა შვეიცარიასთან თურქების ბოლო შეხვედრა ნახა და მეტოქის შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებას აპირებს.

თავად კი გუნდს მუდამ ერთი საყრდენი ნახევარმცველით ათამაშებს და მიუხედავად რთული გასვლითი შეხვედრისა, სათამაშო სქემის შეცვლა არც უფიქრია და ამ ყველაფერს ასეთი არგუმენტით ხსნის - მხოლოდ დაცვითი ფეხბურთით თამაშის მოგება წარმოუდგენელია.

### ჰიდინკმა ახალგაზრდებს მეკარე წაართვა

თურქებმა მზადება სტამბოლში დაიწყეს. ინდივიდუალურად ვარჯიშობდნენ **ჰუსეინ თოქი, სერქან ქურთულუსი, ნეჩირ უისალი, თოიქარ ალი არსლანი, თოლგაი ჩალიქი**. ნაკრების მწვრთნელ **რეშით ჩეთინერს** სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა: მთავარი მეკარე **ვოლქან ბაბაჯანი** დაშავდა და ამის გამო **ჩენკ გენენი** და **მერთ გიუნოქი** მიიწვია. თუმცა **გუუს ჰიდინკმა** გენენსაც ეროვნულ ნაკრებში უკრა თავი.

ჩეთინერი დარჩენილ ორ შეხვედრას უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს და ბრძოლაში მხარდაჭერას გულშემატკივრებს სთხოვს.

*„ჩვენ ძლიერი ახალგაზრდული ნაკრები ჩამოვაყალიბეთ. სამწუხაროდ, მეკარეების პრობლემა შეგვექმნა და ორი ახალგაზრდა გოლკიპერი მივიწვიეთ, მათ შორის გიუნოქი და ჩენქ გენენი. თუმცა ეს უკანასკნელიც ეროვნულში გადაიყვანეს და ამ კუთხით სერიოზული პრობლემა შეგვექმნა. დარჩენილ ორ შეხვედრაში პოზიცია უნდა განვიმტკიცოთ და მიზანს მივაღწიოთ. საქარიაში თამაში ყოველთვის სასიამოვნოა, რაც ჩემი წარსულიდანაც მახსოვს. იმედია, საქართველოსთან გულშემატკივართა სერიოზული მხარდაჭერა გვექნება მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად თურქეთში საკალათბურთო მუნდიალი მიმდინარეობს და ხალხის ყურადღება იქითკენაა მიპყრობილი"*, - განაცხადა ჩეთინერმა.

**მერაბ მამულაშვილი**

U 21. თურქეთი-საქართველო. მატჩის წინ

## გულვერდ თომაშვილი

# დასაკარგი რა გვაქვს?

**გულვერდ თომაშვილი ახალგაზრდულ გუნდში ვეტერანია - უკვე მესამე წელია, თბილისის „დინამოს" მცველს ამ ნაკრებში იწვევენ და შეიძლება ითქვას, მისი ყველა პლუს-მინუსი მშვენივრად იცის...**

**- ახალგაზრდულში სულ მარჯვენა მცველად გათამაშებდნენ, მაგრამ შესაძლოა, თურქეთთან ცენტრში დაგაყენონ...**

- თამაში სწორედ დაცვის ცენტრში დავიწყე, ბოლო დროს „დინამოშიც" ამ პოზიციაზე მათამაშებენ და უცხო ნამდვილად არაა. ალბათ, თურქებთანაც ცენტრში მომიწევს თამაში.

**- გულახდილად რომ ვილაპარაკოთ, ცენტრალური მცველობა უფრო შეგეფერებათ, რადგან მარჯვენა მცველისთვის საჭირო სისწრაფე არ გაქვთ...**

- სწრაფი არ ვარ, მაგრამ ეტყობა, ამის კომპენსირებას სხვა თვისებებით ვახერხებ.

**- თამაშზე რას ფიქრობთ?**

- ძალიან რთული მატჩი გველის, მაგრამ მაინც მოსაგებად მივდივართ.

**- თურქებიდან რომელი ფეხბურთელი დაგამახსოვრდათ?**

- მარცხენა ნახევარმცველი გოხანი, რომელიც ჩემს ფლანგზე თამაშობდა. თურმე, დასჯილი ჰყავდათ და ძირითად შემადგენლობაში ამის გამო არ დააყენეს. რომ აგებდნენ, ამიტომ გამოიყვანეს - ძალიან სახიფათო, აქტიური და ტექნიკური ფეხბურთელია. თუ საქარიაშიც ითამაშებს, მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ... სამწუხაროდ, ბევრი ტრავმირებული გვყავს, ჯანო ეროვნულში გამოიძახეს... ყენია რომ გვყოლოდა, უფრო მეტ ქულას მოვაგროვებდით...

**- ასეთი ლაპარაკი ხშირად გვესმის, მაგრამ საქართველოს ნაკრების მიერ მოგებული პრინციპული მატჩი არ გვახსენდება. გულშემატკივარიც პესიმისტი გახდა...**

- ახლა მართლაც კარგი შანსი გვაქვს. ჩვენი პლუსი პირველი შეხვედრის მოგებაა. 4:0-მა დაგვარწმუნა, რომ თამაში შეგვიძლია. დასაკარგი არაფერი გვაქვს და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ასე უფრო თავისუფლად ვთამაშობთ.

**- ბევრი ფეხბურთელის ტრანსფერზე დაწერილა, მაგრამ თქვენზე - არასდროს. საკმაოდ მდიდარი სანაკრებო სტატისტიკის შემდეგ, მოლაპარაკებაც არავისთან არ გქონიათ?!**

- „დინამოსთან" კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება და მანამდე ტრანსფერზე ლაპარაკი უაზრობაა. კონტრაქტის გასაწყვეტად კი საკმაოდ დიდი ფულის გადახდაა საჭირო. ისე, „დინამოში" რვა წელია ვთამაშობ. ფაქტობრივად, ამ კლუბში გავიზარდე. „დინამოს" აკადემიაში 14 წლის ამიყვანეს, 16 წლისა კი პირველ გუნდში მოვხვდი. ახლა ჩემი თაობა წამოვიდა, ახალგაზრდების და შეკრული გუნდია. სეზონის დაწყებამდე ლაპარაკობდნენ, რომ ფეხბურთელები არ გვყავდა და ამ აზრის გაბათილებას ვცდილობთ. შვედებთან მოგებაც არ იყო პატარა საქმე. ამის მიუხედავად, კარგ შედეგად „შტურმის" გამოგდება ჩაითვლებოდა. ცოტა მეტი გამართლება და ავსტრიელებსაც მოვუგებდით. მსაჯმაც ხელი შეგვიშალა. და მაინც, მთავარი ისაა, რომ სამარცხვინოდ არ გამოვვარდნილვართ, ჩვენც გული დაგვწყდა და გულშემატკივარსაც. არადა, შემდეგ წრეში გასვლა ნაღდად შეგვეძლო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

**- ესეც სათქმელია: გაუთავებელი წარუმატებლობების შედეგად, ფეხბურთს ძველებური ყურადღება აღარ ექცევა. შეიძლება, ხმამაღალ სიტყვებად მოგეჩვენოთ, მაგრამ ასეა - დღევანდელ მოთამაშეებზეა დამოკიდებული, გადარჩება თუ არა ქართული ფეხბურთი.**

- კალათბურთელების და მორაგბეების წარმატება ყველას გვიხარია, მაგრამ ფეხბურთი საქართველოში მაინც ყველაზე პოპულარული სახეობაა. ფეხბურთზე ყველა იმიტომ ლაპარაკობს და გვაკრიტიკებს, რომ აინტერესებთ. რომ არ უყურებდნენ, ამდენ საკრიტიკოს მოძებნიდნენ? აბა, ვინმე საქართველოში გოლფის ცუდ მდგომარეობაზე ლაპარაკობს? თუმცა, მართალს ბრძანებთ, ხალხს წარმატება ენატრება და სანამ რაიმე ღირებულს არ მივაღწევთ, კრიტიკა მანამდე არ შეწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა. I ტური

**გურია-იმერეთი 4:2**

1:0 ს. ურუშაძე (21), 2:0 ტ. კუკულაძე (27), 2:1 ლოლუა (70), 2:2 ბ. ხაჭიპერაძე (74), 3:2 ი. კილაძე (78), 4:2 ს. ურუშაძე (90)

გურია: მ. გოგუაძე, ქურიძე, რ. კუკულაძე, კ. ძაგანია, ფირცხალაიშვილი, კილაძე, ა. დოლონაძე (72. ბ. წერეთელი), თოლორდავა, ტ. კუკულაძე (66. მ. კოტრიკაძე), ს. ურუშაძე, ი. ტულუში (75. გ კუკულაძე).

*სათადარიგოები: ეზიეშვილი, შენირული, გ. ჭეიშვილი.*

მთავარი მწვრთნელი: გია ჩხაიძე.

იმერეთი: ნიქაბაძე, ხარებავა, ვ. ბრეგაძე, ბ. ხაჭიპერაძე, რ. კაშია (32. კუხალაშვილი), რ. გვანცელაძე (46. გ. ლიპარტელიანი), მეტონიძე (32. ჯ. ლოლუა), გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, გ. ქობალია, ცაგარეიშვილი.

*სათადარიგოები: კახეთელიძე, გ. უგულავა, ფესტვენიძე, დ. ხაბურძანია.*

მთავარი მწვრთნელი: დავით ჭელიძე.

გაფრთხილება: გვანცელაძე, ცაგარეიშვილი, დოლონაძე, ლოლუა, ბრეგაძე, ი. კილაძე.

არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**მარტვილი-ბათუმი 1:0**

1:0 გ. ჟვანია (58-პენ)

მარტვილი: ჯ. შეროზია, გ. ჟვანია, ვ. იობაშვილი, სუხიაშვილი, თ. კაკუშაძე, იატრონი (39. წოწორია), ბერუაშვილი, გ. ილურიძე, ტაპე (69. ი ხვადაგიანი), ლ. კუჭუხიძე (78. ო. გიორგობიანი), ამბროლაძე.

*სათადარიგოები: ი. შარანგია, ი. ფაცაცია, მელივა, ა. ბილიხოძე*

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

ბათუმი: კეკელიძე, ხუხია, ზვ. ლობჟანიძე, კაჭკაჭიშვილი, ლ. რამიშვილი, ა. ბაჯელიძე (61. დიასამიძე), სამსეიშვილი, ე. გრიგალაშვილი (65. გ. ხარაბაძე), მანწკავა, დემურაძე (51. მ. ჯორბენაძე), გ. ბოხუა.

*სათადარიგოები: მ. ჟვანია, გ. გოგიტიძე, დ. მალაზონია, თ. კაკალაძე.*

*მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე.*

გაფრთხილება: იატრონი, ილურიძე, იობაშვილი, ლ. რამიშვილი, კაჭკაჭიშვილი.

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**მეშახტე-ჭიათურა 4:1**

1:0 გ. აბურჯანია (17), 2:0 თ. შეყრილაძე (51), 3:0 გ. ჯულელი (56), 3:1 ზ. ნოზაძე (65), 4:1 ლ. გაბრიჭიძე (70).

მეშახტე: ი. ორბელაძე, პირველი, ა. ქუთათელაძე (61. ვაჩიბერაძე), ა. ბუცხრიკიძე, ა. გუბელაძე, ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე, ცუცქირიძე (46. თ. შეყრილაძე), გ. აბურჯანია, გ. ჯულელი (74. შარვაშიძე), ლ. გაბრიჭიძე.

სათადარიგოები: დ. ოდიშარია, რ. კალანდაძე.

*მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძე.*

ჭიათურა: დარბაიძე, გუმბერიძე, ნ. გაფრინდაშვილი, მეცხოვრიშვილი, ცუცქირიძე, ნ. ტყემალაძე (60. რობაქიძე), ვ. ჯელაძე, ზაბახიძე (56. ჯ. ლაშხი), თემური მიშველიძე (51. ასანიძე), ზ. ნოზაძე, დ. სევასტოპულო.

*სათადარიგოები: ბადურაშვილი, კახნიაშვილი, კაპანაძე.*

მთავარი მწვრთნელი: ამირან სევასტოპულო.

გაფრთხილება: ჯელაძე, ცუცქირიძე, ზ. ნოზაძე, გაფრინდაშვილი, შარვაშიძე.

არბიტრი: თ. ხუჭუა (სამტრედია)

**სამგურალი-სქური 2:1**

0:1 ლ. გაბუნია (23), 1:1 ხ. უგრეხელიძე (34), 2:1 ზვ. ქუთათელაძე (80)

სამგურალი: დ. ხურცილავა, ზ. რაზმაძე, დ. ჩაკვეტაძე, ზვ. ჩიხლაძე, გ. ლიპარტელიანი, ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე (72. პ. მიქაძე), ზვ. კუხალაშვილი (55. რ. კოხრეიძე), გ. უგულავა (90. გ. გედენიძე), ზვ. ქუთათელაძე, ლ. ნავერიანი.

სათადარიგოები: ხ. სირაძე, მ. მესხი, გ. ბუხაიძე, სალინაძე.

*მთავარი მწვრთნელი: ელდარ ჯიმშელეიშვილი*

სქური: ა. მაქაცარია, სვირავა, ფარცვანია, ყველაშვილი, კვიტატიანი, ქომეთიანი (37. რაფავა), გ. ქირია, ნ. შონია (46. ზ. სახოკია), ბ. გუჯეჯიანი, ლ. გაბუნია, გ. ჭკუასელი (70. დ. თოდუა).

*სათადარიგოები: ხარჩილავა, დ. კუტალია, გერგედავა, გ. პერტაია.*

*მთავარი მწვრთნელი: ვალერი გულორდავა*

გაფრთხილება: ლიპარტელიანი, ზ. რაზმაძე, სვირავა, ფარცვანია.

გაძევება: ზ. რაზმაძე

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**ადელი-გორი 1:2**

1:0 ნ. გოგუაძე (20), 1:1 ნ. ნოზაძე (48), 1:2 ვ. წინამძღვრიშვილი (49)

ადელი: ლ. ბეკტაშევი, ფუტკარაძე, ლ. მახარაძე, ვ. ხიდეშელი, ბესიკ თედორაძე, ვ. ფალავანდიშვილი (68. ლ. ჯაში), ნ. გოგუაძე, დარჩიძე, ნასუაშვილი (77. გ. გორჯელაძე), კ. ქაცარავა, მამეიშვილი (46. აბუსერიძე).

*სათადარიგოები: ი. დევაძე, მუშამბაში, ზოიძე, მოროტრე.*

*მთავარი მწვრთნელი: სოსო ნასუაშვილი*

გორი: ბ. კეჩხუაშვილი, დ. ტლაშაძე, თ. შათირიშვილი, ქარქუზაშვილი, ტარიელაშვილი, კ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, ი. ლომიძე (88. ა. სირბილაძე), გ. წინამძღვრიშვილი (68. გ. ბიძინაშვილი), სადალაშვილი.

*სათადარიგოები: რაჟამაშვილი, კ. ბიძინაშვილი, ლ. ლობჟანიძე, ნ.ნ. ნოზაძე, რუსიშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: ხვიჩა ხაჭაპურიძე*

გაფრთხილება: ხიდეშელი, კუჩხუაშვილი, ნ. სადალაშვილი.

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**ბაგრა-ნ/დინამოელი 2:1**

1:0 შ. კვანტალიანი (39), 1:1 ზვ. კვარაცხელია (53), 2:1 გ. ტყეშელაშვილი (90)

ბაგრა: ლ. ნადირაშვილი, ჯ. გაბუნია, გ. ტყეშელაშვილი, თ. მოსიაშვილი, შ. კვანტალიანი, მ. ნაკონეჩნი (46. ლ. შარიქაძე), ნ. ჯიშკარიანი, ზვ. ჩხეტიანი, ლ. კალანდაძე (63. ხუციძე), ოვონიკოკო (46. ნათენაძე), ორდინსკი.

*სათადარიგოები: ი. ხომერიკი, გიგაური, გედენიძე, ყურულაშვილი.*

მთავარი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი.

ნ/დინამოელი: თ. ცანცაბაძე, გ. ჯელაძე, გ. ოდიშარია, ნ. ნათაძე, ო. გაგნიძე, თანიაშვილი, ელიზბარაშვილი, ხვთისავრიშვილი, ზვ. კვარაცხელია (71. რეხვიაშვილი), თ. ტაბატაძე (64. კ. გაბუნია), ახალბედაშვილი (81. ნ. ზაალიშვილი).

სათადარიგოები: ნ. ჯალაღონია, მაისურაძე, ზ. გელაშვილი, თ. კვარაცხელია.

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

გაფრთხილება: ოვონიკოკო, ნათაძე, ნაკონეჩნი, გაგნიძე, ოდიშარია, ჯიშკარიანი.

გაძევება: ნათაძე

არბიტრი: ბ. ნინუა (ქუთაისი)

**ლოკომოტივი-მერცხალი 1:1**

0:1 რ. ჭეიშვილი (17), 1:1 გ. ბოჭორმელი (82)

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, ჯ. მიქავა (35. ვ. ქერივიშვილი), გვაძაბია, ზ. ქაჯაია, ი. გადელია, დ. მიქავა (62. ი. გონაძე), ჩარგეიშვილი, ბაქრაძე, ბოჭორმელი, ბ. მახარაძე (71. რ. ნულაძე), ხოკერაშვილი.

სათადარიგოები: ნიორაძე, ძიძიგური, მაკარაშვილი, თ. ბახტაძე

მთავარი მწვრთნელი: ლ. ჭალაშვილი

მერცხალი: ლ. ლატარია, ვ. რამიშვილი, თ. ჩხატარაშვილი, გ. აკობია, ს.ვ. ჩიგოგიძე, მ. ქობულაძე (75. ს. გ. ჩიგოგიძე), ი. ნაჭყებია, ნ. ჭკუასელი, ლ. ჩხაიძე, რ. ჭეიშვილი (24. ნ. ხინთიბიძე), ლ. ათუაშვილი (46. გულიტაშვილი).

*მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი*

გაფრთხილება: ლ. ლატარია, ი. ნაჭყებია, გ. აკობია

არბიტრი: კ. ჭაჭუა (ქუთაისი)

**კოლხეთი (ხობი)-რიხურა 0:1**

0:1 გ. ენუქიძე (41)

კოლხეთი (ხ): ხარძეიშვილი. გ. გოგენია, ფარფალია, ა. კვირკველია, ჩაჩიბაია, ი. კუტალია, კ. გოგენია (33. მ. ბესარაშვილი), სართანია, გოგა გაგუა (69. თ. ძველაია), თ. ღლონტი (62. გელა ლომაია), დ. ქირია.

*სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, ბ. ბუკია, ვ. ფირცხალავა, მ. შონია.*

მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია

რიხურა: დოლაძე, ზიკზიკაძე, ცარციძე, გვეტაძე, ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე, ტყებუჩავა, ა. ივანიშვილი (36. დ. ქამუშაძე), ბ. პეტრიაშვილი (76. თ. მუმლაძე), გ. ენუქიძე, თ. მეტრეველი (60. ა. ალავიძე).

სათადარიგოები: ზ. მწყერაშვილი, ი. ჭილლაძე, გიორბელიძე, ნ. მაჭარაშვილი

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

*ჩხერიმელა ისვენებს*

ოლიმპიზმი. ინტერვიუ გია ნაცვლიშვილთან

# თბილისი 2015 ნათელ ფერებში

## თამაშები ჩინებულად იყო ორგანიზებული, მაგრამ სპორტული თვალსაზრისით პაროდიას ჰგავდა

**აგვისტოს შუა რიცხვებში სინგაპურში კიდევ ერთ მსოფლიო მასშტაბის სპორტულ ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი - ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებს. მოგეხსენებათ, იქ ჩვენი დელეგაცია ხუთი სპორტსმენით წარდგა, რომელთაგანაც მედალი მხოლოდ ერთმა მოიპოვა - „თავისუფლად" მოჭიდავე ირაკლი მოსიძე (63) მესამე ადგილზე გავიდა.**

**ჩვენი ახალგაზრდების გამოსვლასა და, ზოგადად, ამ ახალი თამაშების პირველ შთაბეჭდილებებზე, მის პერსპექტივებზე სასაუბროდ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილს ვესტუმრეთ, რომელიც გუნდთან ერთად ჩაფრინდა სინგაპურში, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე დაბრუნდა სამშობლოში. თუმცა ოლიმპიური სპორტი იმდენად ტევადი სფეროა, შეუძლებელია, რესპონდენტთან მხოლოდ ამ ერთ შეჯიბრებაზე გველაპარაკა. მით უფრო, რომ აქტუალურია ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისში ჩატარების თემა; საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნებიც მოახლოვდა და უკვე ბელგიელ დოქტორ ჟაკ როგეს შემცვლელებზეც ლაპარაკობენ...**

**- ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები პირველად ჩატარდა, თქვენი აზრით, რამდენად გაამართლა მან დანიშნულება, შეძლებს კი სამომავლოდ ღირსეული ადგილის დამკვიდრებას მსოფლიოს სპორტულ ცხოვრებაში?**

- შემდეგში რა იქნება, ვერ გეტყვით, მაგრამ პირველთან დაკავშირებით ცოტა პესიმისტური განწყობა დამეუფლა იმ ხასიათიდან გამომდინარე, რასაც ისინი ამ თამაშებს აძლევდნენ. პირადად მე ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი გაცილებით პრესტიჟულად მიმაჩნია. არადა, სინგაპურისას მსოფლიოს თამაშები ერქვა. მან უფრო სკაუტური ბანაკების შთაბეჭდილება დამიტოვა. ორგანიზება შესანიშნავი იყო, მასპინძლებმა თავიანთ ხარჯზე ორი კვირის განმავლობაში ფანტასტიკურ პირობებში აცხოვრეს სტუმრები. ბევრმა პირველივე დღეებში დაამთავრა გამოსვლა, მაგრამ ყველანი ბოლომდე დატოვეს უფასოდ.

ცოტა გაუგებარი იყო სპორტული პრინციპი - ჯერ ლიცენზიების მოპოვების წესი, მერე - ადგილზე შეჯიბრების. მაგალითად, ძიუდოში ბექა ტულუში ყაზახ კაირატ აგიბაევს ორჯერ შეხვდა - პირველად წააგო, მეორედ მოუგო. როგორ მოხდა ეს და როგორ დაეჭიდა ერთსა და იმავე მეტოქეს, სიმართლე გითხრათ, მეც ვერ გავიგე.

**- ჩვენი გუნდის გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

- ყველაფერი გავაკეთეთ, თუმცა ჩავარდნებიც გვქონდა. მაგალითად, ბერძნულ-რომაულის ნაკრებმა ერთი ლიცენზიაც ვერ მოიპოვა. ჩავარდნა გვქონდა კრივშიც, სადაც საგზურს ველოდებოდით და ვერ ავილეთ. ორივე სახეობის ხელმძღვანელებთან მკაცრი საუბარი მქონდა. სერიოზული გაუგებრობა შეიქმნა ძალოსნობაში ტალახაძესთან დაკავშირებით - გამოაცხადეს, რომ მან მოიპოვა ლიცენზია, მაგრამ მერე გაირკვა, რომ თურმე საამისოდ გუნდი უნდა მოხვედრილიყო სამეულში. ეს არც ფედერაციას აუხსნეს ნორმალურად. არადა, მათაც მკაცრად მოვთხოვე პასუხი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გაუგებრობით ერთი ოქროს მედალი დავკარგეთ - ტალახაძემ წლეულს ევროპის პირველობა მოიგო და იქაც გახდებოდა ჩემპიონი. ეს ისტორიისთვის იქნებოდა კარგი, რადგან პირველი თამაშები იყო.

სინგაპურში ჩემი ძალიან ბევრი კოლეგაც კი არ ჩამოვიდა. არადა, ჩემი წასვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მათთან შეხვედრები იყო „თბილისი-2015" კამპანიის ფარგლებში. ბევრი არც ლიცენზირებულთაგან ჩასულა, ანუ ჩათვალეს, რომ მეორეხარისხოვანი შეჯიბრება იყო. ვიმეორებ, თამაშები ჩინებულად იყო ორგანიზებული, მაგრამ სპორტული თვალსაზრისით პაროდიას ჰგავდა.

ჩვენების ერთი ბრინჯაოს მედალით კმაყოფილი ნამდვილად ვერ ვიქნები, მაგრამ, რომ გითხრათ, დიდ მოთხოვნებს ვუყენებდით, როგორც ეს სხვა შეჯიბრებებზეა, არც ასე ყოფილა. განწყობაც არ იყო ასეთი, იქ უფრო გართობას და მხიარულებას აყენებდნენ წინა პლანზე.

**- უცხოელების აზრიც ასეთი პესიმისტური იყო?**

- ვინც ჩავიდა, ისინიც მეორე-მესამე დღეს წავიდნენ, თამაშებმა არ გამოიწვია დიდი ინტერესი. მთავარი მიზანი სინგაპურის სარეკლამო კამპანია იყო. შთამბეჭდავი გახსნის ცერემონიალი დაახლოებით 20 მილიონი დოლარი დაჯდა..

ცხადია, თავად ჟაკ როგე თამაშებით კმაყოფილი იყო, რადგან ეს მისი იდეაა. ვერაფერს გეტყვით თამაშების შემდგომ ბედზე. მომდევნოს პეკინმა უნდა უმასპინძლოს.

**- ჟაკ როგეს სოკ-ის პრეზიდენტობის ვადა გაუდის. ალბათ, კანდიდატები უკვე გამოჩნდებოდნენ...**



გია ნაცვლიშვილი

- კანდიდატი ბევრია და კიდევ გამოჩნდებიან, მაგრამ სადღეისოდ ყველაზე გამოკვეთილები გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თომას ბახი, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი და სოკ-ში მოღვაწე ერთი ამერიკელი ქალბატონია. როგორც ამბობენ, როგეს სწორედ ამ ამერიკელის დატოვება სურს, მაგრამ მას ნაკლები შანსი აქვს..

**- „თბილისი-2015"-ის თვალსაზრისით, რამდენად წარმატებული იყო სინგაპურში თქვენი ვიზიტი?**

- ძირითადი დრო მართლაც ამ თემას დავუთმე და რამდენიმე ქვეყანა თანადგომას დაგვპირდა. გადმოვიბირეთ გერმანია, საფრანგეთი, დანია, რომელიც ჩვენთვის პრობლემური იყო... შვედებმა გვითხრეს, ჩეხებსაც დაველაპარაკებით და მერე გადავწყვეტთო. ევროპული ქვეყნები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ - ძალიან კარგი, კარგი და ისე რა კარგი. პირველ ჯგუფში შედიან ქვეყნები, რომელთა სრული მხარდაჭერის იმედიც მაქვს და ასეთი 12-ია. მეორეში არიან ისეთები, სადაც მხარდაჭერის 95%-იანი იმედი მაქვს და აქ 9 ქვეყანაა, მესამეში კი ისინი არიან, რომლებთანაც ჯერ კიდევაა სამუშაო. თუმცა აქაც ბევრია ისეთი, რომელთა მხარდაჭერის იმედიც უნდა გვქონდეს. მაგალითად, თურქეთთან ისედაც ხშირი კონტაქტი გვაქვს. აქამდე ამავე ჯგუფში იყო საფრანგეთიც, აქვეა უნგრეთიც, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს... ამგვარი ლოგიკით, 30-მდე ქვეყანას მოვიაზრებთ მხარდამჭერად.

**- როცა არც ბაზები გვაქვს თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი და ევროპისთვის პერიფერიაც ვართ, რა შეიძლება გამოვიყენოთ კოზირად?**

- ჩვენს სასარგებლოდ რამდენიმე ფაქტორია. თუნდაც თქვენ მიერ ნახსენები პერიფერია, სადაც ჯერ მსგავსი ღონისძიება არ ჩატარებულა. როცა შენ წვალობ იმისთვის, რომ მსგავსი დიდი მასშტაბის ღონისძიებები აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და ასეთ კონტინენტებზე ჩაატარო, ამ დროს კი ევროპაში გაქვს რეგიონი, სადაც არასოდეს არაფერი ჩაგიტარებია, ცოტა ვერაა ლამაზი. ჩვენი კონკურენტის - ჩეხური ბრნოს პრობლემა ისაა, რომ ჩეხეთშივე, ოღონდ ლიბერეცში, გაისად ზამთრის ანალოგიური თამაშები ტარდება და ოთხ წელიწადში ორჯერ ასეთ შეჯიბრებას არავინ მოგცემს. თანაც ბრნოს კამპანიას სათავეში უდგას ქალაქის მერია, ჩვენ კი ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერის გარანტიები წარვადგინეთ. ანუ ჩვენთან პასუხისმგებლობას უმაღლესი ხელისუფლება იღებს. ამასთან, თბილისი დედაქალაქია და ესეც მისი პლუსია. ბრნოში მთელი თვე ვცხოვრობდი, მართლაც ლამაზია, მაგრამ ერთი დღის ქალაქია - ერთი პატარა ცენტრისა და რამდენიმე რესტორნის გარდა არაფერია. ამ თამაშებზე 5000 მარტო ოფიცილიური მონაწილეა, მათ ქომაგები და ახლობლები მოჰყვებიან, ამდენ ხალხს კი გართობა და დასვენება უნდა. ბრნოში ამის საშუალება არაა, რადგან ირგვლივ არაფერია - საამისოდ პრაღაში უნდა წახვიდე ორი საათის სავალზე. ჩვენთან თბილისშიც გაცილებით ბევრი საშუალებაა და მცხეთაც აქვეა, ერთი საათის სავალზე სიღნაღია, თბილისში ღამის კლუბებია და ათასი გასართობი. თან ჩვენთან რესტორანიც ბევრად იაფია, სასტუმროც და ყველაფერი.

ჩვენს ხელში კიდევ ერთი პლუსია - ევროპას ბრნო ნანახი აქვს, ჩვენ კი ახალს შევთავაზებთ, აღმოსავლური და დასავლური კულტურის ნაზავს... ბრნოსთან შედარებით თბილისს ის უპირატესობებიც აქვს, რაც, ჩვეულებრივ, დედაქალაქს გააჩნია სხვა ქალაქებთან შედარებით. მაგალითად, მეტროპოლიტენი, გაცილებით დიდი აეროპორტი... ბრნოში მეტრო საერთოდ არაა, აეროპორტი კი იმდენად პატარაა, მხოლოდ მცირე მოცულობის თვითმფრინავებს იღებს. ჩვენი ერთ-ერთი მინუსი ის იყო, რომ შორს ვართ, მაგრამ მერიამ გადაწყვიტა, თამაშების მონაწილეებს უფასოდ აცხოვრებს, რითაც მგზავრობის სიძვირე კომპენსირდება. მეორე პრობლემა ის იყო, შევძლებდით თუ არა ამდენი რეისის მიღებას აეროპორტში. „აირ-ზენამ" საერთაშორისო ორგანიზაცია იკაო-ში უკვე შეათანხმა ეს საკითხი და „თურქიში" და „ლუფტ-ჰანზა" დამატებით რეისებს შეასრულებენ. თან 10-15-პროცენტიან ფასდაკლებას სთავაზობს. მესამე პრობლემად ოლიმპიური სოფლის არარსებობა რჩებოდა, მაგრამ ეს ჩვენთვის უპირატესობაცაა - ბრნოს რაც აქვს ახლა, ის 2015-ში მოძველებული იქნება, ჩვენ კი ბევრად თანამედროვე სტილისას ავაშენებთ. ამ სოფელს ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი აშენებს, რომელიც 15-ათასიანი საუნივერსიტეტო ქალაქის აგებას აპირებს, მაგრამ ჯერ სოფლად გამოვიყენებთ. თუმცა მერიამაც მისცა გარანტიები. ამდენად, ყველა პრობლემა მოვხსენით და გავაბათილეთ. ბრნომ აქამდე ორჯერ წააგო ანალოგიური არჩევნები, მათ შორის - წინაც და იქნებ მესამედ წასაგებად ვერც გაიმეტონ - მაინც ადამიანური მომენტია... ჩვენს უპირატესობაზე კი ზემოთ უკვე გითხარით.

**ირაკლი თავაძე**

ვაჟა დანელიას ფოტო

ჭადრაკი



მაია ჩიბურდანიძე

ინტერვიუ მაია ჩიბურდანიძესთან

# ჩიბურდანიძე რუსულ ხანტი-მანსიისკში არ ითამაშებს

**ბრძენთა თამაშის ქომაგებმა უწყიან, რომ რუსეთის ქალაქი ხანტი-მანსიისკი 19 სექტემბრიდან მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში მედლებისთვის ქართველი დიდოსტატებიც იბრძოლებენ, ოღონდ მათ შორის არ იქნება ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ათგზის გამარჯვებული და ხუთგზის პრიზიორი, ევროპის გუნდური ჩემპიონატის ოქროსმედალოსანი, ჭადრაკის „ოსკარის" ოთხგზის მფლობელი, საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი მაია ჩიბურდანიძე, რაც საბოლოოდ გუშინ გახდა ცნობილი.**

— ოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს ჯერ საბჭოთა კავშირის, მერე საქართველოს ნაკრებ გუნდებში პირველ დაფაზე ვითამაშე, ლიდერის ჭაპანი ვზიდე, რაც იოლი არ ყოფილა, — მითხრა მაია ჩიბურდანიძემ. — ამ ხნის განმავლობაში, ვინ მოთვლის, რამდენ მნიშვნელოვან ტურნირში მიმილია მონაწილეობა. ეს იყო უდიდესი პასუხისმგებლობა და ურთულესი გზა, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია. თითოეულს უდიდესი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა ახლდა და უზარმაზარი ენერგია მიჰქონდა. ამას ახლა უფრო ნათლად ვგრძნობ. ამიტომ გადავწყვიტე, ოლიმპიურ ნაკრებში აღარ ვითამაშო. საჭადრაკო თვალსაზრისით, მართალია, ჯერ კიდევ შემწევს ძალა, მეტოქეებს გავუმკლავდე, მაგრამ უმჯობესია, ხანტი-მანსიისკში ახალგაზრდული შემადგენლობა წავიდეს. ესეც არ იყოს, მუდმივად ხომ ვერ ვიქნები გუნდში!

**— ერთხელ ნანა ძაგნიძემ მითხრა, მაია ჩიბურდანიძე როცა ჩვენს გვერდითაა, ძალების მოზღვავებას ვგრძნობთ და არაფრის გვეშინიაო...**

— შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ დადგა დრო, თვითონ ნანამ იტვირთოს ლიდერის ფუნქციები და თანაგუნდელებმა ახლა მის გვერდით იგრძნონ თავი ყოჩაღად და უშიშრად.

**— მაშ, გადაწყვეტილებას არ შეცვლით?**

— ხანტი-მანსიისკში საჭადრაკო ოლიმპიადაზე ნამდვილად ვერ გავემგზავრები. უმჯობესია, ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება ახალგაზრდებმა იტვირთონ. რაც შემეხება მე, ჭადრაკისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ. სათანადოდ მოვემზადები და ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გამოვალ, ფიდეს გრან-პრის ბოლო ეტაპში ვითამაშებ...

**— მონღოლურ ბატალიებზე რას იტყვით?**

— ულანბატორში უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. თავად განსაჯეთ — საპრიზო ადგილებისთვის ოთხი მსოფლიოს ჩემპიონი და რეიტინგით ქალებში მეორე-მესამე ადგილებზე მყოფი ჰამფი კონერუ და ჰოუ იფანი იბრძოდნენ. თერთმეტი შეხვედრიდან ოთხი მოვიგე და ამდენივე ყაიმით დავამთავრე, ხოლო იმ სამი პარტიიდან ორი არ უნდა წამეგო, მით უმეტეს - ჩინელ ჟაო სიუსთან. ორი ზედმეტი პაიკი მქონდა, გარანტირებული ყაიმით, მაგრამ ერთგან უხეში შეცდომა დავუშვი და დავმარცხდი. უკმაყოფილო მაინც არ ვარ, რადგან ჯერმუკთან შედარებით უკეთ ვითამაშე.

**— ახლა ჩილესთვის მოემზადებით?**

— მანამდე ჯერ ევროპის საკლუბო ჩემპიონატი იქნება, ზოგი სხვა შეჯიბრებაც. გრან-პრის ბოლო ეტაპს, ალბათ, გაისისთვის გადადებენ.

**— ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ალექსანდრა კოსტენიუკს ჩემპიონობის ხანას უხანგრძლივებენ?**

— რა ვიცი, ყველაფერი შეიძლება. რუსეთის ჭადრაკის ფედერაცია ფიდესთან ერთად თავს არ ზოგავს, ტიტული როგორმე შეინარჩუნონ. ამიტომაც კოსტენიუკს ჩემპიონობის ხელახალი ვადით მოსაპოვებლად ხელსაყრელ სისტემას შეუქმნიან.

**— როგორ ფიქრობთ, ქალთა შორის ფიდეს გრან-პრის პირველ გათამაშებაში გამარჯვების მეტი შანსი ვის აქვს?**

— ფავორიტთა რიგებს, მგონი, მხოლოდ ნანა ძაგნიძე, ჰოუ იფანი და ჰამფი კონერუ შემორჩნენ. ქართველ დიდოსტატს მთავარი პრიზის მოსაპოვებლად ჩილეში მეორე ადგილიც ჰყოფნის. იმედია, ნანა ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

**— და არ არის გამორიცხული, ქუთაისს ჭადრაკში ორი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავდეს.**

— ღმერთმა გისმინოთ. ამაზე უკეთესი რა უნდა ვინატროთ. რაც მეტი მსოფლიოს ჩემპიონი გვეყოლება, მით უფრო მდიდრები ვიქნებით.

**— მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში შინ დარჩენილი მაია ჩიბურდანიძე რას გააკეთებს?**

— მთელი გულით ქართველ მოჭადრაკეებთან იქნება და შორიდან უქომაგებს მათ. იმედია, ჩვენი გოგონები ტიტულს შეინარჩუნებენ და გულშემატკივრებს გაახარებენ. ქალებს, ალბათ, არც ვაჟები დარჩებიან ვალში.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# პირველობის შანსი შეინარჩუნა

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, ეროვნული ნაკრების წევრი დიდოსტატი **მერაბ გაგუნაშვილი** წარმატებით ასპარეზობს ფილიპინებზე **ფლორენსიო კამპომანესის** საერთაშორისო მემორიალში. გუშინ მან შავი ფიგურებით მასპინძელი **ემანუელ სენადორი** დაამარცხა და 6 ქულით ლიდერებს მიუახლოვდა, თან პირველობის შანსიც შეინარჩუნა. გათამაშების ცხრილს 6,5-6,5 ქულით ჩინელები — **იუნ ჟაო** და **ძიან ჩაო ჟოუ** ჩაუდგნენ სათავეში. ჟაო ვიეტნამელ **ლიემ ქუანგ ლის** შეუთანხმდა ყაიმზე, ჟოუმ კი ფილიპინელი **დარვინ ლაილო** დაამარცხა. წარმატებას მიაღწია უზბეკმა **ანტონ ფილიპოვმა** — **ეუგენიო ტორეს** (ფილიპინები) ძლევით მან 6 ქულას მოუყარა თავი და გაგუნაშვილთან და ლისთან ერთად მესამე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს.

მემორიალში კიდევ ერთი ქართველი დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი** მონაწილეობს. მე-8 ტურში მან **ოლივერ დიმაკილინგი** დაამარცხა და 5 ქულა მოაგროვა.

მთავარი პრიზის ბედს დღეს ბოლო ტურის შემდეგი ორთაბრძოლების შედეგები გადაწყვეტს: ძიანჩაო ჟოუ (6,5)-ლიემ ქუანგ ლი (6), ანტონ ფილიპოვი (6)-იუნ ჟაო (6,5), მერაბ გაგუნაშვილი (6)-**ეჰშან ჩაემი** (5,5), **მურთაზ კაჟგალიევი** (5,5)-**უესლი სოუ** (5,5), **ლირენ დინი** (5,5)-ჟონ ჟანი (5,5), **დარვინ ლაილო** (5,5)-**ნი ჰუა** (5).

თამაზ გელაშვილი ინდოელ **ჩანდა სანდიპანს** შეხვდება.

ქალებში 8 ტურის შემდეგ 6,5 ქულით ჩინელი **შენ იანი** მეწინავეობს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით **ათუშა პურკაშიანი** (ირანი) და **ჟაო სიუ** ჩამორჩებიან.

**ვაჟა დანელია**

საჭადრაკო თემის გაგრძელება იხილეთ მე-12 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### კალათბურთი

*ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან*

# პოლონეთთან გამარჯვებამ ბევრი რამ შეცვალა

**მანუჩარ მარკოიშვილს აგვისტომდე ნაკრებში 11 მატჩი ჰქონდა ჩატარებული და საშუალოდ 11.8 ქულას აგროვებდა. ეროვნული გუნდის მე-11 ნომერმა ახლახან დასრულებულ ევროშესარჩევის 8 მატჩში საშუალოდ 11.3 ქულა ჩააგდო... ეს ისე, ცნობისთვის, ქვემოთ კი მანუჩარს საქართველოს ნაკრების გამოსვლაზე ვესაუბრებით. მანამდე ერთი კითხვა საკლუბო თემას დავუთმოთ.**

**- იტალიაში როდის მიდიხარ?**

- „კანტუს" ზეგ შევუერთდები. ნაკრების თამაშების შემდეგ ხუთდღიანი დასვენება გამომივა, მერე „კანტუსთან" ერთად განვაგრძობ მზადებას. გუნდი 24 აგვისტოს შეიკრიბა და აქამდე იმ კალათბურთელების გარეშე ვარჯიშობდა, რომლებიც სანაკრებო მატჩებს ვატარებდით.

**- იანვარში, წილისყრისას თქვი, პირველივე სეზონში ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება ხმაურიანი მოვლენა იქნება, რადგან აქამდე B დივიზიონში ვთამაშობდით და ევროპელები არ გვიცნობენო. მეორე ადგილიც სერიოზული შედეგია...**

- რამდენად ხმაურიანად შევაბიჯეთ A დივიზიონში, ეს ევროპელების განსასაზღვრია. ფაქტია, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ, არ დავნებებულვართ და, სამწუხაროდ, ევრობასკეტამდე ცოტა დაგვაკლდა.



**- გუნდის გამოსვლით რამდენად კმაყოფილი ხარ?**

- კმაყოფილი მაშინ ვიქნებოდი, საგზური რომ მოგვეპოვებინა. თუმცა არც უკმაყოფილების საბაბი გვაქვს: მეორე ადგილი დავიკავეთ. ეს კარგი შედეგია. ჩამოვიტოვეთ ჯგუფის ფავორიტები ბულგარეთი და პოლონეთი... ხალხს დავანახეთ, რომ გვაქვს პოტენციალი და 2011 წელს გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის გაისად ვიბრძოლებთ.

**- 10 გუნდი ერთი საგზურისთვის ითამაშებს...**

- საგზურის მოპოვება ძნელი იქნება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი ლიცენზიისთვის სხვა გუნდებს შორის იტალიაც ითამაშებს, რომელიც 2009 წლის ევრობასკეტზეც ვერ მოხვდა.

**- თუმცა საქართველოს ნაკრებმა საზოგადოებას დაანახა, რომ ძლიერი გუნდების ჩამოტოვებაც შეუძლია. თან, თუ 10 ნაკრები სამ ჯგუფად დაიყო, ჩვენს ჯგუფში A დივიზიონის ერთი აუტსაიდერი მოხვდება...**

- საქართველოს ნაკრები გარკვეულ სიმაღლეზე ავიდა, ვიცით, რა შეგვიძლია, მაგრამ ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული. არავინ იცის, მომავალ ზაფხულს იმავე აუტსაიდერებს - ფინეთსა და ლატვიას რა დონის გუნდები ეყოლებათ. მათ აუტსაიდერებად ნამდვილად არ მივიჩნევ. ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს ნაკრები დროულად შეიკრიბოს და ყველა ჯანმრთელად იყოს...

**- გამოცდილება კლუბებში თამაშითაც საკმარისად გაქვთ, თუმცა ამ აგვისტომაც, ალბათ, ბევრი მოგცათ...**

- შეიძლება, გამოცდილება არ გაკლდეს, მაგრამ ყოველი მატჩიდან მაინც ბევრს სწავლობ. საქართველოს ნაკრებმა წლეულს 8 მატჩი ჩაატარა, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი გამოცდილება შევიძინეთ.

**- სხვა გუნდებთან შედარებით, რა შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ნაკრების პლუსად, რამაც ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება განაპირობა?**

- კონკრეტულად ძნელი სათქმელია. არ ვიცი, სხვა გუნდებში ამ მხრივ რა სიტუაცია იყო, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობთ. 6 წლის განმავლობაში ერთი შემადგენლობით ვთამაშობთ.

**- რვიდან ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდა?**

- პოლონეთის ნაკრებთან ყველამ კარგად ვითამაშეთ. ასეთი დონის გუნდის 19-ქულიანი სხვაობით დამარცხება სერიოზული განაცხადი იყო. პირველმა გამარჯვებამ ხალხის განწყობაზეც დადებითად იმოქმედა. ზოგს არც სჯეროდა ჩვენი... თუმცა პოლონეთთან თამაშის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და უკვე ევრობასკეტზე ალაპარაკდნენ.

**- ასევე მნიშვნელოვანი იყო ბულგარეთთან სტუმრად მოგება...**

- ნამდვილად ასე იყო. კალათბურთელები ყოველი მატჩის მოსაგებად ვიბრძვით, მნიშვნელობა არ აქვს, შინ ვთამაშობთ თუ სტუმრად. ბულგარეთის მისსავე მოედანზე დამარცხებამ ხალხს რწმენა შემატა.

**- ისიც დავინახეთ, რომ გულშემატკივრობით ვერც ბულგარელები გვჯობიან და ვერც პოლონელები...**

- ბულგარეთის არენა 2 ათას კაცს იტევს. დარბაზი ბოლომდე შეივსო, თუმცა ქომაგებს თამაშში ბოლომდე ჩართვა ჩვენ არ დავაცადეთ - შეხვედრა თავიდან ბოლომდე სტაბილურად ჩავატარეთ. პოლონეთში კი 10 ათასამდე ქომაგი მოვიდა, თუმცა იქ ტრიბუნები მოედნიდან საკმაოდ მოშორებული იყო და ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ პოლონელმა ქომაგებმა ჩვენზე რაიმე გავლენა მოახდინეს. ქართული ქომაგობა სულ სხვაა.

**- იყო ცუდად გასახსენებელი მატჩიც. ჩემი აზრით, ბელგიასთან თბილისური შეხვედრის შედეგზე დიდი გავლენა დაღლამ იქონია...**

- ამ მატჩზე ბევრი გვეკითხება. ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ ნამდვილად არ ვფიქრობდით, რომელი გუნდი უფრო დასვენებული იყო. არ მიგვიქცევია ყურადღება, რომ წინა ტურში ბელგიამ დაისვენა. მოედანზე საბრძოლველად გავედით, პირველი ტაიმის მეტ-ნაკლებად თანაბრად ჩატარების შემდეგ დაღლა დაგვეტყო. ენერგია აღარ გვყოფნიდა... პოლონეთთან მატჩამდე ბულგარეთში რთული ბრძოლა ჩავატარეთ, მანამდე თბილისში პორტუგალიას ვუმასპინძლეთ და ყველას ემახსოვრება, პირენეელებმა რა ომი გაგვიმართეს. ამ სამ შეხვედრას შორის ბევრმა მგზავრობამ მოგვიწია.

**- როგორ ფიქრობ, ჩვენი ჯგუფიდან საუკეთესო გავიდა?**

- ბელგიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა დაიმსახურა. იგი წინა შესარჩევზეც კარგად გამოიყურებოდა, ჯგუფშიც წარმატებით ითამაშა, თუმცა პლეი ოფში გზა საფრანგეთმა გადაუღობა. წლეულს ბელგიელებს მარკუს ფეისონი დაემატათ, რომელმაც გუნდი საგრძნობლად გააძლიერა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



**თორნიკე შენგელია საქართველოს ნაკრებში 2008 წელს გამოჩნდა, თუმცა 2010 წლამდე მხოლოდ ორი მატჩი ჰქონდა ჩატარებული. ასეთი სტატისტიკიდან გამომდინარე, ცოტა მოულოდნელი იყო მისი პოლონეთთან მატჩის სასტარტო ხუთეულში გამოჩენა. თუმცა ლოგიკურიც იყო - 18 წლის ახალგაზრდა ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც უმაღლეს დონეზე სათამაშოდ მზად გახლდათ. იგი „ვალენსიაში" პირველ გუნდთან ვარჯიშობდა, იშვიათად კი თამაშობდა, თუმცა რამდენჯერაც „ვალენსიას"' მაისურით მოედანზე გამოჩნდა, გუნდს საკმარისად დაეხმარა.**

**შარშან ვალენსიელებმა ევროთასი მოიგეს და ევროლიგის საგზურიც მოიპოვეს. ამიტომ ახალმა მწვრთნელმა აქცენტი გამოცდილ შემადგენლობაზე გადაიტანა და თორნიკემაც გადაწყვიტა, კარიერაში მორიგი ნაბიჯი გადაედგა. მან „ვალენსია" დატოვა და ისეთ კლუბში გადავიდა, სადაც საკმარისი სათამაშო დრო ექნება.**

*ინტერვიუ თორნიკე შენგელიასთან*

# ბელგიაში, სათამაშო პრაქტიკისთვის

- თორნიკემ კონტრაქტი ბელგიურ „შარლერუასთან" გააფორმა, თუმცა იჯარის წესით „პეპინსტერში" ითამაშებს. ესეც უმაღლესი ლიგის წარმომადგენელია და წინასწარ დაგვპირდნენ, რომ თორნიკე მოედანზე 20-25 წუთს აუცილებლად გაატარებს. მის ასაკში სათამაშო პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. თანაც ბელგიის ჩემპიონატში. ბელგიელებს საქართველოს ნაკრებთან მატჩამდე ფავორიტად არავინ მიიჩნევდა, თუმცა საბოლოო შედეგმა დაგვანახა, რომ ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო, - აღნიშნა თორნიკეს მამამ, ვეტერანმა კალათბურთელმა **კახა შენგელიამ**.

ახლა თავად თორნიკეს მოვუსმინოთ, რომელიც ახალ კლუბზე მოგვითხრობს:

- ტრანსფერით კმაყოფილი ვარ. შარშან „ვალენსიას" შემადგენლობაში ძირითადად ება-ს ლიგაზე მიწევდა თამაში, ახლა ბელგიის ჩემპიონატში ვიასპარეზებ. მართალია, კონტრაქტი „შარლერუასთან" გავაფორმე, მაგრამ პირველ წელს „პეპინსტერში" გავატარებ. თავს როგორ წარმოვაჩენ, ეს უკვე ჩემზე იქნება დამოკიდებული.

**- „პეპინსტერს" ბელგიის პირველობაზე რა მიზნები ექნება?**

- წინასწარ ძნელი სათქმელია. შემადგენლობით ჩემი ახალი გუნდი თუნდაც „შარლერუას" ვერ შეედრება, მაგრამ არც აუტსაიდერი უნდა იყოს. ამის თქმის საფუძველს სატრანსფერო ამბები მაძლევს - გუნდში 8 ლეგიონერია, რომელთა უმეტესობა ამერიკის კოლეჯების ლიგიდანაა.

**- საქართველოს ნაკრებში 2008-09 წლებშიც გითამაშია, მაგრამ წლეულს გუნდის სასტარტო ხუთეულის წევრი გახდი...**

- ჩვენს ნაკრებში მაღალი დონის კალათბურთელები თამაშობენ. მათ გვერდით გამოსვლა ჩემთვის ძალიან სასარგებლო იყო. დიდი გამოცდილება შევიძინე, რაც სამომავლოდ აუცილებლად უნდა წამადგეს.

**- შენ მიერ ჩატარებული მატჩებიდან რომელს გამოარჩევ?**

- ყველა შეხვედრას თავისი ხიბლი ჰქონდა, ყველა გამორჩეული იყო ბელგიასთან დაპირისპირებების გამოკლებით. ის მატჩები, ალბათ, არავის ახსენდება დადებითად, გარდა თვით ბელგიელებისა. იმედი მაქვს, ამ სეზონში კლუბში საკმარისი სათამაშო დრო მექნება, მეტ გამოცდილებას მივიღებ და მომავალ წელს ნაკრებს მეტად გამოვადგები.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### მშვილდოსნობა

# შანხაიც ნაადრევად დავასრულეთ

შანხაიში მიმდინარე მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე ქართველი მშვილდოსნებისთვის გადაულახავი ისევ პლეი ოფის საწყისი რაუნდები გახდა - პირველი წრე მხოლოდ **ქრისტინე ესებუამ** გაიარა, მაგრამ მეორეში ისიც დამარცხდა. ესებუამ ერთ დროს თანაგუნდელი, უკრაინელი მსოფლიოს პრიზიორი (მოგეხსენებათ, აფხაზეთიდან დევნილი ესებუა ერთხანს უკრაინაში ცხოვრობდა და იქაურ ახალგაზრდულ ნაკრებში გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა) **კატერინა პალეკა** 4:2 დაამარცხა, მისი მომდევნო მეტოქე კი, როგორც გუშინ ვივარაუდეთ, ბრიტანელი **ნაომი ფოლკარდი** აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ესებუამ მასთან ვერაფერი გააწყო და 0:4 წააგო. **ხათუნა ნარიმანიძემ** მეორე სეტში კი აჯობა ჩინელ **იუნლუ ჭანგს**, მაგრამ საბოლოოდ 2:4 დამარცხდა. ალბათ, ჩვენებურთაგან გუშინდელი წაგება ყველაზე მეტად **ასმათ დიასამიძეს** არ გაემტყუნება - ფრანგ ევროპის ჩემპიონ **ბერენჟერე შუსთან** 0:4 დათმო.

მეოთხედფინალში გავიდა აშშ-ის სახელით მოასპარეზე ჩვენი ოლიმპიური პრიზიორი **ხათუნა ლორიგი (ქვრივიშვილი)**, მაგრამ მეტი ვერაფერი გააწყო - მომავალ ფინალისტთან, ინდოელ **დეეპიკა კუმართან** ძალზე დაძაბულ, ლამის მარათონულ ბრძოლაში დამატებით სერიაში დამარცხდა - 5:6. მეორე ფინალისტი კორეელი **ბო ბაე კია**, ჩინელებმა კი, გადახალისებული გუნდის მიუხედავად, სრული ფიასკო განიცადეს - მათი ვერც ერთი წარმომადგენელი მეოთხედფინალშიც კი ვერ გავიდა. მათგან ყველაზე შორს ისევ ნარიმანიძის მომგებმა ჭანგმა გააღწია - მერვედფინალამდე. ჩინელთა გულის გასახეთქად, კორეელებს მეოთხედფინალში სამი მსროლელი ჰყავდათ, მაგრამ ამ ეტაპიდან ერთმანეთში მოუწიათ ბრძოლამ და კიმ ორივე გამოაგდო. ფინალური შეხვედრა 4 სექტემბერს გაიმართება. იმავე დღეს ბრინჯაოსთვის კორეელი ოლიმპიური პრიზიორი **ოკ-ჰე იუნი** და ტაივანელი **ჰუი ჯუ ვუ** იბრძოლებენ, ჩვენები კი დღეს საასპარეზოდ გუნდურ პირველობაში გავლენ. პლეი ოფში მათი პირველი მეტოქე აშშ-ის ნაკრებია, ამათში მოგებული კი რუსეთსა და ბრიტანეთს შორის უძლიერესს შეხვდება.

**ირაკლი თავაძე**

### ჭადრაკი

# პაიკიძეს დედოფლამდე ნაბიჯიღა დარჩა

რუსეთის მოჭადრაკე ქალთა მე-60 ეროვნულ ჩემპიონატში გუშინ მე-8 ტურის პარტიები გათამაშდა. კვლავ გაგვახარა ქართველმა დიდოსტატმა **ნაზი პაიკიძემ,** რომელმაც შავი ფიგურებით **ელენა ზაიაცი** დაამარცხა და 6,5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა, რადგან 5,5-ქულიანი **სვეტლანა მატვეევა ტატიანა შადრინას** დანებდა. დაზავდნენ **ვერა ნებოლსინა** და **მარინა რომანკო.** 6 ქულით მეორე ადგილზეა შადრინა, რომელიც ბოლო ტურში შავებით პაიკიძეს ეთამაშება. 5,5-5,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს რომანკო, მატვეევა და **ოლგა გირია** იყოფენ. რუსეთის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ჩვენებურს ნახევარი ქულაც ჰყოფნის.

**ვაჟა დანელია**

# დაფაზე ოქრო, გუნდურში ვერცხლი

ნოვისადში გუშინ დამთავრდა სერბეთის მოჭადრაკე ქალთა გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც 12 კლუბი წრიული სისტემით ხვდებოდა ერთმანეთს. როგორც გაუწყეთ, ქართველი დიდოსტატი, საქართველოს ნაკრების წევრი **ნანა ძაგნიძე** „იელიცა გორაჩიჩის" ღირსებას იცავდა. რიონისპირელმა მოჭადრაკემ თერთმეტიდან მხოლოდ ორი შეხვედრა დაამთავრა ყაიმით - **ვერონიკა-მიხაელა ფოიშორთან** და **ნატაშა ბოიკოვიჩთან,** დანარჩენი ორთაბრძოლები მოიგო და პირველ დაფაზე 10 ქულით ოქროს მედალი დაიმსახურა (8 ქულით მეორე ადგილზე ბოიკოვიჩი გავიდა). აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენებურზე მეტი ქულა (11) „ბას ბელგრადის" მესამე დაფაზე მოთამაშე უკრაინელმა **ტატიანა ვასილიევიჩმა** მოაგროვა.

ნანა ძაგნიძის წარმატება ორმაგად გვახარებს, რადგან ორიოდე კვირაში იგი ხანტი-მანსიისკის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაემგზავრება და, როგორც ჩვენი ნაკრების ლიდერი, თანაგუნდელებთან ერთად ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლებს.

ახლა კი სერბეთის გუნდური პირველობის შედეგების შესახებ: ბოლო ტურში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა „ბას ბელგრადმა" „შახმატნი კრუჟოკს" 3,5:0,5 სძლია და 30 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ორი ქულით ჩამორჩა „ზლატარ ნოვა ვაროს" მძლეველი (3,5:0,5) „იელიცა გორაჩიჩი", რომელსაც ვერცხლი ხვდა. 25-25 ქულა მოაგროვეს „იუგოვიჩ-კორიმ" და ბელგრადის „პოლიტიკამ", მაგრამ „იუგოვიჩის" წევრებს საერთო მონაგარში ქულით მეტი აღმოაჩნდათ და ბრინჯაოც მათ ერგოთ.



ნანა ძაგნიძე

ლეგიონერები

# მონპელიე-საფრანგეთის წლევანდელი საოცრება



მამუკა გორგოძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა. ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო და სატურნირო ცხრილს „სტად ფრანსესა“ და „ბაიონთან“ ერთად ლიდერობს ყველაზე ქართული ფრანგული კლუბი, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“.

ჩვენებურთა გუნდის სასტარტო წარმატება მიმდინარე ჩემპიონატის ყველაზე დიდი მოულოდნელობაა. ახალი მწვრთნელების, **ფაბიენ გალტიესა** და **ერიკ ბეშუს** მისვლის შემდეგ გუნდი სრულიად ახლებურად ათამაშდა. თავად განსაჯეთ: პირველ ტურში სტუმრად ბასკურ „ბიარიცთან“ წაგების შემდეგ მონპელიელებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ჩემპიონატის ფავორიტები: პარიზული „მეტრო რასინგი“, შარშანდელი ფინალისტი, კატალონიური „პერპინიანი“ და ფრანგული რაგბის გრანდი „ტულუზი“.

„მონპელიეს“ შინ ტულუზელებთან უმძიმესი ბრძოლა გადახდა, თუმცა მეტოქეს მინიმალური სხვაობით მაინც მოუგო - 22:21. ოცდაორივე ქულა მასპინძელთა 25 წლის გარემარბმა **მარტინ ბუსტოს მოიანომ** მოიპოვა (ერთი ლელო, ერთი გარდასახვა და ხუთი საჯარიმო). აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი მონპელიელებმა 9:16 წააგეს. მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში მოიანომ ორი საჯარიმო გაიტანა, რასაც შუალედში გარდასახული ლელოც დაურთო და თავისიანები 22:16 დააწინაურა.

ეს ანგარიში მატჩის ბოლომდე შენარჩუნდა. ბოლო წუთზე ტულუზელთა მგეზავმა **ნიკოლა ბეზიმ** შეძლო ლელოს გატანა, თუმცა გარდასახვა გაუცუდდა და გამარჯვება „მონპელიეს“ დარჩა.

გორგოძემ სრულად ითამაშა, ჟღენტი 41-ე წუთიდან გამოვიდა. შველიძე, ჩხაიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ. „მონპელიე“ მომდევნო შეხვედრას სტუმრად გამართავს და კიდევ ერთ გრანდს, საფრანგეთის ჩემპიონს **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს“ ეთამაშება.

„ვულკანებმა“ მე-4 ტურში სტუმრად წააგეს „მეტრო რასინგთან“ - 17:28. ვფიქრობთ, „კლერმონის“ ახალზელანდიელ მწვრთნელ **ვერნ კოტერისთვის** ეს საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს, რადგან „ზირაქას“ გუნდმა ოთხი თამაშიდან უკვე ორი წააგო, არადა შარშანდელ ჩემპიონატში სულ სამი წაგება ჰქონდა.

კლერმონელებმა მასპინძლებს მეტნაკლები წინააღმდეგობა საწყის ოც წუთში გაუწიეს. მერე კი პარიზელებმა ნელ-ნელა ზეწოლა გაზარდეს, რაც ანგარიშზეც აისახა. „მეტრო რასინგში“ ისევ გამოირჩა მგეზავი **ჯონათან ვიშნევსკი**, რომელმაც ექვსი საჯარიმო, ერთი გარდასახვა და ერთი არეკნი გაიტანა (23 ქულა).

ზირაქაშვილს ისევ ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და არ უთამაშია.

ზედიზედ ორი წაგების შემდეგ დივიზიონის დებიუტანტ „ლა როშელთან“ სტუმრად უმნიშვნელოვანესი და ძნელი გამარჯვება მოიპოვა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა“ - 15:13. ჩვენებურის გუნდს ისევ ინგლისელი მგეზავის, **ჯონი ვილკინსონის** ფეხჩუბინობამ უშველა. ვილკომ ორი საჯარიმო და სამი არეკნი გაიტანა (15 ქულა).

ტულონელებმა პირველი ტაიმი 12:0 მოიგეს. მატჩის 77-ე წუთისთვის კი 15:6-ს იგებდნენ. მასპინძელთა გარემარბმა **ნორმან ლიგაირიმ** ლელოს გატანა შეძლო, რომელიც შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ბენიამინ დამბიემ** გარდასახა - 13:15. დარჩენილ სამ წუთში მასპინძლებმა მეტი ველარაფერი მოახერხეს და გამარჯვება სტუმრებს დარჩათ.

ქუბრიაშვილი თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო. „ტულონი“ მომდევნო შეხვედრას სტუმრად გამართავს **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივთან“, რომელმაც ბასკურ „ბაიონთან“ სტუმრად წააგო მინიმალური სხვაობით - 18:19.

ბრიველებისთვის წლევანდელი სეზონი უჩვეულოდ წარუმატებლად დაიწყო. ოთხი შეხვედრიდან ჩვენებურთა გუნდმა მხოლოდ ერთის მოგება შეძლო. „ბაიონთან“ მატჩში ბრიველებმა ათ წუთში ორი ლელო გაიტანეს და 12:0 დაწინაურდნენ. ბასკები ამის შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდნენ და პირველი ტაიმი მხოლოდ ორი ქულით დათმეს - 13:15.

შესვენების შემდეგ თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა მასპინძლებმა „ბრივზე“ ერთით მეტი, ორი საჯარიმო გაიტანეს და დამსახურებულად მოიგეს - 19:18.

ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე კაკოვინმა შეცვალა, რომელიც მატჩის არბიტრმა 66-ე წუთზე გაასინბინა.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა“, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი აუტსაიდერია, სტუმრად წააგო უშუალო კონკურენტ „ბურგუენთან“ - 15:22. ბურგუენელებმა, რომლებსაც, სავარაუდოდ, დროებითი ჩავარდნა აქვთ, მეტოქეს თავიდანვე მოახვიეს თავს საკუთარი თამაში და წლევნადელ ჩემპიონატში პირველად მოიგეს.

შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს.

**აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“ სტუმრად წააგო გათამაშების ლიდერთან, პარიზულ „სტად ფრანსესთან“ - 34:40. მასპინძლებმა თამაში, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში მოიგეს - 37:17. მეორე ნახევარში კასტრელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, მაგრამ გვიანღა იყო.

პარიზელთაგან ორ-ორი ლელო იტალიელმა მესამეხაზელმა **სერჯო პარისემ** და ინგლისელმა გარემარბმა **ოლი ფილიპსმა** გაიტანეს, ერთიც საფრანგეთის ნაკრების შერკინების კვაჭის **დიმიტრი ზარჟევსკის** ანგარიშზეა.

გიორგაძეს და ფეიქრიშვილს არ უთამაშიათ.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**IV ტური: მონპელიე-ტულუზი 22:21, პერპინიანი-ბიარიცი 17:12, სტად ფრანსე-კასტრი 40:34, ბურგუენი-აჟენი 22:15, ბაიონი-ბრივი 19:18, ლა როშელი-ტულონი 13:15, მეტრო რასინგი-კლერმონი 28:17.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. სტად ფრანსე - 13 ქულა, 2. ბაიონი - 13, 3. მონპელიე - 13, 4. მეტრო რასინგი - 12, 5. ტულუზი - 11, 6. კლერმონი - 10, 7. კასტრი - 10, 8. ტულონი - 10, 9. ლა როშელი - 9, 10. პერპინიანი - 8, 11. ბიარიცი - 6, 12. ბრივი - 6, 13. აჟენი - 5, 14. ბურგუენი - 4.**

**V ტური: კლერმონი-მონპელიე, კასტრი-მეტრო რასინგი, ტულუზი-ლა როშელი, ბურგუენი-ბაიონი, აჟენი-პერპინიანი, ბრივი-ტულონი, ბიარიცი-სტად ფრანსე.**



ვასილ კაკოვინი

სამი ერი



რობი დინსი

# სამი ცვლილება ვოლაბებში

ავსტრალიის ნაკრები სამი ერის მორიგი მატჩისთვის დურბანში ემზადება. სამხრეთაფრიკელებთან შეხვედრა ბლუმფონტეინში გაიმართება. „ვოლაბების“ ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** ძირითად შემადგენლობაში ცვლილებები განახორციელა.

ავსტრალიის ნაკრებში სამი ახალი მორკინალი გამოჩნდება, შერკინების კვაჭი **სტივენ მური**, მეორეხაზელი **მარკ ჩისჰოლმი** და მესამეხაზელი **ბენ მაკკალმენი.** მათ, შესაბამისად, **საია ფაინგაა, დენ მამი** და **რიჩარდ ბრაუნი** შეცვალეს, რომლებმაც სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლეს.

სტივენ მური და გარემარბი **დრიუ მიტჩელი** სამხრეთ აფრიკასთან მატჩში 50-ე კეპს მოიხვეჭენ.

*„სამივე მორკინალი ჩვენს შერკინებას დიდ ენერგიას შემატებს. მათ კარგად ესმით., რა მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევთ, იმედი მაქვს, იმასაც კარგად აცნობიერებენ, მათგან რას მოვითხოვთ, რათა გუნდმა წარმატებას მიაღწიოს“* - თქვა რობი დინსმა.

ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხის ტერფი დაიშავა შუამარბმა **მეთ გიტომ.** ექიმების თავდაპირველი დიაგნოზით მას „ბოკეს“ წინააღმდეგ ვერ უნდა ეთამაშა, თუმცა მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საშიში არაფერია და „ვოლაბების“ დამრტყმელი აუცილებლად ითამაშებს.

„ვოლაბებს“ ყველაფერთან ერთად ტრავმებმაც დარია ხელი. შეგახსენებთ, რომ დაშავებულნი არიან და ნაკრებს ვერაფრით ეხმარებიან **ჯეიმზ ჰორვილი, ტატაფუ პოლოტა-ნაუ, დიგბი იოანი** და **ვიკლიფი პალუ.**

ავსტრალია: **15. ქართლი ბეილი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. მეთ გიტო, 11. დრიუ მიტჩელი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2.სტივენ მური, 3. სალესი მააფუ, 4. მარკ ჩისჰოლმი, 5. ნათან შარფი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოქი, 8. ბენ მაკკალმენი.**

***16. საია ფაინგაა, 17. ჯონ სლიპერი, 18. დენ მამი, 19. რიჩარდ ბრაუნი, 20. ლუკ ბარჯესი, 21. ბერიკ ბარნსი, 22. ენტონი ფაინგაა.***

# დე ფილიერსს სკანდალები არ ელევა

სამხრეთ აფრიკის ნაკრები შაბათს ბლუმფონტეინში სამი ერის წლევანდელ გათამაშებაში ბოლო მატჩს გამართავს. „ბოკეს“ თავკაცმა **პიტერ დე ფილიერსმა** გუნდის შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც მხოლოდ ერთი ცვლილებაა. მეორეხაზელ **ფილიპ ფან დერ მერვეს** ნაცვლად **დენი როსუ** ითამაშებს. მოსალოდნელი იყო, გარემარბ **ბრაიან ჰაბანას** ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **ხიო ეპლონს** ეთამაშა, თუმცა დე ფილიერსი მაინც გამოცდილ „მგელს“ უფრო ენდო.

„არ მინდა, მოგებული თამაშის შემდეგ ნაკრების შემადგენლობაში ბევრი ცვლილება შევიტანო. ჩვენ ნელსონ მანდელას სახელობის თასი გვაქვს მოსაგები და საამისოდ მთლიანად თამაშზე ვართ კონცენტრირებულნი. ძალიან ბევრს ვმუშაობთ და იმედი მაქვს, ეს გარჯა დაგვიფასდება“ - თქვა მან.

ამასობაში დე ფილიერსი კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია. ერთი კვირის წინ ავსტრალიასთან გამართული სამი ერის მატჩის შემდეგ, დე ფილიერსმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრები მხარს უჭერს „ბლუ ბულზის“ შერკინების ბურჯ **ბი რუს**, რომლიც პოლიციელის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

*„ჩვენ მომავალ წელს ძალიან ძნელი სეზონი გველის. ახალ ზელანდიაში მსოფლიო თასი უნდა შევინარჩუნოთ. ამისთვის საჭიროა, სამხრეთ აფრიკის ნაკრების მორაგბეების ფსიქოლოგიაზე მავნე გავლენას არაფერი ახდენდეს.*

*ბი რუს კარგად ვიცნობთ, ის მკვლელი არ არის და გვინდა, სიმართლე რაც შეიძლება მალე გაირკვეს.“* - თქვა „ბოკეს“ თავკაცმა.



პიტერ დე ფილიერსი

დე ფილიერსის ამ განცხადების კომენტირებისაგან თავი შეიკავა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ორეგონ ჰოსკინსმა.**

*„ამჟამად არაფრის თქმა შემიძლია. მინდა, მორაგბეებმა თავიდან ამოიგდონ ყველაფერი და მხოლოდ ავსტრალიასთან მატჩზე იფიქრონ“* - თქვა მან.

შეგახსენებთ, რომ ბი რუმ პოლიციელი ცემით მოკლა. როგორც თვითონ ამტკიცებს, მას გაძარცვას უპირებდნენ და თავს იცავდა. „ბლუ ბულზის“ შერკინების ბურჯი თავდებითაა განთავისუფლებული.

სამხრეთ აფრიკა: **15. ფრანსუა სტეინი, 14. ჯეი პი პიტერსენი, 13. ჟაკ ფური, 12. იან დე ფილიერსი, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. ფრანსუა ჰუგარი. 1. ხუთრო სტენკამპი, 2. ჯონ სმიტი, 3. იან დუ პლესი, 4. დენი როსუ, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6.სხალკ ბურხერი, 7. იან სმითი, 8. პიერ სპისი.**

16. ჩილიბოი რელეპელე, **17. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 18. ფილიპ ფან დერ მერვე, 19. რაიან კანკოვსკი, 20. რიკი იანუარი, 21. იან დე იონგი, 22. ხიო ეპლონი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სილამაზე გადაარჩენს სამყაროს!

**ნიუ იორკში** ცხელა. ჩოგბურთელებს სხვადასხვა კლიმატურ პირობებში უწევთ ხოლმე თამაში. ხშირად ისეც ხდება, რომ წვიმის ან ქარის გამო ესა თუ ის შეხვედრა წყდება და მაშინ გრძელდება, როცა ამინდი ამის საშუალებას იძლევა. მაგრამ დიდი სლემის სერიაში შემავალი გიგანტ-შეჯიბრებების სპეციფიკა ისაა, რომ მათში მონაწილეთა დიდი რაოდენობაა და თუნდაც ერთი მატჩის გადადება ჩაფიქრებული გრაფიკის მთელ წყობას არღვევს და მერე იწყება არეულობა. ამით უიმბლდონის ტურნირია გამორჩეული - ლონდონური წვიმების ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. აი, ნიუ იორკში კი სასტიკი სიცხეა. აკი თქვა კიდეც ელენა დემენტიევამ - ასეთ სიცხეში თამაში არ შეიძლება და თამაშების გრაფიკში „სარეზერვო ფანჯრები" უნდა არსებობდეს, რათა ამინდის გამო შეწყვეტილი თამაშის გაგრძელების საშუალება მოგვეცესო.

## რატომ წაუვიდა გული ვიკას?

ვიქტორია აზარენკა ქალ ჩოგბურთელთა ელიტაში დიდწილად თავისი ფიზიკური თვისებების ხარჯზე მოხვდა - ჯანიანი ბელარუსი მაინცდამაინც ვერ ფლობს შტეფიგრაფისეულ ფორჰენდს და ვერ კითხულობს თამაშს **ჟუსტინ ენენივით**. ყველაფერი ცოტ-ცოტა აქვს, მაგრამ მთავარი მაინც მისი „ფიზიკაა". ამიტომაც გაუკვირდა პუბლიკას, ეს მცხუნვარე მზე ამხელა მზარბეჭიან გოგოს ასე იოლად როგორ მოერიაო. გეცოდინებათ, თხელ და უკუნთო **ხისელა დულკოსთან** შეხვედრის მსვლელობისას ვიკამ გონება დაკარგა და კორტზე მოწყვეტით დაეცა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მთლად მზის ბრალი არ ყოფილა...

*„მოთელვაზე ვძუნძულებდი და დარბაზში რაღაცას თავი მივარტყი. ხელიც ვიტკინე, თუმცა მეგონა, რომ საგანგაშო არაფერია. დულკოსთან მატჩისას ექიმები მაინც მაკვირდებოდნენ. პირველ-მეორე სეტებში ყველაფერი რიგზე იყო, მერე კი თანდათანობით თავბრუსხვევა დამეწყო, ხოლო სანამ გონებას დავკარგავდი, საშინლად დამცხა, თვალებში დამიბნელდა და სუნთქვა შემეკრა. ექიმები იძახიან, ტვინის შერყევა გაქვსო. ვფიქრობ, ამის ბრალია, მზემ კი უბრალოდ თავისი დაამატა და..."* - თქვა ორმაგად დაჩაგრულმა ბელარუსმა.

დულკო 5:1-ს იგებდა პირველ სეტში, მაგრამ რახან აზარენკამ თამაში ვერ გააგრძელა, 25 წლის არგენტინელს ძალების ეკონომია გამოუვიდა. საერთოდ კი, სათამაშო კლასში განსხვავების მიუხედავად, დულკოს და აზარენკას US Open-ზე ერთნაირი მიღწევები აქვთ - ორივეს უმაღლესი შედეგი მეოთხე წრეში გასვლაა. აზარენკა ამ შედეგს წლეულს ველარ გააუმჯობესებს, დულკო კი მესამე წრეშია, სადაც სხვა სლავთან მოუწევს შერკინება. რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვა** არ არის აზარენკასავით მრისხანე, მაგრამ ინდოელი **სანია მირზა** საკმაოდ იოლად კი დაამარცხა.

## რუსთა შესახებ

რაკი ერთ რუსზე დავიწყეთ საუბარი, ბარემ დანარჩენებზეც ვთქვათ. მესამე წრეში პავლიუჩენკოვას ერთი თანამემამულე გავიდა - 2004 წლის US Open-ის ფინალისტმა **ელენა დემენტიევამ** შარშანწინდელი მეოთხედფინალისტი **სიბილე ბამერი** დაამარცხა. ქალთა საჩოგბურთო ამქრის ვეტერანებმა პირველი სეტი უამრავი შეცდომის ფონზე რუსის გამარჯვებით ჩაამთავრეს, მეორე კი 30 წლის ავსტრიელის უმძლავრესი თამაშით დაიწყო. ბამერმა ბევრად უფრო სახელოვანი მოწინააღმდეგე აშკარად დაჩაგრა და მიჯრით 4 გეიმი მოუგო. მაგრამ ლენამ ძალების მოკრება მაინც მოახერხა და ნამდვილი გმირობა ჩაიდინა - 6:4 მოიგო სეტი და მასთან ერთად - მატჩიც. შემდეგ ეტაპზე დემენტიევას მეტოქე სლოვაკი **დანიელა ხანტუხოვა** იქნება.

კიდევ ერთმა რუსმა დიაცმა კი წააგო. **კლეიბანოვა** ამ ტურნირზე განთესილი იყო, მაგრამ მეორე წრეში **სარა ერანი** რომ შეხვდა, ალისა შეწუხდა, რადგან იტალიელებთან ისე ხშირად მარცხდება, როგორც არავისთან. თანაც, საკუთრივ ერანისთან აბსოლუტურად არასპორტული აღნაგობის 21 წლის რუსმა წლეულს მაიამის ჰარდზე წაგებაც მოასწრო. მოკლედ, კლეიბანოვას შიში გამართლდა და მესამე წრეში ერანი გავიდა, სადაც ტურნირის მე-5 ჩოგან **სამანტა სტოსურს** შეხვდება.



აქვე დავამატებთ, რომ კლეიბანოვას გზას კიდევ ერთი რუსი გაუყვა - **იგორ ანდრეევი**, ვისაც ფრანგმა **გაელ მონფილსმა** ბრწყინვალე სტილში მოუგო. საინტერესოა, რომ იქამდე ანდრეევს მონფილსთან პირად შეხვედრებში სოლიდური უპირატესობა ჰქონდა - 4:1. აი, **მიხაილ იუჟნის** კი ყაზახი **ანდრეი გოლუბევის** სახით იოლი მეტოქე შეხვდა, რომელმაც გამოცდილ რუსს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

## იტალიელი ქალების ვაჟკაცობა

იტალიელი ქალები ნიუ იორკში ჯერჯერობით საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებიან. ერანიზე უკვე მოგახსენეთ, უბრალოდ იმას დავამატებთ, რომ მან კლეიბანოვას ჯამში მხოლოდ 5 გეიმი დაუთმო. კლეიბანოვაზე მეტს ვერც უნგრელმა **აგნეშ სავაიმ** მიაღწია, ვინც **ფლავია პენეტასთან** 1:6, 4:6 დამარცხდა. აი, უძლიერესმა იტალიელმა მეჩოგნე ქალმა კი მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა ამერიკის ღია პირველობაზე. საუცხოო ფორმაში მყოფმა **ფრანჩესკა სკიავონემ** თანამემამულე **მარია ელენა კამერინს** 6:2, 6:1 სძლია და მომდევნო წრეში უკრაინელ დათაგან უფროსს, **ალიონა ბონდარენკოს** გაეჯიბრება.

ვაჟთა შეჯიბრს კი ორი იტალიელი გამოეთიშა და ორივეს ესპანელმა მოუღო ბოლო. უნდა ვაღიაროთ, რომ **პოტიტო სტარაჩემაც** და **ანდრეას სეპიმაც** ვაჟკაცურად იომეს, მაგრამ შესაბამისად **ნიკოლას ალმაგროსა** და **მარსელ გრანოლერსის** გაჩერება ვერ მოახერხეს.

## აი, დარტანიანიც!

ჩვენს გუშინდელ მიმოხილვაში ფრანგული ტრიოს გმირობებზე მოგახსენებდით - **არნო კლემანმა, პოლ-ანრი მატიემ** და **ჟერემი შარდიმ** განთესილი მეტოქეები ერთიმეორის მიყოლებით რომ მიაბრძანეს მაყურებლებში. გაელ მონფისი და **ჟილ სიმონი** ნუ გვეწყენენ - მათ თავთავიანთი მატჩები იოლად მოიგეს, მეტოქეებიც ობიექტურად მათზე სუსტები შეხვდათ. აი, **მიკელ ლოდრა** კი გუშინდელ სამ მუშკეტერზე შორს წავიდა და დიდი სიურპრიზი აჩუქა „ფლაშინგ მედოუსს". წყვილში თამაშის დიდოსტატმა ფრანგმა წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტი **ტომაშ ბერდიხი** მოინელა!

ლოდრამ ბრწყინვალე ჩოგბურთი ითამაშა და პირწმინდად დაჩაგრა ბერდიხი, რომლის წლევანდელ აქტივს უიმბლდონური ფინალის გარდა როლანგაროსული ნახევარფინალიც ამშვენებს. 30 წლის ფრანგთან თამაშის მიწურულს ტომაში საცოდავი სანახავი იყო. ლოდრა ამ მატჩში ბადესთან 75-ჯერ გავიდა, ყველა თავისი მოწოდება მოიგო, მაგრამ ესეც რომ არა, ფრანგი ერთობ ავანტიურულ ჩოგბურთს თამაშობდა - არარაციონალურ და მახვილგონივრულ კომბინაციებს აბლაბუდასავით ქსოვდა და ვირტუოზული დარტყმებით აგვირგვინებდა. მიკელ ლოდრა ნიუიორკული პუბლიკის ახალი ფავორიტია!

## თავხედი კვალიფიკანტები

კვალიფიკაციის გავლით ძირითად ბადეში მოხვედრილმა **რაიან ჰარისონმა** მაყურებელი ძლიერ გაახარა. 18 წლის ამერიკელს ჯერჯერობით ძალზე უარყოფითი ბალანსი აქვს მოგება-წაგებებისა, მაგრამ ჭაბუკი თავისზე 13 წლით ხნიერ **ივან ლიუბიჩიჩს** უშიშრად დაუხვდა. ვერცხლისწყალივით მოძრავი ბიჭუნას ფონზე ვეტერანი ხორვატი კიდევ უფრო ხნიერად და დამძიმებულად გამოიყურებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, თუმცა თამაშის ხარისხით ჰარისონს დროდადრო აშკარად აღემატებოდა. ასე იყო თუ ისე, პირველი სეტი ამერიკელმა მოიგო.

მეორეში ჰარისონმა საქმე ტაიბრეიკამდე ძლივს მიიყვანა და იქ, ბუნებრივია, ივანის მიერ დაიბომბა, თანაც ამერიკელმა ეს ლოკალური წარუმატებლობა ისე განიცადა, როგორც ამას დიდი ჯონ მაკინროი და სხვა საჩოგბურთო გიჟები აკეთებდნენ ხოლმე - ჩოგნებს აქეთ-იქით ყრიდა, ბურთებს ნიხლებით იშორებდა, დახტოდა, ღრიალებდა... მაგრამ მესამე და მეოთხე სეტები მოიგო და მეორე წრეშიც გავიდა. **ნიკ ბოლეტიერის** ნიჭიერი მოსწავლე უკრაინელ **სერჰი სტახოვსკის** შეხვდება, რომელმაც სულ ახლახან ნიუ ჰევენის სოლიდური ტურნირი მოიგო.

კიდევ ერთი ახალი სახელ-გვარი - **მანდი მინელა.** მართალია, 24 წლის ლუქსემბურგელი უკვე საკმაო ხანია, რაც პროფესიულ ჩოგბურთშია, მაგრამ პროგრესი ახლა დაეწყო. მისგან US Open-ის კვალიფიკაციის გავლაც მოულოდნელობად ჩაითვალა, მაგრამ მანდი ყურადღებას არავის აქცევს და თავის პირველ სადიდსლემო ტურნირზე უკვე მესამე წრეს უნია. პირველში მან გზიდან მსოფლიოს 47-ე ჩოგანი **პოლონა ჰერცოგი** ჩამოიცილა, მეორეში კი წლევანდელი უიმბლდონის ნახევარფინალისტი **ცვეტანა პირონკოვა** დაამარცხა. ეჭვი გვაქვს, მესამე მინელასთვის ბოლო იქნება - **ვინუს უილიამსი** ასეთ მეტოქეებთან ჯერ არ დამარცხებულა...

ჰო, რაც მთავარია: მანდი მინელა რეიტინგში 185-ე საფეხურზეა, ხოლო რაიან ჰარისონი - 220-ე!

## მშვიდად და აკადემიურად

**კიმ კლეისტერსი** ქალთა ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია და მეორე წრეში შესაფერისი სოლიდურობითაც ითამაშა - ავსტრალიელ **სალი პირსს** 6:2, 6:1 მოუგო. პირსის გამოცდილმა თანამემამულემ **სამანტა სტოსურმაც** იოლად იმარჯვა, მისი მეტოქე კი ასევე ავსტრალიელი იყო, ოღონდაც მწვანე კონტინენტის ახალი მოქალაქე - 28 წლის **ანასტასია როდიონოვა** მხოლოდ შარშან გაავსტრალიელდა.

ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** სლოვაკი **ლუკაშ ლაცკოს** დამარცხებას 2 საათზე ნაკლები დახარჯა, **ჯონ იზნერმა** ოდნავ მეტი დრო მოანდომა პორტუგალიელი **ჟილის** ძლევას, თუმცა 19 ეისის ჩაწოდება კი მოასწრო.

ვინუს უილიამსმა სხვა ფავორიტებთან შედარებით ოდნავ არეულად ითამაშა, თუმცა მესამე წრეში მაინც დამაჯერებლად გააღწია. აი, **ენდი როდიკმა** კი...

## მასპინძელთა ილუზიების მსხვრევა

US Open-ის ვაჟთა ტურნირი მასპინძელი ჩოგბურთელის გამარჯვებით უკანასკნელად 2003 წელს დასრულდა - ჩემპიონი 21 წლის ენდი როდიკი გახდა, მსოფლიო ჩოგბურთის მაშინ ჯერ კიდევ ამომავალი ვარსკვლავი. მთელი ამერიკა მასზე უდიდეს იმედებს ამყარებდა, მაგრამ ეს ენდის კარიერაში ჯერჯერობით პირველ და უკანასკნელ სადიდსლემო ჩემპიონობად რჩება. მას შემდეგ როდიკი აშშ-ის ღია პირველობის ფინალშიც გასულა, წლეულს კი ისეთი შეემთხვა...

**არტურ ეშის** სახელობის კორტის ტრიბუნებზე შეკრებილი და ტელეეკრანებს მიჯაჭვული ამერიკელები კმაყოფილები იყვნენ, როცა როდიკმა პირველი სეტი 6:3 მოიგო. აი, მერე კი მისმა მეტოქემ **იანკო ტიპსარევიჩმა** კარიერის საუკეთესო სეტები ჩაატარა. როდიკი თითქოს უშეცდომოდ თამაშობდა, მაგრამ სერბი, რომ იტყვიან, დაფრინავდა - რასაც ჩაიფიქრებდა, ყველაფერი გამოსდიოდა. ტიპსარევიჩმა იმდენი არანორმალური გათამაშება მოუგო ამერიკელს, დღის დანარჩენი მატჩების ჯამშიც რომ არ გათამაშებულა. თამაში იმდენად სანახაობრივი გამოდგა, რომ ამერიკულმა პუბლიკამ ისიც დაივიწყა, რომ მათ თვალწინ ამერიკის საჩოგბურთო კერპი მარცხდებოდა. მატჩბოლისას კი უშიშარი სერბი ბადესთან გავიდა, მატჩს საბოლოო წერტილი ეფექტური დარტყმით დაუსვა და ტრიუმფალურად აღმართა მარჯვენა ხელი, რომელზეც იაპონური იეროგლიფებით აქვს ტატუირებული იმ თამაშის მეტად შესაფერისი აფორიზმი - „სილამაზე გადაარჩენს სამყაროს".

### კაცები

#### I წრე

**ენდი მიურეი (4, დიდი ბრიტანეთი)**-ლუკაშ ლაცკო (სლოვაკეთი) 6:3, 6:2, 6:2; **დასტინ ბრაუნი (იამაიკა)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი) 6:4, 7(8):6(6); **სემ კიურეი (20, აშშ)**-ბრედლი კლანი (აშშ) 6:3, 4:6, 7:5, 6:4; **მარსელ გრანოლერსი (ესპანეთი)**-ანდრეას სეპი (იტალია) 2:6, 5:7, 6:3, 6:2, 6:3; **მიხაილ იუჟნი (12, რუსეთი)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზახეთი) 6:2, 6:3, 6:3; **დუდი სელა (ისრაელი)**-ქსავიე მალისი (ბელგია) 7(7):6(1), 7:5, 6:2; **მარკო კიუდინელი (შვეიცარია)**-ჯეკ სოკი (აშშ) 6:1, 6:4, 1:6, 6:1; **ჯონ იზნერი (18, აშშ)**-ფრედერიკუ ჟილი (პორტუგალია) 6:4, 6:3, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:4, 4:6, 6:3, 6:3; **სტანისლას ვავრინკა (25, შვეიცარია)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზახეთი) 6:3, 6:2, 6:2; **გილიერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი)**-ლუკაშ კუბოტი (პოლონეთი) 6:3, 6:2, 7(7):6(4); **ნიკოლას ალმაგრო (14, ესპანეთი)**-პოტიტო სტარაჩე (იტალია) 4:6, 6:4, 6:4, 7(7):6(5); **სერჰი სტახოვსკი (უკრაინა)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) 6(8):7(10), 7:5, 6:4, 6:2; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-ივან ლიუბიჩიჩი (15, ხორვატია) 6:3, 6(4):7(7), 6:3, 6:4; **ჟილ სიმონი (საფრანგეთი)**-დონალდ იანგი (აშშ) 6:1, 6:4, 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი (29, გერმანია)**-ტობიას კამკე (გერმანია) 6:2, 4:6, 6:2, 6:4; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი)**-კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 6:2, 6:4, 6:3; **მიკელ ლოდრა (საფრანგეთი)**-ტომაშ ბერდიხი (7, ჩეხეთი) 7(7):6(3), 6:4, 6:4.

#### II წრე

**გაელ მონფილსი (17, საფრანგეთი)**-იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:3, 6:4, 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი)**-ენდი როდიკი (9, აშშ) 3:6, 7:5, 6:3, 7(7):6(4).

### ქალები

#### II წრე

**ფრანჩესკა სკიავონე (6, იტალია)**-მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:2, 6:1; **ალიონა ბონდარენკო (29, უკრაინა)**-მელანი უდენი (აშშ) 6:2, 7:5; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (20, რუსეთი)**-სანია მირზა (ინდოეთი) 6:2, 6:4; **ხისელა დულკო (არგენტინა)**-ვიქტორია აზარენკა (10, ბელარუსი) 5:1, აზარენკამ თამაში შეწყვიტა; **შაჰარ პეერი (16, ისრაელი)**-პოლინ პარმანტიე (საფრანგეთი) 6:2, 6:3; **ფლავია პენეტა (19, იტალია)**-აგნეშ სავაი (უნგრეთი) 6:1, 6:4; **მანდი მინელა (ლუქსემბურგი)**-ცვეტანა პირონკოვა (32, ბულგარეთი) 6:4, 6:0; **ვინუს უილიამსი (3, აშშ)**-რებეკა მარინო (კანადა) 7(7):6(3), 6:3; **სამანტა სტოსური (5, ავსტრალია)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრალია) 6:1, 6:4; **სარა ერანი (იტალია)**-ალისა კლეიბანოვა (28, რუსეთი) 6:2, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (24, სლოვაკეთი)**-ვანია კინგი (აშშ) 5:7, 6:3, 6:4; **ელენა დემენტიევა (12, რუსეთი)**-სიბილე ბამერი (ავსტრია) 6:3, 6:4; **ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი)**-მარიონ ბარტოლი (13, საფრანგეთი) 7:5, 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერბეთი)**-ძე ჭენი (21, ჩინეთი) 6:3, 6:0; **პეტრა კვიტოვა (27, ჩეხეთი)**-ელენა ბალტაჩა (დიდი ბრიტანეთი) 7(7):6(5), 6:3; **კიმ კლეისტერსი (2, ბელგია)**-სალი პირსი (ავსტრალია) 6:2, 6:1.

სლავა გასპაროვი

კალათბურთი. თურქეთი 2010. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ბალკანური და ამერიკული დერბების მოლოდინში

## გერმანია შინ გაუშვეს

თურქეთის ქალაქებში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი, რომლის ყველაზე დიდი მოულოდნელობა მერვედფინალს მიღმა გერმანიის ნაკრების დარჩენაა. დირკ ნოვიცკის გარეშე მოასპარეზე ბუნდესგუნდმა ჯგუფში მეხუთე ადგილი დაიკავა და წინ ანგოლა გაუშვა. გუშინდელი დღის მშვენება სერბეთისა და არგენტინის მატჩი იყო, რომლის ბედი მხოლოდ ბოლო წამებზე გაირკვა. ლუის სკოლა კვლავ სუპერპროდუქტიული იყო, მაგრამ პირველად საკალათბურთო მუნდიალზე მისი გმირობა არგენტინას გამარჯვებისთვის არ ეყო.

**A ჯგუფი**

**ავსტრალია–ანგოლა 76:55**

**15:18, 24:11, 21:9, 16:17**

**ავსტრალია:** მილსი (11 ქულა), ნილსენი (9 ქ, 7 მ, 6 გ), უორტინგტონი (8), ბარლოუ (8), ნიული (8 ქ, 7 მ), ინგლესი (8), მარიჩი (6), ჯიბსონი (6), მარტინი (6), ბეინესი (4), მარკოვიჩი (2).

**ანგოლა:** ჟერონიმუ (9), ლუტონდა (9), გომეში (8), პაულუ (7), მბუნგა (7), მორაიში (6), ამბროზიო (5), ფორტესი (2), მინგაში (2), ბონიფასიო.

ანგოლელებმა მარცხის მიუხედავად მაინც დაიკავეს ჯგუფში გამსვლელი მე-4 ადგილი, მაგრამ ამით აფრიკელთა ოდისეა საკალათბურთო მუნდიალზე სრულდება, მათი მომავალი მეტოქე ამერიკის ნაკრებია.

**სერბეთი– არგენტინა 84:82**

**20:22, 20:17, 18:15, 26:28**

**სერბეთი:** სავანოვიჩი (19), კრსტიჩი (18 ქ, 8 მ), ტეოდოშიჩი (16 ქ, 4 მ, 4 გ), რაშიჩი (10), ველიჩკოვიჩი (7 ქ, 6 მ), მარკოვიჩი (6), კეშელი (6), პეროვიჩი (2), ტეპიჩი.

**არგენტინა:** სკოლა (32 ქ, 7 მ), დელფინო (13 ქ, 7 მ), პრიჯონი (13 ქ, 9 გ), კინტეროსი (10), ხასენი (8), ლ. გუტიერესი (4), სეკუეირა (2), კამერიჩსი, ხ. გუტიერესი, გონსალესი.

დღის ყველაზე დრამატული მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. **ლუის სკოლას** მონადინებით არგენტინელები დაეწივნენ სერბებს და ბოლოს მოგებაც შეეძლოთ. მატჩის დასრულებამდე 2 წამით ადრე არგენტინა 81:84-ს აგებდა და საჯარიმოს ხაზზე **კინტეროსი** იდგა, მან პირველი ჩააგდო, მეორე კი განზრახ ააცილა, მაგრამ **ველიჩკოვიჩმა** ფარიდან ასხლეტილი ბურთი არავის დაანება და სერბეთს გამარჯვება მოაპოვებინა - 84:82.




**გერმანია–იორდანია 91:73**

**28:17, 12:16, 27:17, 24:23**

**გერმანია:** პლაიში (23 ქ, 9 მ), შტეიგერი (16), იაგლა (14), მაკნაუტონი (12), ოლბრეხტი (7 ქ, 10 მ), ბენზინგი (5), ჰამანი (4), ჰარისი (3), შაფარციკი, გიუნტერი, გრინი.

**იორდანია:** დალლესი (22 ქ, 6 გ), რაიტი (14), სობჟოკოვი (12), ალ-ხასი (12 ქ, 9 მ), აბასი (10 ქ, 6 მ), ჰუსეინი (3), ალნაჯარი, ალავადი, ჰადრაბი, ალ-სუსი, ზალაბი, ადაისი.

მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტმა იორდანიამ საკალათბურთო მუნდიალი მოგების გარეშე დატოვა. გერმანელმა **ტიბორ პლაიშმა** თავიდანვე ენერგიულად შეუტია მეტოქის კალათს და მხოლოდ პირველ მეოთხედში 12 ქულა მიითვალა. მეორე მეოთხედში აზიელებმა მაინც მოარგეს გასაღები გერმანელთა დაცვას - სამქულიან სროლებზე გადავიდნენ. ერთი პერიოდი ანგარიში 34:33-იც გახდა გერმანელთა სასარგებლოდ. მაგრამ საოცრება აღარ მოხდა, გერმანიის ნაკრებმა მორიგი სირცხვილი არ ჭამა თურქეთში.

პლაიშმა თამაში 23 ქულითა და 9 მოხსნით დაამთავრა, **ლუკა შტეიგერმა** 16 ქულა მიითვალა ხოლო **იან იაგლამ** -14.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 5 | 4 | 1 | 465-356 | 9 |
| არგენტინა | 5 | 4 | 1 | 413-379 | 9 |
| ავსტრალია | 5 | 3 | 2 | 381-341 | 8 |
| ანგოლა | 5 | 2 | 3 | 340-414 | 7 |
| გერმანია | 5 | 2 | 3 | 378-402 | 7 |
| იორდანია | 5 | 0 | 5 | 361-446 | 5 |

**B ჯგუფი**

**აშშ–ტუნისი 92:57**

**19:13, 20:20, 24:13, 29:11**

**აშშ:** გორდონი (21), დიურანი (14), ვესტბრუკი (14), კარი (13), ბილაპსი (7), გრეინჯერი (5), როუზი (4), იგუოდალა (4 ქ, 6 მ), ლავი (4), ჩენდლერი (4), გეი (2), ოდომი.

**ტუნისი:** კეჩრიდი (15), ბენ რომდანე (11 ქ, 8 მ), სლიმანე (9), რზიგი (9), ჰადიდანე (5), მაუა (5), ლიაზა (2), დიფალა (1), ლალნეჯი, კნიუა, მეჯრი, ბრაა.

როგორც მოსალოდნელი იყო - ამერიკის ნაკრებმა ჯგუფის ყველა მატჩი მოიგო. ამერიკელებს მხოლოდ ბრაზილიელებთან გაუჭირდათ, სხვებთან კი გაილაღეს და 20 და მეტი ქულის სხვაობით მოიგეს. სხვათა შორის, ტუნისელებმა მესამე მეოთხედამდე მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ამერიკელებს. **მაიკ კრჟიჟევსკის** გუნდი მერვედფინალში ანგოლას შეხვდება.

**სლოვენია–ირანი 65:60**

**19:6, 9:17, 24:11, 13:26**

**სლოვენია:** დრაგიჩი (18 ქ, 6 მ), ზუპანი (15), ბეჩიროვიჩი (10), ნახბარი (10), ლაკოვიჩი (4), ვიდმარი (4), კლუბოჩარი (2), ბრეჟეჩი (2), რიჟვიჩი, იაგოდნიკი.

**ირანი:** ჰადადი (15 ქ, 7 მ, 2 დ), კაზემი (11 ქ, 14 მ, 3 ჩ), კადრუსტი (9 ქ, 7 მ), დავარი (7 ქ, 4 გ), დავარპანა (4), ნაბიპური (2), ჰასანზადე (2), დავუდი.

სამი მეოთხედი სლოვენიის ნაკრებმა 52:34 მოიგო, მაგრამ **კაზემის** მონადინებით ირანი სლავებს მიუახლოვდა. **ბეჩიროვიჩის** წყალობით ევროპელებმა აღადგინეს უპირატესობა, მატჩის დასრულებამდე სამი წუთით და 50 წამით ადრე სლოვენია 14 ქულის სხვაობით იგებდა. ამის შემდეგ ირანელებმა 11 ქულა ჩააგდეს და მხოლოდ **ნახბარმა** შეძლო 2 ქულის მოტანა სლოვენიის ნაკრებისათვის. საბოლოოდ მაინც მატჩის ფავორიტმა მოიგო, თუმცა კი გვარიანად აანერვიულა 3 ათასი გულშემატკივარი.

**ბრაზილია–ხორვატია 92:74**

**22:19, 26:16, 24:15, 20:24**

**ბრაზილია:** მაშადო (18), ბარბოზა (17), გარსია (15), ჯოვანონი (12), ბეკერი (7), უერტასი (7 ქ, 6 გ), ბატიშტა (6), სპლიტერი (6), ვარეჟაო (2), ვინისიუსი (2), დოს სანტოსი.

>> მე-16 გვერდზე

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2012**

**შესარჩევი მატჩი. F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ისრაელი-მალტა | 3:1 |

**თურქეთი**

**თასი**

| | |
|---|---|
| ქირიხანსფორი-ადანა | 1:1 პენ. 5:4 |

**ჩეხეთი**

**თასი**

| | |
|---|---|
| როზიცე-ბრნო | 1:2 |

**ჩოგბურთი**

**US Open**

**კაცები**

| | |
|---|---|
| მონტანესი-ბოლი | 6:4, 6:3, 6:1 |
| ფიში-კუევასი | 7:5, 6:0, 6:2 |
| ჩილიჩი-ნიშიკორი | 7:5, 6:7, 6:3, 6:7, 1:6 |
| დავიდენკო-გასკე | 3:6, 4:6, 2:6 |
| დე ბაკერი-დოდიგი | 6:7, 6:2, 6:3, 6:2 |
| კლემანი-შვანკი | 6:3, 7:5, 6:0 |
| მატი-რუფინი | 7:6, 6:4, 6:3 |
| მელცერი-ბერანკ. | 6:4, 6:7, 6:3, 1:6, 7:5 |
| ფედერერი-ა. ბეკი | 6:3, 6:4, 6:3 |
| სიოდერლინგი-დენტი | 6:2, 6:2, 6:4 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ვიკმაიერი-გერგესი | 6:4, 7:5 |
| ზვონარევა-ლისიცკი | 6:1, 7:6 |
| შნიდერი-მარტ. სანჩესი | 7:6, 6:4 |
| პასეკი-ი. ჯ. ჩანი | 3:6, 3:6 |
| რეზაი-კაპრა | 5:7, 6:2, 3:6 |
| ბონდარენკო-ციბულკოვა | 2:6, 7:5, 6:7 |
| უ. რადვანსკა-დომინ. ლინო | 2:6, 5:7 |
| კუზნეცოვა-სევასტოვა | 6:2, 6:3 |
| დულჟერუ-არვიდსონი | 7:6, 6:1 |
| ვოზნიაცკი-კ. ჩ. ჩანი | 6:0, 6:0 |
| კირილენკო-მიუსბურგერი | 4:6, 7:5, 6:0 |
| იანკოვიჩი-ლიუჩიჩი | 6:4, 3:6, 6:2 |

## TV პროგრამა

**3 სექტემბერი. პარასკევი**

**НТВ+ფეხბურთი**

**06:35.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. კაენი-ბრესტი.
**08:20.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბარსელონა.
**10:10.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-ინტერი.
**12:00.** ახალი ამბები.
**12:30.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მარსელი.
**14:20.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.
**16:10.** ახალი ამბები.
**16:30.** სასტუმრო
**17:20.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. იტალიის ჩემპიონატი. ბარი-იუვენტუსი.
**19:15.** საფეხბურთო კლუბი.
**20:00.** ინტერვიუ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ სერგეი ფურსენკოსთან.
**20:20.** ევროპის სუპერთასი. ინტერი (იტალია)-ატლეტიკო (ესპანეთი)
**22:55.** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ბულგარეთი (LIVE).
**00:55.** ახალი ამბები.
**01:10.** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ლიხტენშტაინი-ესპანეთი.
**03:30.** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. სლოვაკეთი-მაკედონია.
**04:50.** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-უნგრეთი.

**НТВ+სპორტი**

**06:10.** ახალი ამბები
**06:30.** კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი-კანადა, არგენტინა-სერბეთი.
**10:00.** ახალი ამბები.
**11:30.** თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ფარიკაობა. ცურვა. კონკური (LIVE).
**13:45.** თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. სირბილი სროლით (LIVE).
**14:10.** ახალი ამბები.
**14:25.** კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრაზილია-ხორვატია.
**17:00.** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. კაცთა და ქალთა ფინალები. (ჰოლანდია).
**19:00.** ახალი ამბები.
**19:15.** ჰოკეი. სტენლის თასი. გასული სეზონის საუკეთესო მატჩები. ბოსტონი-ფილადელფია. VII მატჩი.
**21:00.** ახალი ამბები
**21:55.** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-უნგრეთი (LIVE)
**00:00, 03:20.** ახალი ამბები.
**03:50.** ფრენბურთი. გასული სეზონის საუკეთესო მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. ოთხთა ფინალი. კაცები. ბლედი (სლოვენია)-ტრენტინო (იტალია).

**EUROSPORT**

**07:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე IV (LIVE).
**09:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე IV
**10:30.** ჩოგბურთი. ჟურნალი.
**11:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე IV.
**17:30.** ჩოგბურთი. ჟურნალი.
**18:00.** ველოსპორტი. ესპანეთის ეროვნული ტური. VII ეტაპი (LIVE).
**19:45-07:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე V (LIVE).

**EUROSPORT 2**

**09:30.** დილის ახალი ამბები.
**10:30.** სერფინგი. მსოფლიოს ტური. ახალი ამბები.
**10:45.** დილის ახალი ამბები.
**11:45.** სერფინგი. მსოფლიოს ტური. ახალი ამბები.
**12:00.** ფეხბურთი. იაპონიის თასი. კაშიმა ანტლერსი-კავასაკი ფრონტალე.
**13:00.** ახალი ამბები.
**13:45, 15:00.** ავსტრალიური ფეხბურთი. კვალიფიკაცია (LIVE).
**16:45.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე IV.
**19:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე V (LIVE)
**21:30.** ახალი ამბები.
**21:45.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე V (LIVE)
**02:00.** ახალი ამბები.
**02:15, 04:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე V
**05:00.** ახალი ამბები.

## კალათბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატზე გოგონებს ცეკვა აუკრძალეს

ამიერიდან ფიბას მოცეკვავე გოგონების გუნდი აღარ გაართობს პუბლიკას მსოფლიოს ჩემპიონატზე, როცა მასპინძელი ქვეყნის ნაკრები ითამაშებს. საორგანიზაციო კომიტეტმა ურჩია ფიბას, რომ თურქთა თამაშის დროს გართობა აიკრძალოს ორი მიზეზით: თურმე, ეს მაყურებელს შეურაცხყოფას აყენებს, რადგან ისლამი კრძალავს ქალის კანის გამოჩენას თავშეყრის ადგილებში და მეორეც, თავად გოგონებისთვის ყოფილა ეს სარისკო.

ფიბამ განმარტა, რომ აკრძალვა ამ ორგანიზაციის ინიციატივა არაა. ფიბა-ს გენერალური მდივანი **პატრიკ ბაუმანი** მიიჩნევს, რომ არ არის წინააღმდეგი მაყურებელი თამაშის დროს პაუზებში გაერთოს მშვენიერი სანახაობით, თუმცა მასპინძელთა პოზიციისაც ესმის.

ოთხშაბათს ამერიკისა და ირანის ნაკრების მატჩისას გოგონებს გრძელსახელოებიანი ტანსაცმელი ეცვათ. მიუხედავად ამისა, როცა გოგონები ცეკვას იწყებდნენ, ირანის ნაკრების ოფიციალური წარმომადგენლები ზურგით ბრუნდებოდნენ, რომ „გარყვნილობისთვის“ თვალი არ მოეკრათ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მუშაობს „რედ ფოქსის“ პროფესიონალ მოცეკვავეთა გუნდი, რომელიც უმთავრესად უკრაინელი გოგონებითაა დაკომპლექტებული. ეს გუნდი ანკარაში (სადაც B ჯგუფის თამაშები ტარდება) მაინც გამოვა, ოღონდ არა მასპინძელთა თამაშებზე. აი ასე, არადა, ამ ქვეყანას (თურქეთს ვგულისხმობთ) ევროკავშირში შესვლა უნდა.

### დელონტე ვესტი სელტიკსს უბრუნდება

27 წლის მცველი **დელონტე ვესტი** თავის ყოფილ კლუბ „ბოსტონ სელტიკსს“ უბრუნდება. „კლივლენდ პლეინ დილერის“ ცნობით, ვესტი არაგარანტირებულ კონტრაქტს მოაწერს ხელს. დელონტე 2004 წლის დრაფტზე სწორედ „ბოსტონმა“ აიყვანა და სამი სეზონი იქვე გაატარა. სწორედ „სელტიკსში“ გამთამაშებლად თამაშისას ჰქონდა მას კარიერის საუკეთესო დროება . შემდეგ ვესტი „სიეტლსა“ და „კლივლენდში“ მსროლელად თამაშობდა. „სელტიკსში“ მან **რაჯონ რონდოს** და **რეი ალენის** შემცვლელად მოუწევს თამაში. ვესტის საშუალო მაჩვენებელი (კარიერაში) 7,4 ქულა და 2,9 პასია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ფორმულა 1



# ფელიპე მასა
# რთული საქმე გველის

„ფერარის“ სარბოლო გუნდის ოფიციალურ საიტზე „სკუდერიას“ პილოტმა **ფელიპე მასამ** თავისი ბლოგი განაახლა. ფორმულა 1-ის ბრაზილიელმა პილოტმა მკითხველს ბელგიის გრან-პრიზე მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა და სამომავლო გეგმების შესახებ უამბო.

*„ხანმოკლე არდადეგების შემდეგ ყოველთვის სასიამოვნოა საქმეში დაბრუნება, მით უმეტეს, როცა ეს სპას ფანტასტიკურ ტრასაზე ხდება. უქმეები პოზიტიურად დაიწყო: თითქმის ყველა პილოტი შეიკრიბა წვეულებაზე, რომელიც ჩემი მეგობრის რუბენს ბარიკელოს ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენას ეძღვნებოდა - რუბინიო მე-300 გრან-პრისთვის ემზადებოდა. სიმართლე გითხრათ, ასეთ მაჩვენებელს ალბათ ვერასოდეს მივაღწევ - ეჭვი მაქვს, კარიერას მე-300 გრან-პრიმდე კარგა ხნით ადრე დავასრულებ. მაგრამ რუბენსის წარმატებამ მართლაც გამახარა.*

*საკუთრივ რბოლას რაც შეეხება, შემიძლია კმაყოფილება გამოვთქვა - სტარტი მეშვიდე პოზიციიდან ავიღე და ფინიშზე მეოთხე ვიყავი. მაგრამ პირადი ჩათვლისა და კონსტრუქტორთა თასისთვის ბრძოლის გათვალისწინებით, ეს საკმარისი არაა. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი ამინდიცაა, რომელიც რბოლისას არაერთხელ შეიცვალა, თუმცა ეს არაა ის შედეგი, რომელსაც ვუმიზნებდით. მიუხედავად ამისა, მაინც კმაყოფილი ვარ, არადა თითქმის მთელი ეტაპი მარტო ვიყავი - ლიდერებს ჩამოვრჩი და მდევრებიც ვერ მეწეოდნენ.*

*კვირას უნგრეთში ჩავალ და 2008 წლის ბოლიდის საჩვენებელ რბოლაში მივიღებ მონაწილეობას. იმდროინდელმა „ფერარიმ“ განსაკუთრებული მოგონებები დამიტოვა. ახლა მარანელოში ვარ, სადაც მონცას გრან-პრისთვის ვემზადებით. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა - ჩვენ ხომ საკუთარი ტიფოზების თვალწინ მოგვიწევს რბოლა. მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი შედეგი იქნება, რადგან არცთუ წარმატებული ბელგიური ეტაპის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა არანაირად არ გაუმჯობესებულა. დარჩენილ ექვს რბოლაში ლიდერებთან ჩამორჩენა უნდა შევამციროთ. ეტაპებზე მოგებები, ან უკიდურეს შემთხვევაში, პოდიუმები გვჭირდება. მოკლედ, წინ რთული საქმე გველის*“, - წერს ფელიპე მასა, რომელიც ფორმულა-1-ის მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში დღეისთვის მეექვსე ადგილზე იმყოფება, ხოლო მისი „ფერარი“ ლიდერისგან 80-ქულიანი ჩამორჩენით, მხოლოდ მესამეა.

**სლავა გასპაროვი**

3 სექტემბრიდან




ბასკეთი, თავისუფლება და... ტერორიზმი - ETA
რისთვის სჭირდება „მისტრალი“ რუსეთს?...
ბრაზილიური ტანკები
მეორე მსოფლიო ომის საუკეთესო ტყვიამფრქვევი
...სრულად იხილეთ ჟურნალში

„მეგობრული ცეცხლი“ - პრობლემა და გამოსავალი...
ზოგიერთი რამ ინდივიდუალურ დაჯავშნაზე
„პაერსანინაალმდეგო ქოლგები“ ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

● კალათბურთი. თურქეთი 2010. მსოფლიოს ჩემპიონატი

« მე-15 გვერდიდან

**ხორვატია:** პოპოვიჩი (15), ლონკარი (12), ანდრიჩი (11), ბოგდანოვიჩი (10), ტომაში (9), უკიჩი (4), კუში (4), ბანიჩი (4), პლანინიჩი (3), ტომიჩი (2).

ბრაზილიის ნაკრებმა კარგი დღე არ აყარა ხორვატებს, რის წყალობითაც მერვედფინალში დიდებული წყვილი მივიღეთ - სამხრეთამერიკული დერბი, ბრაზილია არგენტინის წინააღმდეგ. ამ მატჩში ბრაზილიელთა უპირატესობა 25 ქულამდეც ავიდა, საბოლოოდ კი მათ 18 ქულის სხვაობით იმარჯვეს.

**რუბენ მანიანო** (ბრაზილია): *„გეგმის მიხედვით ვითამაშეთ, მათ მსროლელებს ყველა გზა ამოვუკეტეთ, ბიჭებმა დაცვაში დიდებული სამუშაო გასწიეს. ძალიან რთული მატჩი გველის არგენტინის წინააღმდეგ - ნამდვილი „კლასიკო“.*

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 5 | 0 | 455-331 | 10 |
| სლოვენია | 5 | 4 | 1 | 292-276 | 9 |
| ბრაზილია | 5 | 3 | 2 | 398-354 | 8 |
| ხორვატია | 5 | 2 | 3 | 395-407 | 7 |
| ირანი | 5 | 1 | 4 | 301-367 | 6 |
| ტუნისი | 5 | 0 | 5 | 300-407 | 5 |

## C ჯგუფი

**კოტ დ'ივუარი-პუერ. რიკო 88:79**

**19:14, 20:19, 25:26, 24:20**

**კოტ დ'ივუარი:** აბუო (19), ლამიზანა (17), კონე (17 თ, 10 მ), კონატე (11), დიაბატე (8 ქ, 6 მ, 8 გ), ასიე (3), კალე (3), ტაპე.

**პუერტო რიკო:** ბარეა (19 ქ, 7 გ), უერტასი (18 ქ, 8 მ), პივი(14), ვასალიო (11 ქ, 8 მ), ბალკმანი (7 ქ, 10 მ), სანტიაგო (6), სანჩესი (2), დიასი (2), რამოსი, რივერა, ლი.

კოტ დ'ივუარმა მუნდიალზე პირველი თამაში მოიგო, მაგრამ აფრიკულ ნაკრებს სამი ქულა დააკლდა სანუკვარ მიზნამდე - მერვედფინალში გასვლამდე. **რანდუალდ დესარზინის** გუნდს 12 ქულის სხვაობით მოგება ესაჭიროებოდა, მაგრამ სულ ცოტა დააკლდა. ახლა შემდეგ ეტაპზე ჩინეთის ნაკრები გადის, თან ეს ჩინელთა თამაშამდე იყო ცნობილი.

**რანდოალდ დესარზინი** (კოტ დივუარი): *„ძალიან ცუდია, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია კალათბურთი. ამ მატჩის ბოლო წამები სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება. აღარასოდეს ვიქნები მწვრთნელი, ეს გადაწყვეტილია“.*

**რუსეთი-საბერძნეთი 73:69**

**20:10, 10:20, 29:13, 14:26**

**რუსეთი:** მოზგოვი (18), ვორონცევიჩი (10), ვორონოვი (9 ქ, 6 გ), ფრიდზონი (8), კაუნი (8), ჟუკანენკო (6), მონია (6), ბიკოვი (4), პონკრაშოვი (4 ქ, 6 გ), ხვოსტოვი, კოლესნიკოვი.

**საბერძნეთი:** შორცანიტისი (16 ქ, 9 მ), ზისისი (11), სპანულისი (8), დიამანტიდისი (8), კაიმაკოგლუ (7), ბურუსისი (5), პრიმტეზისი (4), პერპეროგლუ (4), ცარცარისი (3), კალატესი (3).

შეხვედრაში უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა, ბერძნებმა საწყისი და ბოლო მეოთხედები ითამაშეს უკეთ, რუსებმა შუა ორი. ბერძენთა კალათს ხშირად და ზუსტად უტევდა **ტიმოფეი მოზგოვი.**

**თურქეთი-ჩინეთი 87:40**

**15:6, 24:7, 27:12, 21:15**

**თურქეთი:** სავაში (20), ერდენი (18 ქ, 12 მ), აშიკი (17 ქ, 13 მ), გიულერი (9), ერმიში (9), აკიოლი (6), თურქოგლუ (5), არსლანი (3).

**ჩინეთი:** სუნი (15), იუ (9), დინი (4), ჟანგი (4), სუ (4), ჟოუ (4), ს. ვანი.

საბრალო ჩინეთი - მასპინძლებმა ანტირეკორდი დაამყარებინეს, ჩინელებმა, რომლებიც **იანლიან იის** გარეშე თამაშობდნენ, მეტოქის კალათში მხოლოდ 40 ქულა ჩააგდეს, მხოლოდ 8 ქულით მეტი, ვიდრე ერთმა არგენტინელმა **ლუის სკოლამ** დღეს. 47 ქულის სხვაობით მოგების შემდეგ თურქეთის ნაკრებმა საფრანგეთთან მერვედფინალური მატჩი დაიბევა.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 5 | 0 | 393-285 | 10 |
| რუსეთი | 5 | 4 | 1 | 365-346 | 9 |
| საბერძნეთი | 5 | 3 | 2 | 403-370 | 8 |
| ჩინეთი | 5 | 1 | 4 | 360-422 | 6 |
| პუერტო რ. | 5 | 1 | 4 | 386-401 | 6 |
| კოტ დივ. | 5 | 1 | 4 | 334-417 | 6 |

## D ჯგუფი

**ესპანეთი-კანადა 89:67**

**28:17, 14:20, 21:11, 26:19**

**ესპანეთი:** ვასკესი (19), ფერნანდესი (19), გარბახოსა (9), რუბიო (8 ქ, 6 მ, 8 გ), რეიესი (8 ქ, 9 მ), მუმბრუ (8), სან ემეტერიო (6), კლავერი (5), მ. გასოლი (4 ქ, 9 მ), ლული (3), ლოპესი.

**კანადა:** ოლინიკი (14), შეპერდი (12), ანდერსონი (8), საკრე (8), ბაკნორი (7), კენდალი (7 ქ, 5 მ), ბელი (5), ენტონი (4), დორნკამპი (2), ბრაუნი.

**რუდი ფერნანდესი** ბრწყინვალედ ათამაშდა: 23 წუთში მან 19 ქულა 5 მოხსნა გააკეთა. სწრაფი და გახსნილი თამაში იყო, ორივე გუნდი მხოლოდ შეტევაზე ფიქრობდა. პირველ ტაიმში მეტოქეებმა 23 სამქულიანის ჩაგდება სცადეს! უკეთ ითამაშა **რიკი რუბიომ**, თუმცა საუკეთესო ფორმამდე ბარსელონელს ჯერ ბევრი უკლია. დამარცხებულთაგან **კელი ოლენიკმა** ჩააგდო ყველაზე მეტი - 14 ქულა. კანადამ მოუგებლად დაასრულა ჯგუფური ეტაპი.

**ლიტვა-ლიბანი 84:66**

**16:16,23:16, 25:19, 20:15**

**ლიტვა:** სეიბუტისი (17), გეცევიჩიუსი (16), დელინინკაიტისი (11 ქ, 4 გ), კლეიზა (10), კლიმავიჩიუსი (9 ქ, 7 მ), კალნიეტისი (7), პოციუსი (4), ანდრიუშკევიჩიუსი (4 ქ, 7 მ), იანკუნასი (3), მაციულისი (3).

**ლიბანი:** ფაჰედი (19), ვრომანი (15), ფახრედინი (11), აბდელნური (8 ქ, 6 მ), ელ ხატიბი (6), მაჰმუდი (5), რუსტომი (2 ქ, 6 მ, 5 გ), კანაანი.

ლიტველებს სამი მეოთხედი უძალიანდებოდნენ ლიბანელები, თუმცა ბოლოსკენ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა - მერვედფინალში ლიტვის მეტოქე ჩინეთის ნაკრებია. ბოლოს **რენალდას სეიბუტისმა** იყოჩაღა და საბოლოოდ ყველაზე მეტი, 17 ქულა ჩააგდო გამარჯვებულთაგან.

**ახ ზელანდია-საფრანგეთი 82:70**

**17:20, 22:5, 19:18, 24:27**

**ახალი ზელანდია:** პენი (25), ვუკონა (15), ტეიტი (8), კამერონი (8), აბერკომბი (7), ფრენკი (7), ჯონსი (5), ბრედშოუ (4), ფიტჩეტი (3).

**საფრანგეთი:** ბოკოლო (13), ჟელაბალი (12), დე კოლო (10), დიაუ (9), კოფი (9), პიეტრუსი (8), ბატუმი (6), ტრაორე (3), ალბისი, მაინმი, ჯექსონი.

ზელანდიელებმა ფრანგებს მეორე მეოთხედში აჯობეს, როცა 22:5 მოუგეს. ეს რომ პირველ მეოთხედში მომხდარიყო, ვიტყოდით, რომ ფრანგებს ლიბანელების მსგავსად ჰაკას შესრულების შეეშინდათო. ასეა თუ ისე, ზედიზედ მეორედ ზელანდია მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზეა.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 5 | 0 | 0 | 391-341 | 10 |
| ესპანეთი | 5 | 3 | 2 | 420-356 | 8 |
| ახ. ზელანდ. | 5 | 3 | 2 | 424-400 | 8 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 2 | 351-339 | 8 |
| ლიბანი | 5 | 1 | 4 | 339-440 | 6 |
| კანადა | 5 | 0 | 5 | 330-379 | 5 |

## მერვედფინალი

**4 სექტემბერი**

სერბეთი-ხორვატია
ესპანეთი-საბერძნეთი

**5 სექტემბერი**

თურქეთი-საფრანგეთი
სლოვენია-ავსტრალია

**6 სექტემბერი**

აშშ-ანგოლა
რუსეთი-ახალი ზელანდია

**7 სექტემბერი**

ლიტვა-ჩინეთი
არგენტინა-ბრაზილია

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

